

178/  
1980/3



ISSN 0192—4981

საქართველო

საგარეო ურთიერთობები



თბილისი - 1980





# საქართველო საქართველო

№ 2

მარტი  
აპრილი  
1980 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,  
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## უ ი ნ ა ა რ ს ი

### ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის

ვ. ი. ლენინის უკვდავი იდეება შთაგონებისა და თბილისის დაუშრეტელი წყარო	3
ი. ფუტყარაძე — ვ. ი. ლენინი და საქართველოს სუვერენული საბჭოთა სხელმწიფოს ზეკმნა	3
ან. გელოვანი — ვ. ი. ლენინის საადგოკატო მოღვაწეობა	19
აღ. შუშანაშვილი — სამართალწარმოების აქტუალური პრობლემები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით	33
ა. ზუდაღაშვილი — სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება ამომრჩეველების წინაშე	43
ვ. როზინი — ჰეგელის სამართლის ფილოსოფია და მისი პოლიტიკური ფილოსოფიის პრაქტიკა	46
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებუტატები	50
ქადთა საერთაშორისო დღისათვის	52
ოფიციალური მასალა	57

## СОДЕРЖАНИЕ

### К 110-ой ГОДОВЩИНЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА

Бессмертные идеи В. И. Ленина — неисчерпаемый источник вдохновения и оптимизма . . . . .	3
Я. Путьярдзе — В. И. Ленин и создание суверенного грузинского советского государства . . . . .	8
Ан. Геловани — Адвокатская деятельность В. И. Ленина . . . . .	19
Ал. Шушанашвили — Актуальные проблемы судопроизводства в свете новой Конституции СССР . . . . .	33
А. Будагашвили — Отчеты народных судей перед избирателями . . . . .	43
В. Розин — Философия права Гегеля и практика его политической философии . . . . .	46
Депутаты Верховного Совета Грузинской ССР . . . . .	50
К. Международному дню женщин . . . . .	52
Официальный материал . . . . .	57



სარედაქციო  
კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) ა. ბარაბაძე,
- გ. ინწჳირველი, აკ. კარანაძე, მ. ლევკვიშვილი,
- გ. ტუეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი, თ. წერეთელი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე.

---

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლიხანოვის პრ. 103. ტ. 95.58.97, 95.88.49.

---

გადაეცა ასაწყობად 8. II. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. V. 80 წ.,  
ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სადრიცხვო-საგამომცემლო თაზახი 7,5  
შეკვ. № 390 ტირაჟი 15450 უგ 08483

### 3. ი. ლენინის იდეები შთაბოძებისა და მოვლინების დაუზრახველი წყარო

შესრულდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველ-  
და სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრო-  
ნელთა ბელადის დაბადების 110-ე წლისთავი. ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებულია ყვე-  
ლაზე დიდმნიშვნელოვანი რევოლუციური გარდაქმნები კაცობრიობის ისტორიაში; კომუნისტური  
საზოგადოების მშენებლობის მკუბრი და დასრულებული თეორიის შექმნა. ვ. ი. ლენინი ის-  
ტორიაში შევიდა როგორც უზადლო თეორეტიკოსი, გენიალურმა სტრატეგი და ტაქტიკოსი, პარ-  
ველი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი. ვ. ი. ლენინის უკვდავ  
იდევები და საქმენი, მისი ცხოვრების დიდი გმირობა დღესაც შთაგონებისა და ოპტიმიზმის  
დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს წნობიერებისათვის.  
მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და საუკუნეებს იცოცხლებს.

857.91

ვ. ი. ლენინის დიად მოძღვრებაში ყოველმხრივ და ამომწურავად არის დამუშავებული  
საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ფორმის, სოციალისტური სამართლის, დემოკრატიისა და კანო-  
ნიკობის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.

ცნობილია, რომ მარქსაშ-ლენინიზმში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს პრო-  
ლეტარიატის დიქტატურის საკითხს. ვ. ი. ლენინმა არა მარტო აღადგინა მარქსის მოძღვრება  
პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, გაწმინდა და დაიცვა იგი ოპორტუნისტული დამახინ-  
ჯებისაგან, არაშედ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ახალ ისტო-  
რიულ პირობებში, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილების გათვა-  
ლიწინებით, შეამდგომ განვითარება და სრულყო ეს მოძღვრება. „განვითარება, — წერდა ვ. ი.  
ლენინი, — წინ, ე. ი. კომუნისტიკურ მიდის პროლეტარიატის დიქტატურის გზით და სხვაგ-  
ვარად ვერც წავა, ვინაიდან ექსპლოატატორი კაპიტალიზმის წინააღმდეგობის გატანას  
სხვას არავის არ შეუძლია და სხვა გზით არ შეიძლება“. ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ გააშუქა  
ისტორიული მისია პროლეტარიატისა, მისი მიზნები და ამოცანები, პროლეტარიატის დიქტა-  
ტურის ბუნება, სისტემა და მექანიზმი. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის მსოფლიო ისტორიული მნიშვნე-  
ლობის აღმოჩენა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ. ეს  
იდეა, რომელიც ვ. ი. ლენინმა პირველად წამოაყენა 1917 წელს, თავის ცნობილ აპრილის  
თეზისებში, კლასიკურად განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში, სადაც საბჭოების რესპუბლიკა გან-  
და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა ვ. ი. ლენინის დიდი დამსა-  
ხურება ასიც არის, რომ მან არა მარტო აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება როგორც პრო-  
ლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, ამასთან ერთად განსაზღვრა კიდევ  
რომ საბჭოები არ არის ერთადერთი შესაძლო ფორმა, რომელიც აუცილებელია ყველა მომა-  
ვალი რევოლუციებისათვის. „კაპიტალიზმიდან კომუნისტიკურ გადასვლამ, გვასწავლის ვ. ი. ლე-  
ნინი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვეცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და  
ნაირნაირობა, მაგრამ არსა ამასთან გარდაუვალად ერთი ძეგნება: პროლეტარიატის დიქტატურა-  
ა“. ცხოვრებამ, სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებამ ევროპისა და აზიის ბევრ  
ქვეყანაში სახვებით დადასტურა ვ. ი. ლენინის ეს წინასწარგანჭვრეტა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად პროლე-  
ტარიატის დიქტატურამ შეასრულა თავისი მისია. ახალ ისტორიულ ვითარებაში, განვითარ-  
ებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწი-  
ფო გარდაიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებსა და  
ნებისყოფას გამოხატავს, რომლის უზენაესი მიზანია უკლასო კომუნისტური საზოგადოების

1 ვ. ი. ლენინი თსზ., ტ. 25, გვ. 573-574.  
2 ვ. ი. ლენინი, თსზ., ტ. 25, გვ. 507.

ს. მარქსის სს. საქ. სსრ  
სახელმწიფო უწყებელი  
30.11.1957

აშენება. მისი ამოცანები ნათლად და ყოველმხრივ ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. ეს არის: კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საზოგადოებრივა ურთიერთობათა სრულყოფა და მათი გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობებად, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრედად ამაღლება, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელისუფლება.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს და მომავალშიც ექნება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრულ თანამშრომლობას და უანგარო ურთიერთდახმარებას პოლიტიკურ, სახელმწიფო, ეკონომიკურ და კულტურულ დარგში. ეს გამომდინარეობს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერნაციონალური ბუნებიდან.

საბჭოთა სახელმწიფოს წინსვლისა და ძლიერების კვალობაზე სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას, რომელიც ხალხის ინტერესებს იცავს და კომუნისმის მშენებლობის საქმეს ემსახურება. სოციალისტური დემოკრატიის საზოგადოებრივ გაფართოება და გაღრმავება იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი განხილულ იქნას მთელი ხალხის მიერ. „ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა, — ანბოხს ლ. ი. ბრეჟნევი, — გვესმის უწინარეს ყოვლისა ისე, რომ განუხრედად უზრუნველდევით მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოების ყველა საქმის მართვაში, კიდევ უფრო განვითარდეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლები, შევქმნათ პიროვნების ყოველმხრივი აყვავების პირობები“<sup>3</sup>.

ვ. ი. ლენინმა თეორიულად დაამტკიცა ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს, სამართლისა და სასამართლოს მსხრევეს აუცილებლობა და პრაქტიკულადაც განახორციელა იგი. მან ჩამოაყალიბა სოციალისტური სამართლის და მართლმსაჯულების აღსრულების ძირითადი დებულებანი, შეიმუშავა რევოლუციური კანონიერების საწყისები. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა საბჭოთა პროკურატურის შექმნის აუცილებლობა და აღჭურვა იგი დიდი უფლებებით, რათა მას განეხორციელებინა კანონის შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა. „პროკურორს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უფლება აქვს და ვალდებულია ერთი რამ გააკეთოს, თვალყურის ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირად გაგების დადგენას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა“<sup>4</sup>.

სოციალისტური კანონიერება ხალხის ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი მეტოდი და საშუალებაა, საბჭოთა სახელმწიფო განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა. კანონიერების შესახებ ვ. ი. ლენინის იდეები შემდგომ განვითარდა სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებსა და სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. პარტიის XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი ამის თაობაზე აღნიშნავდა: „ვერ შევურიგდებით კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდენ მათ. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქის უფლებათა შელახვას“<sup>5</sup>.

ახლმა კონსტიტუციამ კანონიერების პრინციპი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და იგი ფუნქციონირებულ პრინციპად გამოაცხადა. მისი არსი ამომწურავად და ზუსტად არის ფორმულირებული კონსტიტუციის მე-4 მუხლში: „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივა ორგანიზაციება და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის და საბჭოთა კანონებს“<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინი თვითონ უჩვენებდა ყველას საბჭოთა კანონების, წესების დაცვის მაგალითს. ვ. ი. ლენინი ავლიდა, რომ კანონის უმნიშვნელო დარღვევის არც ერთი შენეხვევა არ უნდა

<sup>3</sup> სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 106.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინის, თხზ., ტ. 33, გვ. 429.

<sup>5</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 103.

<sup>6</sup> სსრ კავშირის კონსტიტუცია, თბ., 1977 წ. გვ. 7-8.

დაჩინეილიყო დაუსჯელი. „თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ვალდებულები ვართ ჩვენით დავიწყოთ“<sup>7</sup>.

საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ ადამაზოთა ვ. ი. ლენინი სახკომსაბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის წერილობითმა თხოვნამ, რომ გვერდი აევლოთ დეკრეტისათვის „საბჭოთა დაწესებულებაში ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვის შესახებ“ და სამუშაოდ მიეღოთ ქალი, საქმის მცოდნე, ძვირფასი მუშაკი. ვ. ი. ლენინმა ამ წერილს ასეთი რეზოლუცია დაადო: „დეკრეტების გვერდის ავლა არ შეიძლება: მართო ასეთი წინადადებისათვის პარტიისგან დადგინდა, მაგრამ შეიძლება ცაკის მეშვეობით გამოწვევის დაშვება და მე ამახ გირჩევთ“<sup>8</sup>.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში კანონიერების განმტკიცების პრინციპი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა სელისულელების გამარჯვების პირველ წლებში აღნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებების კვალდაკვალ გაიზრდება სოციალისტური კანონიერების როლი და მნიშვნელობა. „რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მაგარ სელისულელებს შეეფერება, რაც უფრო მეტად ვითარდება სამოქალაქო აღებ-მიცემობა, მით უფრო აუცილებელია წამოგაყენოს მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი“<sup>9</sup>.

ვ. ი. ლენინი სახტიკად იბრძოდა კანონიერების ფორმალური განხორციელების წინააღმდეგ. „კანონის გვერდის ავლა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება თვით მისი შესრულების მარცხვითაც“<sup>10</sup>. ვ. ი. ლენინის განსაკუთრებულ გულსწყრომას იწვევდა საბჭოთა აპარატში შემორჩენილი საქმის გაჯანჯლების, ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომლებიც მას სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევის გამოვლინებად მიაჩნდა. „სად არის, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — სახალხო სასამართლოების განაჩენები იმისათვის, რომ მუშა ან გლეხი, რომელიც იძულებულია ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივიდეს დაწესებულებაში, ბოლოს იღებს ფორმალურად რაღაც სწორს, მაგრამ არსებითად კი აბუჩად აგდება გამოდის?“<sup>11</sup>.

კანონიერების პრინციპს უდიდესი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების განხორციელებისას. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი იღგა საბჭოთა სასამართლოს შექმნის სათავეებთან და მის პირველ ნაბიჯებს მალე შეფასებას აძლევდა.

განვლილი სამოცი წლის მანძილზე საბჭოთა სასამართლო განუხრებლად ახორციელებს პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკას, სოციალისტურ საზოგადოებაში მართლმსაჯულების აღსრულების ლენინურ იდეას, ფხიზლად დგას საბჭოთა კანონიერების დაცვის სადარაჯოზე.

ვ. ი. ლენინის დებულებანი საბჭოთა სამართლის, კანონიერების როლის და მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ამჟამად, როცა კიდევ უფრო მწვავედ ბრძოლა დამნაშავეობის, სოციალიზმისათვის უცხო და შეუფერხებელი მოვლენების წინააღმდეგ. ამ გლობალური ამოცანების გადაწყვეტა სამართალმცველი ორგანოებისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ და პრინციპულად მოახდინონ რეაგირება კანონიერების ყოველ დარღვევაზე, ერთგულად ემსახურონ მინდობილ საქმეს, იყვნენ მათთვის წაყენებული მაღალი მოთხოვნების დონეზე. საჭიროა ყველა უბანზე შეიქმნას კანონების მოთხოვნათა უთუო შესრულების, მტკიცე შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის, მართლწესრიგის დაცვის ატმოსფერო.

კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის აღმინისტრაციულ ორგანოებს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს იმ დიდი, უკვე შექმნილი გამოცდილების განზოგადება, რომელიც უკანასკნელ ხანს არის დაგროვილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ახლანდელი გლობალური შეტევა დამნაშავეობის წინააღმდეგ ჩაღდება სოლიდურ საფუძველზე. აღმინისტრაციულ ორგანოებში სამუშაოდ თვისებრივად ახალი ხალხი მოვიდა. ესენი არიან თავისი საქმის ერთგული, პატიოსანი, პრინციპული, კომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 29.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 60.

<sup>9</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 199.


<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 228-229.

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 545.

გადაწყვიტონ მასშტაბური ამოცანები, ჩვენ ხელთ გვაქვს ისეთი ღიღმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, როგორც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 2 აგვისტოს დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელიც სამოქმედო პროგრამაა ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამ დადგენილებით დასახული ამოცანები კიდევ უფრო დაკონკრეტდა საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც წლიურად იანვარში გაიმართა. თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით მთელი ჩვენი საქმიანობის გარდაქმნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებას და ამ პლენუმზე ე. ი. ბრუნევის მიერ წარმოსთქმულ სიტყვას, რომელშიც ჩამოყალიბებულია უმნიშვნელოვანესი დებულებები სოციალისტური კანონიერების დაცვისა და შემდგომი განმტკიცების თაობაზე. და, ბოლოს, მას ხელი უნდა შეუწყოს სამართლის სფეროს სრულყოფამ, გასული წლის დამლევს მიღებულმა ახალმა კანონებმა, რომლებშიც მოცემულია კანონიერების დაცვის მტიკცე გარანტიები.

დღეს ყველა პირობაა იმისა, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს ბრძოლა ყველა ჯურის დამნაშავეების — ქურდებისა და მძარცველების, მექრთამეებისა და საქმოსნების, თაღლითებისა და ბიუროკრატების, მუქთასორებისა და კომბინატორების წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, გასაკეთებელია ბევრი, მაგრამ დასახული ამოცანები სავსებით რეალურია. მათი შესრულება დიდ სიხარულსა და მორალურ კმაყოფილებას მოგვითმის.

კანონიერების ლენინური პრინციპების განმტკიცება უზრუნველყოფს მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევას, დამნაშავეობის წარმომშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრას და, საბოლოო ანგარიშით, დამნაშავეობის ლიკვიდაციას, რაც ჩვენი პარტიის საპროგრამო ამოცანად არის მიჩნეული.







საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს: არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე პარანაძე აკაკი გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

ვლიშვარაშვილი ვალერიან ალექსანდრეს ძე  
ლორია დურმიშხან ანთიმოზის ძე  
დვებარიანი გრიგოლ გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები

ბეზიბა ორდუ ხარდიონის ძე  
ბეჟანოვა ლეილა მჭეჭაბუჯის ასული  
გლიბაძე გოდერძი ვლადიმერის ძე  
გომორიშვილი ლენგერ ამბროსის ძე  
გველენიანი ოთარ ალექსანდრეს ძე  
გელუშაშვილი ლილი გიორგის ასული  
გერსამია თეიმურაზ ვალერიანის ძე  
გოგილაშვილი ივანე ჯაქარიას ძე  
დოლიძე მირზა ამირანის ძე  
ქვციანი გივი იროლიონის ძე  
პალიაშვილი საჭიმურატ დიმიტრის ძე  
ილინი სერგო ვლადიმერის ძე  
ისბაბაძე ლამარა პარმენის ასული  
პამპია ოთარ იაკობის ძე  
კობახიძე ნელი ვახილის ასული  
ლუკომკინი ვლადიმერ სერგოს ძე  
მახარაძე დიმიტრი ფილიპეს ძე  
პიტაძე რუსუდან ვახილის ასული

შორდანი ივანე შალვას ძე  
საქვარაშვილი დეონიდე მიხეილის ძე  
სარქისოვა ელენე რუბენის ასული  
სულაბა ავთანდილ დომენტის ძე  
სორდია-შევეტოვა ლამარა პროკოფის ასული  
ქარსაბაძე მჭეჭალა ბენიკას ასული  
ქრისტესიაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე  
ლუქსინაშვილი ალექსანდრე არსენის ძე  
ყივიანი გიმი კონსტანტინეს ძე  
ციცინაშვილი გივი სტეფანეს ძე  
ცისკარიშვილი ჯემალ შალვას ძე  
წიკორიძე ნოე ალექსის ძე  
წიკლაშვილი ვაჟა ივანეს ძე  
ხითარიშვილი ევგენი პავლეს ძე  
ხმაბაძე რამაზ ვახილის ძე  
ხონიძე ადელინა ივანეს ასული  
ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული  
ჯიბლაძე ოთარ ალექსანდრეს ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი  
თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

### 3. ი. ლენინი და საქართველოს სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა

ი. ფუტაბარაძე,  
იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიკოსი

ქართული სახელმწიფოებრიობის პირველსახე ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე XII—IX საუკუნეებში გამოიკვეთა. აქედან მოყოლებული, ისტორიის უკიდევანო ორომტრიალში ამ ძნელად თვალგასანვლომი დროის მანძილზე, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებათაგანი იყო გვარ-ტომობრივი განკერძოებისაკენ მიდრეკილი ქართველობის მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად შეკავშირება და მყარ საერთო-ეროვნულ ნიადაგზე შემდგომი წინსვლა-განვითარების უზრუნველყოფა.

იშვიათად თუ უღბინდა, უმეტესწილად კი უჭირდა ჰატარა სახელმწიფოს, რომლის შემოქმედი ერის საცხოვრისი, ბედით თუ უბედობით, ევროპისა და აზიის შესაყარზე აღმოჩნდა. მეტად ძნელი იყო მისთვის საკონტინენტთაშორისო გზაჯვარედინზე მტრულ გარემოცვაში სშირად მარტომარტო ყოფნა და საკუთარი მეობის, თუნდაც შელახული თავისთავადობისა და თვითმყოფობის შენარჩუნება. საბედნიეროდ, ამოდ არ ჩაუვლია მცირერიცხოვანი ქართველი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილების თავდადებულ ბრძოლას, ერისკაცთა მონამეობრივ მოღვაწეობას. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ, ეროვნული კულტურის ამ უიშვიათესმა გამოვლინებამ გაუძლო უმკაცრეს გამოცდას, საუკუნეთა ათასგვარ ქარცეცხლსა და ისტორიის განსანმენდელს.

XX საუკუნეში სრულიად ახალ საწყისებზე, სოციალისტურ საფუძველზე აღორძინდა მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა. დღესდღეობით იგი საერთო-სახალხოა — სრულად გამოხატავს ერთიან სოციალისტურ ერად ჩამოყალიბებული ქართველობის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ინტერესებს და, როგორც მთელი საბჭოთა საზოგადოების მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო როლს ასრულებს კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ქართული სახელმწიფოებრიობის განახლება მსოფლიო ჟამთასვლის მკვეთრ მოსაბრუნს უკავშირდება. იმ დიად რევოლუციურ ქარტეხილს კი, რომელიც ძირძველი ქართული სახელმწიფოებრიობის ძნელბედობას, მისი ისტორიული განვითარების ხაზის ხანგრძლივი განყვეტის ხანას დაემთხვა, წარმართავდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. სწორედ ლენინის ხელმძღვანელობით განხორციელებული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენების შედეგად, მისი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის, უშუალო საპროგრამო მითითებების მეშვეობით გახდა შესაძ-

ლებელი ცარიზმისაგან დათრგუნვილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, საქართველოს სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ჩამოყალიბება და თავისუფალ ერთა ძმურ კავშირში გაერთიანება.



საყოჩნალო სტატია მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ ნაწილობრივ გაშუქდეს საგანგებო მონოგრაფიული გამოკვლევისათვის უპრიანი მრავალნახნაგოვანი თემა — „ლენინი და საქართველოს სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა“. აქ განსახილველად პრობლემის რამდენიმე ნიშანდობლივი მხარე გამოიყოფა, რომელთაგან ზოგიერთი, ბუნებრივია, ეხება ყოფილი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობას საერთოდ, სხვები კი საკუთრივ საქართველოს განეკუთვნება.

ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პოლიტიკური წანამძღვარი ცარიზმის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება იყო. ამის კვალდაკვალ საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტით, ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი აქტით, როგორც იყო 1917 წლის 2 (15) ნოემბრის „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“<sup>1</sup>, გამოცხადდა ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის საბოლოოდ გაუქმება.

„დეკლარაციამ“, რომელსაც რუსეთის რესპუბლიკის სახელით ხელს აწერდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ლენინი, აგრეთვე ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი. ბ. სტალინი, საკანონმდებლო წესით განამტკიცა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები — რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენულობა, თავისუფალი თვითგამორკვევა გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებით, ყოველგვარი ეროვნული პრივილეგიისა თუ შეზღუდვის გაუქმება, ყველა ეროვნების თავისუფალი განვითარება.

„რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ოქტომბრის რევოლუცია განთავისუფლების საერთო დროშით დაიწყო. ამის შესაბამისად, — ნათქვამია „დეკლარაციაში“, — დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და გადაჭრით და საბოლოოდ განხორციელდეს რუსეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლება. „ჩვენ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უნდა დავამსხვრიოთ ის ძველი, სისხლიანი და ჭუჭყიანი წარსული, როდესაც კაპიტალისტ-მჩაგვრელთა რუსეთი სხვა ხალხების მიმართ ჯალათის როლს ასრულებდა. ამ წარსულს ჩვენ აღვგვით, ამ წარსულიდან ჩვენ ექვას ქვაზე არ დავტოვებთ“<sup>2</sup>.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტების მიზანი სრულიადც არ იყო ერთიანი სახელმწიფოს დანვრილერთეულება. ამ საკითხზე ვ. ი. ლენინმა თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა და პარტიის პოლიტიკის მიმართულება განსაზღვრა ნაშრომში „რევოლუციური პროლეტარიატი და

1 „დეკლარაციის“ ტექსტი იხ. გამოცემაში: Образование Союза Советских Социалистических Республик (сборник документов), М., 1972, стр. 21—22.  
2 ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 26, გვ. 402-403.

ერების თვითგამორკვევის უფლება“: „ჩვენ მოვითხოვთ ჩაგრული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას, ე. ი. დამოუკიდებლობას, ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ვოცნებობდეთ, სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოება, შეერთებაც კი, ოღონდ ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“.

ეროვნულ საკითხში ვ. ი. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“ აღინიშნა, რომ ცარიზმის ეპოქაში რუსეთის ხალხებს სისტემატურად უსისიანებდნენ ერთმანეთს. ასეთ პოლიტიკას კი, როგორც ცნობილია, შედეგად მოჰყვა, ერთი მხრივ, ხოცვა-ჟლეტა და, მეორე მხრივ, ხალხთა დამონება. საბჭოთა მთავრობამ „დეკლარაციაში“ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ხალხების ამ ურთიერთწასისიანების სამარცხვინო პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოს; ამიერიდან იგი უნდა შეიცვალოს რუსეთის ხალხთა ნებაყოფლობით და პატიოსანი კავშირის პოლიტიკით.

რუსეთის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცხადებული და თანამიმდევრულად გატარებული ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე თავისუფლად შეიძლებოდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე აღდგენილიყო და იმთავითვე საბჭოთა საწყისებზე მოწყობილიყო. მაგრამ განსაზღვრული ობიექტური და სუბიექტური პირობების გადახლართვის გამო საქართველოში, ისევე როგორც ამიერკავკასიაში საერთოდ, მოვლენათა მსვლელობა სულ სხვანაირად წარიმართა.

თავისებური სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზეღმემწყობ პირობებში დაირღვა და რეაქციის სასარგებლოდ შეიცვალა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა. იმძლავრა ადგილობრივი, საკუთრივ რუსეთიდან რევოლუციის მიერ გამოდევნილი და საერთაშორისო კონტრრევოლუციის ძალების კავშირმა.

არსებითი მნიშვნელობის ფაქტორი იყო ადგილობრივი კომუნისტების მხრივ ეროვნული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შეუფასებლობა და ყოვლად გაუმართლებელი უგულებელყოფა. ასე მაგალითად, როგორც რკპ (ბ) XII ყრილობაზე აღინიშნა, 1917 წლის აპრილში რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII კონფერენციაზე ფ. მახარაძე „წინააღმდეგი იყო ერების თვითგამორკვევისა... წინააღმდეგი იყო ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებისა. ის ამ თვალსაზრისზე იდგა და იბრძოდა პარტიის წინააღმდეგ“<sup>3</sup>.

ასეთი ვითარებით მოხერხებულად ისარგებლეს ქართველმა მენშევი-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 21, გვ. 506.  
<sup>4</sup> იხ. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 256-257.

ვემბა და თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს ერთა თვითგამორკვევის თავისუფლების პრინციპი. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული ტიპის რესპუბლიკა.

საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სოციალისტური რუსეთის ურთიერთობას საფუძვლად ედო სხვადასხვა სოციალური ნებსყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. ამის ნათელი გამოხატულებაა რუსეთისა და საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება. იგი ლენინური ეროვნული პროგრამის განუხრელი განხორციელების დამადასტურებელი მეტად საინტერესო საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის გამახვილებული ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ლენინი მტკიცედ, თანამიმდევრულად იცავდა ქართველი ხალხის სუვერენულობას ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველოში კომარჯვებდა საბჭოთა ხელისუფლება<sup>5</sup>. ლენინური პოლიტიკური ზაზის შესაბამისად, საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა რუსეთის ყოველგვარ წინანდელ უფლებაზე ქართული მიწა-წყლის მიმართ, უსიტყვოდ ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ვალდებულება იკისრა, რომ არ ჩაერეოდა მის საშინაო საქმეებში.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ქართული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნამდე იმის იჯალსაჩინო დადასტურებაა, რომ ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ზუსტად იცავდნენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“ ჩამოყალიბებულ და აქვეყნოდ გამოცხადებულ პრინციპებს. ასეთ პოლიტიკას ადგა საბჭოთა რუსეთი საერთოდ, ყოფილ იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ, მაგალითად, 1917 წლის (17) დეკემბრის „მანიფესტი უკრაინელი ხალხისადმი ცენტრალური რადისადმი ულტიმატური მოთხოვნებით“, რომლის თეზისები და პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა<sup>6</sup>. ამ დოკუმენტში მთლიანად შევიდა ვ. ი. ლენინის ვებულება, რომ სახალხო კომისართა საბჭო კიდევ ერთხელ ადასტურებს ვარიზმისა და ველიკორუსი ბურჟუაზიისაგან ჩაგრული ყველა ერის თვითგამორკვევას, რუსეთიდან მათი გამოყოფის უფლებას. დოკუმენტში, კერძოდ, დასახელებულია ფინეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა, რომლის წინააღმდეგაც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლებას არ გადაუღკამს არც ერთი ნაბიჯი ფინელი ხალხის ეროვნული უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შეზღუდვის მხრივ და საერთოდაც არაფერს მოიმოქმედებს იმ ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობის შესაზღუდავად, რომლებიც შედიოდნენ ან რომელთაც სურთ შევიდნენ რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

<sup>5</sup> С. Р. Вихарев, В. И. Ленин о суверенитете союзных республик, Минск, 1969, стр. 116.

<sup>6</sup> См. Декреты Советской власти, т. 1 (25 октября 1917 г. — 16 марта 1918 г.), М., 1957, стр. 174—180.

აღსანიშნავია, რომ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატებ საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობამ საგანგებო დადგენილებით მთლიანად მოიწონა სახალხო კომისართა მთავრობის ეროვნული პოლიტიკა, რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელი მასების თვითგამორკვევის სულისკვეთებით გაგებულნი ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის გატარებას<sup>7</sup>.

გ. ი. ლენინის ნაშრომები ეროვნულ საკითხზე ეხმარებოდა მცდელობებს შერყევ პოზიციებზე მდგომ ბოლშევიკებს სწორი პოლიტიკური გეზის შერჩევაში. მაგალითად აქ შეიძლება დავასახელოთ ნ. კიკნაძე. 1916 წლის ნოემბერში ნ. კიკნაძე აცნობებდა ბელადს, რომ წინათ იგი წინააღმდეგობას იწყო „თვითგამორკვევის უფლებისა“, ახლა კი მთლიანად და სავსებით მისი მომხრეა, რასაც უსათუოდ გ. ი. ლენინის სათანადო სტატიები უმაძღის<sup>8</sup>.

ბოლოს და ბოლოს, ერთობლივ ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმაც გამოასწორეს შეცდომა და სწორად განსაზღვრეს თავიანთი ამოცანები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგში. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1919 წლის 28-29 მაისს გაიმართა, ამიერკავკასიაში ეროვნული რესპუბლიკების არსებობის ფაქტის გათვალისწინებით მხარის კომუნისტების მორიგ ამოცანად მიიჩნია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა და სოციალისტურ რუსეთთან მათი გაერთიანება. აზერბაიჯანში გ. ნ. „დამოუკიდებლობის“ წლისთავზე, რაც მუსავრატელებმა წამოიწყეს პარტიის კავკასიის სამხარეო და ბაქოს კომიტეტებმა მხარის მშრომელებისადმი მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნეს კომუნისტების მისწრაფება გაეცნა დაეცნა აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებად. ეს გადაწყვეტილება მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად გ. ი. ლენინმა<sup>9</sup>.

და მართლაც, პრაქტიკულადაც საქმე იწეწარმოებოდა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული სახელმწიფოებრივი მშენებლობის კურსის შესაბამისად საქართველოს სოციალისტური სახელმწიფოებრიობა ცალკე არსებული სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკის სახით ჩამოყალიბდებოდა.

1921 წლის 17 თებერვალს საქართველოში დაიწყო აჯანყება, ხოლო 25 თებერვალს გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. ქართული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ეს აუცილებელი წინაპირობა ისევე როგორც მთელი სოციალისტური მშენებლობა საქართველოში განხორციელდა იმ ძირითადი პოლიტიკური მიმართულებების შესაბამისად რომელიც ქართველ კომუნისტებს დაუსახა გ. ი. ლენინმა.

<sup>7</sup> რეზოლუცია საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკის მოწონების შესახებ მთლიანად სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობას სტამბოლზე 1918 წლის 15 (28) იანვარს (Декреты Советской власти, т. 1, стр. 351).

<sup>8</sup> В. И. Ленин, Полное собрание сочинений, т. 30, стр. 42-43. აგრეთვე: ვ. ესაიაშვილი, ქართველი კომუნისტების მიმოწერა გ. ი. ლენინთან, თბ., 1958, გვ. 58.

<sup>9</sup> Очерки истории коммунистических организаций Закавказья, ч. 1 (1883-1921 гг.), Тб., 1967, стр. 431.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ქართველი ხალხის ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესატყვისი ფორმებით („...პარტიის მოცანა ის არის, რომ დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მამებს... განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ნაციონალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს შეესაბამებოდა“<sup>10</sup>), ძველი სახელმწიფო აპარატის ახრევა და ახალი ორგანოების შექმნა საქართველოში სპეციფიკურ ვიზარებაში სორცილდებოდა<sup>11</sup>. ამიტომ იყო ესოდენ მნიშვნელოვანი ქართული სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში ვ. ი. ლენინის თავაზიანი რჩევა-დარიგება („გთხოვთ გახსოვდეთ“), რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვდა ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, რამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შექმნას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მტკ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული“<sup>12</sup>.

ვ. ი. ლენინი შეუწელებულ ინტერესს იჩენდა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით წარმართავდა საქართველოს სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას. იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე წარმოშობილი მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი უშუალოდ გამომდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განთავისუფლებული ხალხების სუვერენული ნებიდან... სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების წარმოშობის საკითხებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება წყვეტდნენ განსაკუთრებით როულსა და ძნელ ვითარებაში. მიუხედავად ამისა, ვ. ი. ლენინი მკაცრად მოითხოვდა რსფსრ-ის ექვსი სახელმწიფო, პარტიული და სხვა ხელმძღვანელისა და ორგანოსაგან ითხოვული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისადმი ნამდვილ პატივისცემას. როგორც სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ლენინი დიდმპყრობელური შოკიზმისა და ნაციონალიზმის ყველა, თვით უმნიშვნელო გამოვლენასაც კი კვეთდა“<sup>13</sup>.

საქართველო აჯანყების დაწყებიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ მოცხადდა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად. 1921 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა რევოლუციური კომიტეტის სპეციალური მოწოდება ქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.

<sup>10</sup> რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებიდან „პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალური თხზში“ („საკვ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ზოლუციებსა და ვადაწყვეტილებებში“, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 719).

<sup>11</sup> ეს პროცესი ვამუქებულია ქართველ მეკლევართა ნაშრომებში, როგორცაა, მაგალითად: ვ. ი. კაჭარავა (საბჭოთა საქართველო სახალხო მეჭრნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1960), გ. ერემოვი (საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 1960), მერკვილაძე (В. И. Ленин и строительство основ советской национальной государственности, Тб., 1959; Создание и укрепление Советской государственности в узии, Тб., 1969).

<sup>12</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 32, გვ. 190.

<sup>13</sup> См. С. Р. Вихарев, В. И. Ленин о суверенитете союзных республик, Мнск, 1969, стр. 96.

ნიშნდობლივია, რომ რევოლუციური კომიტეტის პირველივე აქტი რომელშიც პირველად იხსენიება „საქართველოს ახლადშობილი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“, სწორედ ვ. ი. ლენინისადმი მიმართულ ეს არის საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 თებერვლის მიმართვა ლენინისადმი აჯანყებულთაუვის სამხედრო დახმარების განხრის შესახებ<sup>14</sup>.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებ პოლიტიკური და ცოტაოდენი სამხედრო დახმარება ჰქონდათ რუსეთის სუ რესპუბლიკასაგან“<sup>15</sup>. იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის XI არმიის ჯარის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, ლენინმა მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინა და საგანგებო ღონისძიებები განახორციელა ახალგაზრდა ქართული საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენულ უფლებების დასაცავად.

1921 წლის 10 მარტს ვ. ი. ლენინმა, როგორც თავდაცვის საბჭოს თავ მჯდომარემ, დეპუტა გაუგზავნა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს<sup>16</sup>. ამ სადირექტივო დეპუტის პირები დაეგზავნათ აგრეთვე კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, საქართველოს რევკომსა და ს.ორჯონიკიძეს, ხოლო მოსახლეობისათვის ფართოდ გაცნობის მიზნით იგ რესპუბლიკის გაზეთებშიც გამოქვეყნდა.

ვ. ი. ლენინი კატეგორიულად მიმართავდა XI არმიის ხელმძღვანელებს: „წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველო რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არცერთი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივ მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეციდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ“<sup>17</sup>.

ლენინი XI არმიის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა, რომ მას და უყოვნებლივ მიეცა სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებასათვის, პასუხისგებაში მიეცათ ყველა, ვინც ამ დირექტივას დაარღვევდა ამასთანავე, ეცნობებინათ დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ.

<sup>14</sup> Борьба за победу Советской власти в Грузии (докум. и мат.), Тб., 1951, стр. 659.

<sup>15</sup> იხ. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიულთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ (ვ. ი. ლენინი, თხ. IV გამოც., ტ. 32, გვ. 398).

<sup>16</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. IV გამოც., ტ. 35, გვ. 506.

<sup>17</sup> აქ საინტერესოა მოვიყვანოთ აგრეთვე ლენინის მოსაზრება ე. წ. „ავტონომიზაციის საკითხთან დაკავშირებით: „...ვეფქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ, ჩუ გავქვს იმის ტიპური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჰუმანიტარად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უადრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას“ (ვ. ი. ლენინი, თხ. IV გამოც., ტ. 36, გვ. 692-693).



ქეშმარიტად ლენინური ზრუნვით გამსჭვალულ ამ ისტორიულ დოკუმენტში საქართველო წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა და ჩამოყალიბებულია მისი სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის ქმედითი გარანტიები.

ასაღგაზრდა ქართული საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ვ. ი. ლენინის მითითება საქართველოს წითელი არმიის შექმნისა და მისი შემდგომი გაძლიერების შესახებ. რესპუბლიკის საშინაო, მეტადრე კი რთული საგარეო მდგომარეობის გათვალისწინებით ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა ამ დირექტივის შესრულებას.

ს. ორჯონიკიძისათვის 1921 წლის 2 მარტს გაგზავნილ წერილში, რომლითაც ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა საქართველოს, ქართველ კომუნისტებსა და სპეციალურად რესპუბლიკის რევკომის ყველა წევრს, დასახული იყო ასეთი უპირველესი ამოცანა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევავარაუდოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“<sup>18</sup>.

1922 წლის 13 თებერვლის წერილში ს. ორჯონიკიძისადმი ვ. ი. ლენინმა პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებლად მიიჩნია საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერება. „ამის შეუსრულებლობისათვის, — წერდა ლენინი, — პარტიიდან გაგაგდებთ მო უ რ ი დ ე ბ ლ ა დ. აქ სუმრობა არ შეიძლება... როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე“<sup>19</sup>.

საქმე ის იყო, რომ ინგლისის იმპერიალისტებმა აგრესიული პოზიცია დაიკავეს საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ და საზღვარგარეთის რეაქციულ პრესაში ცილისმწამებლური კამპანია გაჩაღდა საქართველოს საკითხზე. საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებისა და უცხოეთის იმპერიალისტებისათვის მისი დამორჩილების მიზნით რეაქციონერები მოითხოვდნენ რესპუბლიკიდან წითელი არმიის ჯარების გაყვანას და იქ რეფერენდუმის მოწყობას. საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ დასახა საქართველოს წითელი არმიის არსებული ბირთვის განმტკიცების ღონისძიებანი და ამავე დროს სთხოვა მოძმე რუსეთის საბჭოთა მთავრობას რესპუბლიკის საზღვრებიდან არ გაეყვანა წითელი არმიის ნაწილები.

ვ. ი. ლენინის ზრუნვა ქართული საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტის დასაცავად იმითაც გამოიხატა, რომ მისი 1921 წლის 12 მარტის მითითებით სასწრაფოდ აღიკვეთა რუსეთის სხვადასხვა ცენტრალურ უწყებათა „რეტდამსხმელი მანდატებით აღჭურვილი უთვალავი „მთავარი“ და „საგანგებო“ რწმუნებულის“ უწესრიგოდ გაგზავნა საქართველოში. დადგინდა, რომ რწმუნებულები საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ რსფს რესპუბლიკის მცირე სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით გაგზავნილიყვნენ. თანაც წესად უნდა დადებულიყო, რომ ასეთი ნებართვა „არქიფრთხილად“ გაეცათ და სისტემატურად შეემოწმებინათ ლენინისეული მიზანი-

<sup>18</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 32, გვ. 189.

<sup>19</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 33, გვ. 226-227.

თების შესრულება<sup>20</sup>. ამით საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე თავიდან იქნა აცილებული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევისა და მისი სუვერენული უფლებების შელახვის საშიშროება.

აღნიშნული წესის შემოღებას ზოგადპრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა, რამდენადაც იმ პერიოდში, როგორც ცნობილია, სხვა ახლადშექმნილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც გამოვლინდა ანალოგიური სიძნელები. სახელდობრ, წარსულის მემკვიდრეობამ თავი იჩინა „დიდმპყრობელური შოვინიზმის გადმონაშთებში“, რაც „ველიკოროსების ყოფილი პრივილეგიური მდგომარეობის ანარეკლს“ წარმოადგენდა<sup>21</sup>.

ვ. ი. ლენინის სახელს უკავშირდება რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის გაქართულების საკითხზე ყურადღების გამახვილება და მისი მოწესრიგების სწორი გზის დასახვა.

1922 წლის სექტემბერში ლენინი საგანგებოდ დაინტერესებულა ასეთი, ერთი შეხედვით ნაკლებმნიშვნელოვანი და თითქოს წვრილმანი, გარემოებით — შეუძლია თუ არა „გლესხ... მაგალითად, შორაპანში ქართულად იყიდოს რკინის გზის ბილეთი“. ლენინი არ დაუკმაყოფილებია დასმულ კითხვაზე იმ არგუმენტის მოშველიებით გაცემულ დადებითს პასუხს, რომ ბილეთიცა და სადგურის სახელიც ქართულ-რუსულად ერთნაირად გამოითქმოდა და დამატებით განუმარტავს — „არა, მე მაგას არ გეკითხები. მე გეკითხები „ჩინოვნიკი“ იმ სადგურზე ქართველია, თუ სხვა ვინმეო“<sup>22</sup>.

ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხი ლენინს ისეთი აქტუალური, ფრიალად მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაწყვეტად აინტერესებდა, როგორც იყო ეროვნული ენების მართებულად ხმარება სსრ კავშირში გაერთიანებულ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში. უთუოდ ამაზე მიგვანიშნებს ლენინის ნაანდერძევი დირექტივა, რომელიც ზემოაღნიშნული საუბრიდან ორი თვის შემდეგ (1922 წლის დეკემბერში) ასე ჩამოაყალიბა მან თავის ცნობილ ნაშრომში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“:

„უნდა შემოვიღოთ უშკაცრესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში და განსაკუთრებით გულმოდგინედ შევამოწმოთ ეს წესები. ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაზით, ფისკალური ერთიანობის საბაზით და სხვ. ჩვენში, ახლანდელი ჩვენი აპარატის არსებობისას, ქვემარტივად რუსული თვისების უამრავი ბოროტმოქმედება იპოვის გზას. ამ ბოროტმოქმედებებთან საბრძოლველად აუცილებელია განსაკუთრებული

<sup>20</sup> См.: Ленинский сборник, XXXVI, М., 1959, стр. 207; В. И. Ленин, Полное собрание сочинений, т. 52, стр. 94; Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (сборник док. и мат.), Сухуми, 1963, стр. 33.

<sup>21</sup> იხ. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 918-919, 921-922.

<sup>22</sup> იხ. „რევოლუციის მათეანე“, ტფ., 1924, № 1 (6), გვ. 36; ვ. ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959, გვ. 414-415.

საზრიანობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმათ განსაკუთრებულ გულწრფელობაზე, ვინც ასეთ ბრძოლას დაიწყებს“<sup>23</sup>.

ამგვარად, სავსებით ნათელია, რომ შორაპანში მგზავრთა სარკინიგზო მომსახურების მდგომარეობას, იქაური „ჩინოვნიკის“ ეროვნებასა თუ ბილეთის „ქართულად ყიდვის“ შესაძლებლობას ლენინი უკავშირებდა „სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაბით“ გზაზსნილ ბოროტმოქმედებას და საერთოდ ასეთ მოვლენათა გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანებულ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში ეროვნული ენის ხმარების წესების დარღვევასთან ქმედითი ბრძოლის საქმეს ანიჭებდა.

1922 წლის 6 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა დაწერა „ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ“. „საჭიროა, — წერდა ლენინი აღნიშნულ დოკუმენტში, — აბსოლუტურად დაუყინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ

რუსი

უკრაინელი

ქართველი და სხვ.

აბსოლუტურად!“<sup>24</sup>.

ვ. ი. ლენინის წინადადება, რომ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში რიგრიგობით ყოფილიყვნენ თავმჯდომარეებად ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები, სსრ კავშირის წევრ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გარანტიად დამკვიდრდა საკავშირო კონსტიტუციურ კანონმდებლობასა და სახელმწიფო-სამართლებრივ პრაქტიკაში.

საქართველოს სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება საკანონმდებლო წესით განამტკიცა რესპუბლიკის 1922 წლის კონსტიტუციამ.

ქართული საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენულობის საერთაშორისო აღიარებისათვის უდიდესი მნიშვნელობისა იყო 1921 წლის 21 მაისის „საკავშირო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება რსფსრ და საქართველოს სსრ შორის“<sup>25</sup>. ხელშეკრულების პრეამბულაში რსფს რესპუბლიკის მთავრობამ, ერთი მხრივ, და საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობამ, მეორე მხრივ, განაცხადეს, რომ ცნობენ თითოეული ხელშემკვრელი მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას. ორივე რესპუბლიკა, ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, აცხადებდა, რომ ყველა საერთო ვალდებულება, რომელსაც ისინი მომავალში იკისრებენ, შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ მუშებისა და გლეხების ინტერესთა ერთობით; რუსეთის ყოფილი იმპერიისადმი ქართული მიწა-წყლის წინანდელი ფაქტობრივი კუთვნილების გამო კი საქართველოს არ ეკისრებოდა არავითარი ვალდებულება.

ვ. ა. ლენინს უმადლის საქართველო და სხვა მოკავშირე რესპუბლი-

<sup>23</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 36, გვ. 694-695.

<sup>24</sup> იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 33, გვ. 438.

<sup>25</sup> «Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами», вып. III, М., 1922, стр. 18—19.

ვ. ბარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო-სამართალი

86491

ეები იმას, რომ ისინი დღეს სუვერენული, სსრ კავშირში სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანებული სახელმწიფოებია და არა რსფს რესპუბლიკის ავტონომიური ერთეულები, როგორც ამას ითვალისწინებდა ე. წ. „ავტონომიზაციის“ პროექტი. ამ საკითხის ისტორია და არსი კარგადაა ცნობილი, მაგრამ აქ მაინც უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ლენინის ერთ-ერთი ანდერძ-ნამაგი — „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ „ქართული ინციდენტის“ გამო დაინერა და ავტორი მასში სწორედ ქართველი ხალხის მაგალითზე ასაბუთებს პატარა ერებისადმი უაღრესად სათუთი დამოკიდებულების აუცილებელ საჭიროებას.

მადლიერი ქართველი ერი „არასოდეს არ დაივიწყებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის, ყველა საუკუნის ბუმბერაზთა ბუმბერაზის, უკანასკნელი ჩანანერები, უკანასკნელი ფიქრები და მითითებები საქართველოში პარტიის პოლიტიკის გატარებისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის ზრუნვით იყო ნაკარნახევი“. ამ ზრუნვით ფრთხილ-შესხმული „სოციალისტური საქართველო, ისევე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკები, ლენინის გენიალური მოძღვრების უკვდავი ძეგლია“<sup>26</sup>.

<sup>26</sup> ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ (იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები“, IX მოწვევის რიგგარეშე VIII სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1978, გვ. 152).

### 3. ი. ლენინის საადვოკატო პოლიტიკა

ან. გელმანენი

ვ. ი. ლენინის საადვოკატო მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია რკპ(ბ) X კონფერენციის დღეგატის ანკეტა, რომელიც თვით ვ. ი. ლენინის მიერ არის შეგებებული და კითხვაზე: „ყოფილი პროფესია“, იგი უპასუხებს: „ნაფიცი ვეჟილის თანაშემწე, 1891-1895 წ. წ.“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინს იგივე აღნიშნული აქვს აგრეთვე პეტერბურგის საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე 1896 წლის 2 დეკემბერს დაწერილ თხოვნაში, როდესაც ის საპრობილე-შაა. ამ ძვირფას ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც აღმოჩენილი იქნა მისი დაწერის სამოც წელზე მეტი ხნის შემდეგ, ნათქვამია: „მის მაღალკეთილშობილებას, ს-პეტერბურგის საოლქო სასამართლოს ბატონ პროკურორის“.

ნაფიცი ვეჟილის თანაშემწეა ვლადიმერ ულიანოვიცხან (კამერა № 193)<sup>2</sup>. თხოვნის ბოლოში კი არის ხელმოწერა: „ნაფიცი ვეჟილის თანაშემწე ვ. ულიანოვი“<sup>2</sup>.

ამვე დოკუმენტებს განეკუთვნება ვ. ი. ლენინის მიერ შესრულებული წარწერა სამარტილი ადვოკატის ი. გ. გარშეფელდის მოხსენებითს ბარათზე, სამარის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ, რომ ის თანხმად დაიცავს სამართალში მიცემული ვლენები, დოკუმენტს აქვს მისივე ხელმოწერა: „ნაფიცი ვეჟილის თანაშემწე ვ. ულიანოვი“<sup>3</sup>.

სარწმუნო წყაროები ადასტურებს, რომ ვ. ი. ლენინს, ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში ყოფნის დროს მომწიფებია აზრი უმაღლესი იურიდიული განათლებას მიღების შესახებ და მის მომავალ საადვოკატო მუშაობაზე.

ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა იგონებს: „ვლადიმერ ილიას ძე მაშინ უკვე გარკვეულად იყო დანატრებული იურიდიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერებებით. ამას გარდა, მას არ იტაცებდა პედაგოგის პროფესია. თანაც იცოდა, რომ ეს გზა მისთვის გადაკეთილი იყო და ამიტომ თავისთვის მოინიშნა ადვოკატის უფრო თავისუფალი პროფესია“<sup>4</sup>.

მართლაც, საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე, ყაზანის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შეტანილი თხოვნის შედეგად, ვ. ი. ულიანოვი 1887 წლის 18 აგვისტოს ჩაირიცხა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტად. მაგრამ, ვ. ი. ლენინს ყაზანის უნივერსიტეტის დამთავრება არ დასცაღდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც გარიცხეს უნივერსიტეტიდან 1887 წლის 4 დეკემბერს, ე. ი. ოთხი თვის შემდეგ, დღიდან უნივერსიტეტში ჩარიცხვისა.

ვ. ი. ლენინის იმდროინდელი განწყობილება მეფის ხელისუფლებისადმი კარგად არის გადმოცემული ვ. ვ. ადორატკის ნაამბობში, რაც მას თვით ვ. ი. ლენინისაგან მოუსმენია და შეეხება საუბარს, რომელიც გამართულა ვ. ი. ლენინსა და პოლიციის ბოქაულს შორის, როდესაც ამ უკანასკნელს იგი სტუდენტების გამოსვლის დამეს დაპატიმრებული მიბყავდა პოლიციის უბანში.

— როგორ აჩანებებს აწყობთ ახალგაზრდავ? თქვენ წინ ხომ კედელია აღმართული, — თქვა ბოქაულმა.

— კედელი, მაგრამ დამბალი, უბიძგებ და მყის დაიშლება, — უპასუხა ვლადიმერ ილიას ძემ<sup>5</sup>.

ვ. ი. ლენინი ბევრს ეცადა, მაგრამ ყაზანის უნივერსიტეტში იგი არ აღადგინეს. ამას საფუძ-

<sup>1</sup> Ленинский сборник, т. 36, стр. 244.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 664.  
<sup>3</sup> Журн. «Советская юстиция», 1958 г., № 4, стр. 28.  
<sup>4</sup> А. И. Ульянова-Елизарова, В. И. Ульянов (Ленин) 1943, стр. 22.  
<sup>5</sup> იქვე, გვ. 23.

ვლად ედო ვ. ი. ლენინის პოლიტიკური არაკეთილსამედობა და ისეთ პირებთან ურთიერთობა, რომლებიც მხილებული იყვნენ სახელმწიფო დანაშაულში.

ასე ადასტურებს ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველის, მასლენიკოვის მიმართვა განათლების სამინისტროსადმი, საიდანაც მას გადაეგზავნა ვ. ი. ლენინის განცხადება დასკვნისათვის. თავის ამ მიმართვაში, რომელიც დათარიღებულია 19 ივნისს, დაწერილობით აღწერს ვ. ი. ლენინის მონაწილეობას სტუდენტთა დემონსტრაციაში და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მასვე უფროსებით ვუერთდები ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის პოტასოვის აზრს, რომ უადრესად არასასურველია ვლადიმერ ულიანოვის ყაზანის უნივერსიტეტში კვლავ მიღება და შედგენად არ მიმართა დავსძინო, რომ მთხოვნელი არის ღვიძლი ძმა იმ ულიანოვისა, რომელიც სიკვდილით იქნა დასჯილი პოლიტიკურ დანაშაულში მონაწილეობისათვის. მიუხედავად მისი დიდი ღიშისა და კარგა დახასიათებისა, ის არც ზნეობრივად და არც პოლიტიკურად ჭერჭეროვით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კეთილსამედო პიროვნებად<sup>6</sup>.

ყოველივე ამის გამო, ვ. ი. ლენინი იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა ეთხოვა უმაღლესი განათლების მინისტრს და ამ მიზნით შენაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი განცხადებით მიმართა:

„მის ბრწყინვალეობას ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს

ყოფილი სტუდენტის, ვლადიმერ ულიანოვის

თხოვნა

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ვიქნე საარსებო საშუალებებით და დანართება გაუწიო ოჯახს, ჩემთვის აუცილებელია უმაღლესი განათლების მიღება. ვინაიდან მე არა მაქვს ამის საშუალება რუსეთში, ამისათვის მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას დამართოს საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა, საზღვარგარეთის უნივერსიტეტში შესასვლელად.

წოფ. სტუდენტი ვლადიმერ ულიანოვი. 1888 წ. IX<sup>7</sup>.

ახვევ უშედეგო იყო ვ. ი. ლენინის ცდები, რათა იგი დაეშვათ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, იურიდიული ფაკულტეტის კურსის გამოცდების ჩასაბარებლად სექსტერნო წესით. საბოლოოდ საკითხი დადებითად გადაწყდა და 1890 წლის 17 მაისს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების ადგილად ვ. ი. ლენინს განესაზღვრა პეტერბურგის უნივერსიტეტის საგამოცდო კომისია.

გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის აუცილებელი იყო დაძაბული მუშაობა, რადგან უნივერსიტეტის მთელი კურსის გავლა მოითხოვდა უამრავი ლიტერატურის დამუშავებას.

სავსებით სწორია პროფ. ბ. ვოლინის მოსაზრება, რომელსაც დასაბუთებულად მხარს უჭერს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ე. სკრიპილევი, იმის შესახებ, რომ მარტოდენ იმ იურიდიული ლიტერატურის ვთვალისწინება, რომლითაც მასწავლებელი სტუდენტობა ემზადებოდა სახელმწიფო გამოცდებისათვის, გვიჩვენებს, თუ რა რთული იყო საექსტერნო წესით გამოცდების ჩაბარება<sup>8</sup>.

პროფ. ბ. ვოლინი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო კურსისათვის საჭირო მთელი ლიტერატურა, რომელიც იურიდიულის გარდა ითვალისწინება სხვა ლიტერატურასაც, ვ. ი. ლენინს დაუმუშავებია 1890 წლის შემოდგომაზე და 1891 წლის ზამთარში, გასაფხულსა და ზაფხულში.

ვ. ი. ლენინს, ამავე დროს, 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდებით ვთვალისწინებულ მოთხოვნისამებრ, საგამოცდო კომისიისათვის წარსადგენად დაუწერია შრომა სისხლის სამართალში.

ეს თხზულება ვ. ი. ლენინს წარუდგენია ს. პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული იურიდიული საგამოცდო კომისიისათვის 1891 წლის 26 მარტს შეტანილ თხოვნასთან ერთად. მაგრამ მიუხედავად შრავალი ცდისა, სამწუხაროდ, ის დღემდე არ არის აღმოჩენილი.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა, მაშინ მხოლოდ 20 წლის ჯაბუკმა, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ოთხა წლის კურსი დამოუკიდებლად შეისწავლა წლიანხვევრია განმავლობაში და გამოცდების ჩასაბარებლად პეტერბურგში ჩავიდა.

<sup>6</sup> Журн. «Красная летопись», 1924 г., № 1, стр. 55.

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 553.

<sup>8</sup> В. Волин, В. И. Ленин в Самаре, «Исторический журнал», 1943 г., № 1, стр. 53. В. Скрипилев, Из Биографии В. И. Ленина, журн. «Правоведение», 1961 г. № 3, стр. 123.

1891 წ. 26 მარტს მან კანცხადება შეიტანა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის სახელზე, დაურთო სათანადო საბუთები და ითხოვა დაეშვათ გამოცდების ჩასაბარებლად.

ეს განცხადება დაწერილია თხოვნის სახით:

„მის აღმატებულებას სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებულ იურიდიული საგამოცდო კომისიის ბატონ თავმჯდომარეს აწნაურ ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის

თხოვნა

ამასთან ერთად გირდგენთ ფოტო სურათს, სახალხო განათლების სამინისტროს დეპარტამენტისაგან გაცემულ მოწმობას, რომ მისმა ბრწყინვალეობამ, სახალხო განათლების ბატონმა მინისტრმა, მე ნება დამართო, როგორც ექსტერნმა ჩავაბარო საბოლოო გამოცდები იურიდიული ფაკულტეტის საგნების მიხედვით საგამოცდო კომისიაში, უნივერსიტეტის ხაზინის ქვითარს საგამოცდო კომისიის სახარგებლოდ 20 მანეთის შეტანის შესახებ და წესებით გათვალისწინებულ საქირო თხზულებას, და მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას დამიშვათ გამოცდებზე იურიდიულ კომისიაში.

ს.-პეტერბურგი, 1891 წლის 26 მარტი.

აწნაური ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი“9.

საგამოცდო იურიდიული კომისიის თავმჯდომარე იმ დროისათვის იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, რუსეთის სამართლის ისტორიის დიდი მცოდნე და მკვლევარი პროფ. ვ. სერგეევიჩი.

კომისიის შემადგენლობაში შედიოდა სულ ექვსი კაცი: ნ. დიუვერნუა (სამოქალაქო სამართალი), ი. ფონინცი (სახსლის სამართალი), ფ. მარტენსი (საერთაშორისო სამართალი), ვ. ეფიმოვი (რომის სამართალი), ვ. ლებედევი (საფინანსო სამართალი) და მ. გორჩაკოვი (საექლესიო სამართალი). მათ შორის ნ. დიუვერნუა, ი. ფონინცი და ფ. მარტენსი რუსეთის მაშინდელი სამართლებრივი აზრის წამყვანი თეორეტიკოსები და დიდი მეცნიერული ღირებულებების მქონე შრომების ავტორები იყვნენ.

ვ. ა. ლენინმა ყველა საგანი ბრწყინვალედ ჩააბარა, რაც უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმ განსაკუთრებული ნიჭით, რომლითაც იგი საერთოდ დაჯილდოებული იყო, უჩვეულო მუშაობით, რომელსაც ყოველთვის იჩენდა დასახული მიზნის მიხედვით.

გამოცდებზე წარმატების საფუძველი იმავე დროს ისიც იყო, რომ ვ. ა. ლენინი, უკვე გარკვეული მსოფლმხედველობის მქონე, ფართოდ განვითარებული მარქსისტი განვლდათ და კარგად იცნობდა რუსეთის დიქტატურას, ისტორიასა და ეკონომიკას. მას იმ ხანებში გერმანულიდან რუსულ ენაზე უკვე თარგმნილი ჰქონდა მარქსისმის ფუძემდებელთა ისეთი საპროგრამო ხსიანის შრომა, როგორიც არის: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ვ. ა. ლენინმა გამოცდებზე 18 საგანში ჩააბარა ორჯერად: 1891 წლის საგაუფხულო სესიაზე — 4 აპრილიდან 24 აპრილამდე და ამავე წლის საშემოდგომო სესიაზე — 10 სექტემბერიდან 9 ნოემბრამდე. საგამოცდო ბიდეტები, რომელთა საფუძველზეც მას გამოცდების ჩაბარება მოუხდა, მეტად რთულ საკითხებს შეიცავდა და უადრესად მრავალფეროვანი იყო.

საგამოცდო კომისიამ ყველა საგამოცდო საგანში ვ. ა. ლენინს უმაღლესი შეფასება „ფრიალ დამაკმაყოფილებელი“ მისცა და მას პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა.

გამოცდების ჩაბარების შემდეგ, 1891 წლის 12 ნოემბერს ვ. ა. ლენინი სამუშაოდ ქ. სამარაში დაბრუნდა, სადაც ულიანოვის ოჯახი 1889 წლის 11 ოქტომბრიდან ცხოვრობდა.

ქ. სამარაში დაბრუნებისთანავე ვ. ა. ლენინმა საადვოკატო მოღვაწეობა დაიწყო.

თავის ხელმძღვანელად მან შეარჩია სამარის ნაფიცი ვეკელი ა. ნ. ხარდინი, რომელმაც 1892 წლის 4 იანვარს თხოვნით მიმართა სამარის საოლქო სასამართლოს, რომ მის თანაშემწედ ჩაერციხათ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი ხარისხის დიპლომით კურსდამთავრებული ვ. ა. ულიანოვი.

თხოვნა დაკმაყოფილეს 1892 წლის 30 იანვარს და ვ. ა. ლენინი შეიყვანეს ნაფიც ვეკელთა თანაშემწეების სიაში.

ვ. ა. ლენინს შეუზღუდველად შეეძლო გამოსულიყო სასამართლოში დამცველად სისხლის სამართლის საქმეთა გამო. სამოქალაქო საქმეთა წარმოება კი განსაკუთრებულ ნებართვას მოითხოვდა რაზეც მას, მისივე თხოვნით, სამარის საოლქო სასამართლოს დადგენილებით, 1892

წლის ივლისში სათანადო მოწმობა მიეცა. ა. ნ. ხარდინი ცნობილი იყო როგორც გამოჩენილი ცივილისტი და სამარის ლიბერალურად განწყობილ ინტელიგენციის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა. იგი დიდი მონდომებითა და სიყვარულით მუშაობდა თავის თანამეგობართან საერთოდ, მაგრამ ვ. ი. ლენინმა მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

ამის დამადასტურებელია ნ. სამოილოვის მოგონება: „საკმაოდ ბევრი წელი გავიდა, და უკვე ცხრაასიანი წლების დამდეგს, მე მსმენია ხარდინის მიერ გამოთქმული სინანული იმის გამო, რომ ლენინმა არ ისურვა წასუდიყო ცივილისტის გზით“<sup>10</sup>. მაგრამ ცხადია, ვ. ი. ლენინ ვერ დასჯრდებოდა მხოლოდ საადვოკატო მოღვაწეობას. იგი ამ დროისათვის ბრწყინვალე განათლების მქონე, სახელმძღვანელო მოაზროვნედ ითვლებოდა და მის წინაშე ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი იყო გადაშლილი.

მას ჯერ კიდევ 1891 წლას მარტში დიდი წარმატებით გაუმართავს დისკუსია სამარაში ჩასულ ხალხოსან როსინევიჩთან და, როგორც ამას მისი სამარელი თანამედროვე ა. ა. ბელიაკოვი აღნიშნავს, „ეს იყო ვლადიმერ ილიას ძის პირველი ტრაუმეტი ინტელიგენციისა და მოწინავე ახლგაზრდობის ფართო წრეების მონაწილეობით მოწყობილ დიდ კრებაზე, რამაც მას დიდი სახელი მოუხვეჭა როგორც ბრწყინვალე განათლების მქონე ეკონომისტსა და დიდებულ პოლიტიკოსს“<sup>11</sup>.

ახვევ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ვ. ი. ლენინის გამოვლას ლიბერალურ ხალხოსნების მესვეურის, ნ. კ. მახაილოვსკის წინააღმდეგ ქ. სამარაში მოწყობილ დისკუსტზე. მახაილოვსკი იძულებული გამხდარა განეცხადებია, რომ მისი მოწინააღმდეგის სიტყვას ახასიათებს გადმოცემის უბრალოება, აზრის სიცხადე და ლოგიკის დიდი ძალა. უყველა ამ თავისი თვისებით ვ. ი. ლენინი უკვე მაშინ ცხადყოფდა, რომ მოწოდებული იყო ეხელმძღვანელა რევოლუციური ბრძოლებისათვის.

ვ. ი. ლენინის რევოლუციურ განწყობილებას ხელი შეუწყო მის მიერ უშუალოდ განცდილმა ტრაგედიაშიც.

თავით ფეხებამდე გახრწანი მეფის მტარვალური რეჟიმი თავის უზადრუკობის დაძლევის ქვეყნის საუკეთესო შვილთა სისხლის ღვრით ცდილობდა. სწორედ ამ უზადრუკობის ერთი მსხვერპლთაგანი შეაქნა ვ. ი. ლენინის უფროსი ძმა, ალექსანდრე ილიას ძე ულიანოვი, რომელიც რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის სიცოცხლის ხელყოფის მომზადებაში მონაწილეობისათვის ჩამოაზრჩეს შდისებურგის საპრობილეში 1887 წლის 8 მაისს.

ნ. კ. კრუშკაიას მოგონებებიდან ჩანს, თუ რა დიდი სიყვარულით იყო დაკავშირებული ვ. ი. ლენინი თავის უფროს ძმასთან. იგი ამაღლებულად დაპარაკობს მათი ძმური განუყრელობის შესახებ და აღნიშნავს, რომ „ისინი ჩვეულებრივად ერთად ცხოვრობდნენ. ორივე ძმა შრომაში ბეჯითობას იჩენდა და ორივენი რევოლუციონურად იყვნენ განწყობილნი“<sup>12</sup>.

საგულისხმოა ალექსანდრე ილიას ძე ულიანოვის მიერ გიმნაზიაში დაწერილი თხზულება თემაზე „რა არის საჭირო იმისათვის, რომ სასარგებლო იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის“. იგი თხზულებაში ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ სასარგებლო მოღვაწეობისათვის ადამიანს ესაჭიროება: 1) პატიოსნება, 2) შრომისადმი სიყვარული, 3) ხასიათის სიმტკიცე, 4) ჭკუა და 5) ცოდნა.

ბუნებრივია, რომ ესოდენ საყვარელი ძმის უბედურებამ მძიმე კვალი დატოვა ვ. ი. ლენინის ცხოვრებაში. ამავე დროს ამ გარემოებამ ვ. ი. ლენინი გამობრძმედა ახალი ბრძოლებისათვის და, როგორც ა. ი. ულიანოვა-ელიაზაროვა ამბობს, გმირულად დაღუპულ ალექსანდრე ილიას ძის სისხლმა „რევოლუციური ხანძრის დაფიონით გაასხივოსნა მისი მომყოლი ძმის, ვლადიმერის გუა“<sup>13</sup>.

დამახასიათებელია, რომ რეაქციული მეფის ხელისუფლების სამსხვერპლოზე შიტანოდ ამ ახლგაზრდობის დასაცავად ხმა აღიმადლა დიდმა რუსმა მწერალმა ლ. ნ. ტოლსტოიმ. მან ჯერ კიდევ მეფე ალექსანდრე II-ის მკვლელობაში თანამონაწილეთა მიმართ სენატის განსაკუთრებული საკრებულოს მიერ გამოტანილ სიკვდილით დასჯის განაჩენთან დაკავშირებულ ალექსანდრე III-სადმი მიწერილ წერილში „ზოროტისათვის სიკეთის მიხედვეს“ პრინციპის მი-


<sup>10</sup> Н. Самойлов, журн. «Пролетарский суд», 1925 г., № 3, стр. 12.

<sup>11</sup> А. Веляжов, «Отрочество вождя», 1958 г., стр. 69.

<sup>12</sup> Н. К. Крупская, т. 1, стр. 73, 1956 г.

<sup>13</sup> А. И. Ульянова-Елизарова, т. I, стр. 16, 1956 г.





ხედვით მსჯავრდადებულთათვის პატიება მოითხოვა. მან მეფის დიდი მოხელის, პობედონოს-ცვის თუშუიტური გესლიანობით ადვინი პასუხი მიიღო: „თქვენი ქრისტე ჩვენი ქრისტე არ არისო“.

ვ. ა. ლენინის მოღვაწეობა სამარის ადვოკატურაში თითქმის ორი წელი გრძელდებოდა. ამ მოკლე დროში მან დიდი პოპულარობა მოიპოვა. მისი გამოსვლები სასამართლოში, სადაც საქმეები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილებოდა, დიდ ყურადღებას იმსახურებდა.

ვ. ა. ლენინი სამარის საოლქო სასამართლოში დამცველად სულ თვრამეტჯერ გამოსულა, აქედან თხუთმეტი სისხლის სამართლისა და სამი სამოქალაქო სამართლის საქმის გამო. სისხლის სამართლის საქმეებიდან თერთმეტი შეეხება ქურდობას, ერთი — ხარკინიგზო ავარიის, ერთი — მამის ცემას, ერთი — ცოლის წამებას და ერთიც — ღვთის მგმობელობას.

სამარის საოლქო სასამართლოს ყველა ამ საქმის დედანი აშუამდ ინახება სკვპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში. ისინი ვ. ა. ლენინის საადვოკატო მოღვაწეობის შესწავლის ძნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება.

სამწუხაროდ, ეს საქმეები, გარდა ერთი სამოქალაქო საქმისა, არ შეიცავს თვით ვ. ა. ლენინის მიერ შედგენილ საქმიან დოკუმენტებს სასარჩელო განცხადებათა, სააშუალოთა თუ სახელმძღვანელო საჩივრების სახით. ამიტომ, იმის დასადგენად, თუ ვის იცავდა ვ. ა. ლენინი, რა თვალსაზრისს ავითარებდა თავის გამოსვლებში და როგორი იყო მის მიერ მომარტვებული არგუმენტაცია, ძირითად მონაცემებს გვაძლევს მხოლოდ სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმები.

სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმები კი სისხლის სამართალწარმოების რევოლუციამდელი კანონმდებლობის შესაბამისად მეტისმეტად მოკლედ იწერებოდა და საქმის არსებით მხარეს კი არა, პროცედურის ცალკეული წესების შესრულებას ეხებოდა.

ამის გამო ცხადია, რომ სასამართლოს სამსჯავრო სხდომის საოქმო ჩანაწერები უმეტესად ვერ უბასუხებს ჩვენთვის საინტერესო კითხვებს, მაგრამ ისინი მაინც უდიდესი მნიშვნელობის მასალებს შეიცავს.

როგორც აღვნიშნეთ, სამარის საოლქო სასამართლოს იმ საქმეებიდან, რომლებშიც მონაწილეობა მიუღია ვ. ა. ლენინს, გამოირჩევა ერთი სამოქალაქო სამართლის საქმე იმ მხრივ, რომ მასში შემონახული აღმოჩნდა თვით ვ. ა. ლენინის ხელით დაწერილი პასუხი სამარის საოლქო სასამართლოს მისამართით მიძიებულ ხ. ა. მოროჩენკოვის რწმუნებულის, ნაფიცო ვეჟილის ა. ს. ლილინის მიერ შედგენილ სასარჩელო განცხადებაზე.

ხ. ა. მოროჩენკოვი ამ სარჩელით მღლეკის რაბათის გამგეობასთან და მისი ყოფილი რძლის ა. კ. მოროჩენკოვასაგან მოითხოვდა მისთვის მიეკუთვნებინათ ის საქალაქო საკარმიდამო ადგილი, რომელიც თითქოსდა მისი ძმის — პ. ა. მოროჩენკოვის საკუთრებას შეადგენდა. ამ მოთხოვნას საფუძვლად ელა ის მოსაზრება, რომ, რადგან მოხსენიებული საკარმიდამო ადგილის გამოსასყიდი ფასი მთლიანად გადასხდა ვადასა და მისი მოროჩენკოვის საკუთრებას შეადგენდა. ამის შემდეგ მღლეკის რაბათის გამგეობას არავითარი უფლება არ ჰქონდა იგივე ადგილი მიეყიდა ა. კ. მოროჩენკოვასათვის და მასთან დადებული ნასყიდობის აქტი გაეფორმებოდა სანოტარო წესით.

ამასთან დაკავშირებით სასარჩელო განცხადებაში დასმული იყო საკითხი ამ ნასყიდობის აქტის ბათილად ცნობისა და სადავო საკარმიდამო ადგილის პ. ა. მოროჩენკოვასათვის დაბრუნების შესახებ, ზოლო იმის ვაშო, რომ ა. კ. მოროჩენკოვა და მისი ქალიშვილი უკვე გარდაცვლილი იყვნენ და პ. ა. მოროჩენკოვს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა, მისი კუთვნილი საკარმიდამო ადგილი უნდა გადაეცათ მისარჩელე ხ. ა. მოროჩენკოვისათვის, როგორც ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისათვის.

ეს საკარმიდამო ადგილი კი, მემკვიდრეობის წესით, ამ დროისათვის მიღებული ჰქონდა ა. კ. მოროჩენკოვას ძმას — გლეხს, ა. კ. პალაღევს და სწორედ მისი ინტერესების წარმომადგენლობა შეასრულა სასამართლოში ვ. ა. ლენინმა.

მან დრმად გააანალიზა სასარჩელო განცხადების მიხედვით წარმოდგენილი მოსაზრებები და მოქმედი კანონის საფუძვლიანი მომარტვებით ნათელყო, რომ სადავო საკარმიდამო ადგილი არ წარმოადგენდა პ. ა. მოროჩენკოვის საკუთრებას.

ვ. ა. ლენინის ხელით დაწერილ ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტში ნათქვამია შემდეგი. „განსვენებულმა პავლე მოროჩენკოვმა, 1888 წლის 23 დეკემბერს, მღლეკის რაბათის გამგეობაში შეიტანა განცხადება (ნოტარიალურად დამოწმებული), მასზე № 60 გეგმით რიცხული

საკარმიდამო ადგილის მიხედვით ანატასია კირილეს ასული მოროჩენკოვას სახელზე გადარიცხვის შესახებ. გამგეობამ საკარმიდამო გადარიცხვა ა. ა. მოროჩენკოვას სახელზე და 1889 წლის 18 ოქტომბერს მისცა მას მოწმობა № 34 საკარმიდამო ადგილის გამოსასყიდის გადახდაზე.

ეს გადარიცხვა სავსებით კანონიერია, ვინაიდან პავლე მოროჩენკოვის მიერ გამოსასყიდის გადახდით, საკარმიდამოს საკუთრების უფლება თავისთავად სრულებით არ გადააღოდა გამგეობიდან პავლე მოროჩენკოვზე, (რადგან კანონის თანახმად უძრავ ქონებაზე საკუთრების გადასვლა ხდება მარტოოდენ ნასყიდობის საბუთებით და ისიც უფროსი ნოტარიუსის მიერ მათი დამტკიცების მომენტიდან), არამედ პავლე მოროჩენკოვს აძლევდა მხოლოდ იმის უფლებას, რომ გამგეობიდან მოეთხოვა ან მიწაზე ნასყიდობის საბუთი, ანდა გადახდული თანხის უკან დაბრუნება. თავისთავად ცხადია, გამგეობის განცხადებას იმის შესახებ, რომ „საკუთრების უფლება მასზე, — მოროჩენკოვზე, გადადის 1882 წლის 30 დეკემბრიდან“, — არავითარი ძალა არა აქვს, რადგან შინაური საბუთებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლა არ ხდება.

ნასყიდობის გაცემამდე, საკარმიდამო ადგილი გამგეობის საკუთრება იყო. გამგეობამ, როდესაც ის გადარიცხვა მოროჩენკოვის თხოვნით მოროჩენკოვას სახელზე, შეასრულა ნასყიდობის სიგელი ამ ადგილის მიყიდვაზე ანატასია კირილეს ასულ მოროჩენკოვისათვის.

ამრიგად, მოსარჩელეს პირველი სასარჩელო მოთხოვნა — ამ ნასყიდობის სიგელის ბათილად ცნობაზე — იხსნება; მასთან ერთად იხსნება მეორე მოთხოვნაც — საკარმიდამო ადგილის საკუთრებად ცნობის შესახებ, პავლე მოროჩენკოვის ერთადერთი მემკვიდრის — სტეფანე ივანეს ძე მოროჩენკოვის სასარგებლოდ.

სადავო საკარმიდამო ადგილს ამჟამად სავსებით კანონიერად ფლობს გლეხი ანტონ კირილეს ძე პალაღევი, ღვიძლი მამა და ერთადერთი მემკვიდრე, 1890 წლის 3 თებერვალს გარდაცვლილ, ანატასია კირილეს ასულ მოროჩენკოვას (მეორე ქმრით გელოვანს).

აღნიშნულია გამო მაქვს პატივი ვთხოვო სამარის საოლქო სასამართლოს რათა არ დაკმაყოფილოს გლეხ სტეფანე მოროჩენკოვის სარჩელი მეღვინის გამგეობასთან და გადამდგარი ჭარისკაცის გარდაცვლილ მეუღლის ანატასია კირილეს ასულ გელოვანს ქონების მიმართ, მოსარჩელისთვის სასამართლო და საქმის წარმოების სარჩების დაკისრებით<sup>14</sup>

სამარის საოლქო სასამართლოს არ შეეძლო არ გაეზიარებინა ვ. ი. ლენინის ესოდენ ნათლად, თანამომდევრულად და მოქმედი კანონის შესაბამისად გამოთქმული თვალსაზრისი და თავის 1892 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებებით, ს. ი. მოროჩენკოვს სარჩელზე უარი უთხრა.

ბრწყინვალე იურიდიულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით ვ. ი. ლენინის თვალსაზრისი, რომელიც მას გამოთქმული აქვს მეორე სამოქალაქო საქმის გამოც, სადაც ის გამოდიოდა ბრისკერის ინტერესების წარმომადგენლად, ვ. ი. ლენინის მოსაზრებანი ამ საქმესთან დაკავშირებით თავის გამონათქვამებს პოულობს სამარის საოლქო სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმში.

ვაჭარი კონსტანტინოვი, თავის სასარჩელო განცხადებით ბრისკერიდან და შიმკოვიჩისაგან მოითხოვდა 12.317 მანეთის გადახდას. როგორც ჩანს, სასარჩელო განცხადებას საფუძვლად ედო თითქოსდა პალატის გადაწყვეტილებით უკვე დადგენილად მიჩნეული ფაქტი იმის შესახებ, რომ ბრისკერსა და შიმკოვიჩს მიღებული ჰქონდათ კონსტანტინოვისაგან 62.000 მანეთი, რომელთაგან ისინი ვალდებული იყვნენ ანგარიშგება მოეხდინათ მხოლოდ 12.000 მანეთის მიხედვით. სინაღვლიღში კი, პალატას არამცთუ დადგენილად არ მიუჩნევია მოხსენებული თანხის მიღება ბრისკერისა და შიმკოვიჩის მიერ, მას საერთოდ მოუხსნია ამ საკითხის განხილვა იმის გამო, რომ არ იყო ვარკვეული იურიდიული ბუნება იმ ურთიერთობისა, რომელშიც იმყოფებოდნენ მამიგებელი და მოპასუხეები.

ამიტომ ვ. ი. ლენინს იმ დროს მოქმედი კანონის საფუძველზე განვითარებული აქვს სავსებით სწორი თვალსაზრისი, რომ სასარჩელო მოთხოვნა ნაადრევი, დაუსაბუთებელია და ამდენად, არაღამაჭრებელი.

სარჩელის ნაადრევობას ვ. ი. ლენინი იმაში ხედავდა, რომ ჭერ კიდევ არ იყო დადგენილი, თუ რა ხასიათის ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული მოსარჩელესა და მოპასუხეებს ურთიერთშორის: ნარდად მუშაობის თუ პირადი დაქირავებისა. ამას კი ის მნიშვნელობა ჰქონ-

<sup>14</sup> Журн. «Советское государство и право», 1956 г. № 3.

ვ. ი. ლენინის საადოკატო მოღვაწეობა

და, რომ ნარდად მუშაობის ხელშეკრულება მოითხოვდა აუცილებლად წერილობითი სახით გაფორმებას და მოწმეთა ჩვენებებით მისი პირობების მტკიცება არ შეიძლებოდა. პირადი დაქირავების ხელშეკრულების დადება კი დასაშვები იყო სიტყვიერადაც და, მოწმეთა ჩვენებებით შეიძლებოდა მტკიცება როგორც ხელშეკრულების დადების, ისე მისი პირობების შესახებ.

ამდენად, ვიდრე გადაწყვეტილი არ იყო საკითხი, თუ ვინ იყვნენ ბრისკერი და შიმკოვიჩი — სამუშაოს ნარდად ამდენი თუ პირად დაქირავების პირები, შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ მტკიცების რა სახეობით შეეძლო ესარგებლა სასამართლოს.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა სარჩელის დაუსაბუთებლობას, მიუთითებდა გარკვეულ მტკიცებათა უქონლობას და მოითხოვდა, რომ სასამართლოს არ დაეკმაყოფილებია კონსტანტინოვის სარჩელი.

მონაცემების უქონლობის მიუხედავად სამარის საოლქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა.

მაგრამ სარატოვის სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტმა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის საფუძველზე 1898 წლის 19 მაისის დადგენილებით, სამარის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და კონსტანტინოვის სარჩელზე უარი უთხრა.

ზემოთ ითქვა, რომ საქმეთა რაოდენობის მიხედვით ვ. ი. ლენინი სამარის საოლქო სასამართლოში უმთავრესად გამოსულია სისხლის სამართლის საქმეთა გამო. სამართალში მიცემულთა დამცველად გამოსვლა მას უმეტეს შემთხვევაში უხდებოდა სასამართლოს დანიშვნით, ვერცთ წოდებულ „სახაზინო დაცვის“ წესით, ე. ი. უფასოდ.

ვ. ი. ლენინმა დაიცვა ცხოვრების მძიმე ხვედრით გაუხედურებული ბევრი ადამიანი, ღარიბი გლეხები, შავი მუშა, ხელოსნები და წვრილი მოხელეები. იგი მთელ თავის უნარს ახმარდა მათ დაცვას, ამხელდა არსებობის იმ მძიმე პირობებს, რომელთა ზეგავლენითაც ჩადენილი იყო დანაშაული და აღწევდა კიდევ მათი მდგომარეობის შემსუბუქებას.

1892 წლის 8 მარტს თავის პირველ სასამართლო პროცესზე ვ. ი. ლენინი იცავდა ხელოსანს, პროფესიით თერძს — ვ. ფ. მულენკოვს, რომელსაც ბრალად ედებოდა მძიმე დანაშაული: „ღვთის მგობილება“, სასჯელთა დებულების 180-ე მუხლის მიხედვით. საბრალდებო აქტით ვ. ფ. მულენკოვის დანაშაული იმაში გამოიხატებოდა, რომ მთვრალი საჭარო თავშეყრის ადგილას (საბაყლო ღუქანში) „აგანებდა დედას ღმერთს, ღვთისმშობელს, წმიდა სამებას, შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორს და მისი ტახტის მეგვიდარს და ამბობდა, რომ ხელმწიფე უმართებულოდ გამოგებლობდა“.

სამსჯავრო სხდომის ოქმში, აღნიშნულია, რომ „სამართალში მიცემულს იცავდა ნაფიცი ვეჟილის თანაშემწე ულიანოვი, რომელიც მოითხოვდა თვით სამართალში მიცემულმა“.

საქმე დასურულ პროცესზე განუხილავთ. ვ. ი. ლენინის უნარიანი დაცვით უნდა აიხსნას ის, რომ მულენკოვს მხოლოდ ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა.

1892 წლის 11 მარტს ვ. ი. ლენინს დაუცავს ბერეზოვი-გავს მცხოვრებნი ღარიბი გლეხი მ. ვ. ოპარინი, „გადამდგარი ჭარისკაცი“ ტ. პ. სახაროვი და სხვები, რომელთაც ბრალში ედებოდათ ნახმარი პოკაჟს, ერთი ცარიელი ტომრის და სამი ფურის პურის გატაცებაში. როგორც ჩანს, ამ დაცვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ოპარინისა და სახაროვის თანასოფლელებზე. ამის მაჩვენებელია სოფ. ბერეზოვი-გავს ძველი კოლმეურნის — ივანე ოსიპეს ძე სახაროვის განცხადება, რომ: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იყო არა მარტო ჩვენი რამდენიმე თანასოფელელის დამცველი. მან დაიცვა მთელი ხალხი, ააწავთა ის თავიანთი კანონიერი უფლებებისა და კანონიერი ბედნიერებისათვის საბრძოლველად“<sup>15</sup>.

ასეთივე ხასიათის საქმის გამოა გამოსული ვ. ი. ლენინი დამცველად სამართალში მიცემულების „უკანონოდ შობად“ ვ. ხ. სადლოხისა და „ჭარისკაცის შვილის“ 13 წლის ს. გ. რეპინისა, რომელიც მანამდე რამდენჯერმე იყო გასამართლებული ქურდობისათვის. მათი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ურთიერთშორის შეთანხმებით დაიტაცეს ვაჭარ კორშუნოვის სხვადასხვა ნივთები, ხუთ მ მანეთის ღირებულებისა, როგორც ეს აღნიშნულია სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმში: „სასამართლო დაეთანხმა ნაფიცი ვეჟილის თანაშემწის არგუმენტებს და რეპინის გამართლება დაადგინა“.

შედეგების ნიხედვით სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ვ. ი. ლენინს დიდი წარ-

მატებით დაუცავს შავი მუშა მ. ს. ბამბურკვი, რომელსაც ბრალად ედებოდა ტანსაცმელისა და სამი ცალი პურის ქურდობა.

ბამბურკვიმ სასამართლოს განუცხადა თავისი მძიმე მდგომარეობა და თქვა, რომ „არც ჩემი დაბადების და არც ჩემი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არავითარი ქონება არ მებაღია... ქურდობის ჩადენა ვადავწყვიტე ცხოვრების საშუალებათა უქონლობის გამო, რადგან სამუშაოზე არავინ არ მიმიღო. დაცვას სწორედ ამ მხრივ გაუღრმავებია საკითხი და სასამართლოსაც ანგარიში გაუწევია იმ მოსაზრებებისათვის, რომ სამართალში მიცემული მოქმედებდა „უცილებლად აუცილებლობის პირობებში, რადგან არ ჰქონდა საარსებო საშუალებანი“ და ბამბურკვისათვის შეუფარდება ერთი წლით გამანწორებელ-საპატიმრო განყოფილებაში მოთავსება.

მძიმე მატერიალური მდგომარეობით არის გამოწვეული დანაშაული იმ საქმეზეც, სადაც სამართალში მიცემულად გადიოდა შვიდი გლეხი. მათ ბრალად ედებოდათ პურის ქურდობა. სამს: უნდინს, ზაიცევსა და კრასილინკოვს, მათივე მოთხოვნით იცავდა ვ. ი. ლენინი.

სამარის საოლქო სასამართლოში, ვ. ი. ლენინის მოსაწილეობით ჩატარებულ სისხლის სამართლის საქმეთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარკინიგზო ავარიის საქმე იმის გამო, რომ მასში, სხვებთან შედარებით უფრო ვრცლად არის გადმოცემული სამსჯავრო სხდომის მიმდინარეობა საოლქო ჩანაწერის მიხედვით, ვ. ი. ლენინის დაცვითი სიტყვის შინაარსი, რომელიც საქმის იურიდიული ანალიზის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს.

ამ საქმის გამო სამართალში მიცემული იყვნენ ორენბურგის რკინიგზის სადგურ ბეჟენჩუგის უფროსი იაზიკოვი და ამავე სადგურის მენეჯერ კუშნეცოვი. იაზიკოვის დაცვა განუხორციელებია ვ. ი. ლენინს.

იაზიკოვსა და კუშნეცოვს ბრალად ედებოდათ ის, რომ „მათ თავიანთი მორიგეობის დროს გამოიჩინეს დაუდევარი დამოკიდებულება სამსახურებრივ მოვალეობისადმი, რის შედეგადაც ამოვარდნილა ქართი ამოქრავებულ სათადარიგო გზაზე მდგარი ცარიელი ვაგონები დაეჭახახელების პატარა ვაგონს, რომლითაც რემონტზე მომუშავე მუშა პეტრე ნაურსკოვი ეზიდებოდა წყალს. ამასთან ნაურსკოვს მიაღვა სხეულის მსუბუქი დაზიანება, ხოლო მასთან ერთად მყოფ ცხრა წლის ბიჭს ანდრეი კორიტონს — სასიკვდილო დაზიანებანი, რისგანაც ის იქვე გარდაიცვალა“. იაზიკოვის და კუშნეცოვის მიერ გამოჩენილი სამსახურებრივი დაუდევრობა კი, სტრალმდებლო აქტით, გამოსატყლი იყო იმაში, რომ მათ, წინააღმდეგ სარკინიგზო წესებისა, გაჩერებულ ვაგონებს არ დაუდგეს საბჭენები, რამაც ეს შედეგი გამოიწვია. დაკვალიფიცირებული იყო სასჯელთა დებულების 1085 მუხლის მე-2 ნაწილით.

ვ. ი. ლენინის მიერ შერჩეულ დაცვითი პოზიციის დასახიათებისათვის უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტობობა, რომ მას სადავოდ არ გაუხდია იაზიკოვისა და კუშნეცოვისათვის 1085 მუხლის წაყენება საერთოდ, რომელიც სასჯელთა დებულების იმ თავშია გათვალისწინებული, სადაც ნათქვამია: „გზების დასაცავად დადგენილ წესების დარღვევის შესახებ“, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობრივი დაუდევრობის შესახებ, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, პირდაპირაა აღნიშნული სასჯელთა დებულების 411-ე მუხლში.

ამით დადასტურებულია სისწორე სისხლისსამართლებრივი პრინციპისა იმის შესახებ, რომ უკეთეს თანამდებობრივი პირის მოქმედება შეიცავს საერთო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ის დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს არა თანამდებობრივ დანაშაულად, არამედ სწორედ იმ მუხლით, რომელშიაც გათვალისწინებულია ეს, საერთო სისხლის სამართლის დანაშაული.

თავის დაცვითი სიტყვაში ვ. ი. ლენინს სადავოდ გამოცხადებული აქვს მხოლოდ ის გარემოება, რომ იაზიკოვის ბრალდება, სამართალში მიცემულ კუშნეცოვის ბრალდების მსგავსად, დაკვალიფიცირებული იყო სასჯელთა დებულების 1085 მუხლს მე-2 ნაწილით და არა ამავე მუხლის მე-3 ნაწილით.

ამის საფუძველს ვ. ი. ლენინი პოულობს იმაში, რომ სასჯელთა დებულების 1085 მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია მარტოოდენ იმ პირთა დაუდევრობაზე, რომლებსაც შესრულებული არა აქვთ მათი პირდაპირი მოვალეობანი, იაზიკოვის პირდაპირ მოვალეობას კი, როგორც სადგურის უფროსისას, არ შეადგენდა გაჩერებულ ცარიელი ვაგონებისათვის საბჭენების დადება. ამ მოქმედების შესრულება წარმოადგენდა მისის, ე. ი. კუშნეცოვის პირდაპირ მოვალეობას, ხოლო იაზიკოვს ევალებოდა კონტროლი გაეწია მისი ხელქვეითის კუშნეცოვის მუშაობისათვის.

ამრიგად, იაზიკოვის მხრივ გამოჩენილი დაუდევრობა განსახილველ საქმესთან დაკავშირე-

ბით უნდა შეფასებულიყო, მხოლოდ როგორც კონტროლის გაუწევლობა, და რადგან ამის შე-  
სახებ განსაკუთრებულად არის ნათქვამი სასჯელთა დებულების 1085 მუხლის მე-3 ნაწილში, ვ. ი.  
ლენინი მოითხოვდა იაზიკოვის ბრალდების დაკვალიფიცირებას სწორედ ამ მუხლის მე-3 ნა-  
წილით.

ვ. ი. ლენინის ეს პოზიცია მიმართული იყო იმისაკენ, რომ გაეტარებინა პასუხისმგებლო-  
ბის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იაზიკოვისა და კუზ-  
ნეცოვის უნდა შეფარდებოდათ სხვადასხვა სასჯელი. მან საკითხი უფრო გააღრმავა და ყურად-  
ღება გაამახვილა „დაუდევრობის“ ზოგადი ცნების, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწი-  
ნებულ, ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეობაზე და ამით, როგორც ამას პროფ. ა. ტრა-  
ინინი და პროფ. მ. შიფმანი აღნიშნავენ, გამოიჩინა იაზიკოვისა და კუზნეცოვის დაუდევრობა  
პირველისა, როგორც კონტროლის დეფექტი, ხოლო მეორესი, როგორც შესრულების  
დეფექტი<sup>16</sup>.

სასამართლოში მონაწილე პროკურორის წინააღმდეგობის მიუხედავად, ვ. ი. ლენინის  
თვალსაზრისი გაზიარებული იქნა და იაზიკოვის, სასჯელთა დებულების 1085 მუხლის მე-3 ნა-  
წილით შეფარდა ჯარიმის გადახდა 100 მანეთის რაოდენობით.

საადვოკატო მოღვაწეობის შედეგად მიღებული ეს ჰირველი წარმატებანი, ბუნებრივია,  
რომ ვ. ი. ლენინს უქადაღა დიდი ადვოკატის პერსპექტივებს, მაგრამ მას არ შეეძლო მხოლოდ  
ამით შემოფარგლულიყო.

ჯერ კიდევ სამარაში ყოფნისას, ვ. ი. ლენინი დიდ მუშაობას ეწეოდა მუშათა არალეგა-  
ლურ წრეებში, სადაც კითხულობდა რეფერატებს და სამარის ახალგაზრდობას აცნობდა მარ-  
ქსისტულ მსოფლმხედველობას, მარქსიზმის ფუძემდებელთა შრომებზე გამუდმებული მუშა-  
ობით ის ყოველდღიურად იღრმავებდა თავის ცოდნას და ამზადებდა მასალებს მომავალი  
შრომისათვის: „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკ-  
რატების წინააღმდეგ?“, რომელმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა რუსეთის ხალხოსნებს.

ვ. ი. ლენინის წინაშე წამოჭრილი დიდი პოლიტიკური საკითხები, მისი ამგვარი მოღვაწე-  
ობის გაშლისათვის უფრო ფართო ასპარეზს მოითხოვდნენ და ამიტომაც ისწრაფოდა ის პე-  
ტერბურგისაკენ. ვ. ი. ლენინი პეტერბურგში გადავიდა 1893 წლის შემოდგომაზე და იქ სულ  
ნაღე პეტერბურგელ მარქსისტთა ცნობილი ხელმძღვანელის სახელი მოიხვეჭა.

მიუხედავად ამ დიდი მიზანდასახულობისა ვ. ი. ლენინს მაინც არ დაუტოვებია ადვოკა-  
ტურა და პეტერბურგში ჩასვლისთანავე ის ჩაერიცხა პეტერბურგელი ადვოკატის მიხეილ  
თედორეს ძე ვოლკენშტეინთან, ნაფიცო ვეჟილის თანაშემწედ.

რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის იუსტიციის ორგანო-  
ებს და როგორც ამას ა. კირსნილი გადმოგვცემს, იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნია პე-  
ტერბურგის ნაფიც ვეჟილთა საბჭოში შემდეგი შინაარსის მიმართვა.

„ჩვენთვის ცნობილია, რომ ნაფიცთა წოდებაში მიღებულია ვლადიმერ ილიას ძე ულია-  
ნოვი — „პოლიტეკურად „საეჭვო“ პიროვნება. სამინისტრო თავის მოვალეობად სვლის გაც-  
ნობის ამის შესახებ და გამოსთქვამს რწმენას, რომ თქვენ არ მოითმენთ თქვენს რიგებში ასეთ  
პიროვნებას<sup>17</sup>.

ლიბერალურად განწყობილ ადვოკატთა ზეგავლენით, ამავე ავტორის სიტყვებით რომ  
ვთქვათ, „იუსტიციის მინისტრის მეგობრული რჩევა“ უშედეგოდ დარჩენილა. როგორც ჩანს  
ამაში დიდი როლი შეუხრულებია გამოჩენილ ადვოკატს ა. ტურჩანინოვს, რომელიც იმ დროს  
პეტერბურგის ნაფიც ვეჟილთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი იყო. ეს ეს ტურჩანინოვია,  
რომელიც 1865 წელს მონაწილეობდა დამცველად კარაკოვოვის პროცესში, რომელსაც ბრალი  
ენდებოდა რუსეთის მეფე ალექსანდრე II მკვლელობის მცდელობაში<sup>18</sup>.

ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგის ადვოკატურაში მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით  
ძვირფას მასალას იძლევა ა. ი. ულიანოვა-ელინსაროვა, რომელიც აღნიშნავს, რომ: „1893 წ.  
შემოდგომაზე ვლადიმერ ილიას ძე გადავიდა პეტერბურგში და ჩაერიცხა ნაფიცო ვეჟილის  
თანაშემწედ ადვოკატ ვოლკენშტეინთან“<sup>19</sup>.

თუ როდის დაიწყო ვ. ი. ლენინმა მუშაობა პეტერბურგის ადვოკატურაში ჩანს პეტერ-

<sup>16</sup> Журн. «Советское государство и право», 1956 г., № 3, стр. 86.

<sup>17</sup> Журн. «Красная летопись», 1924 г. № 10, стр. 12.

<sup>18</sup> В. Гессен, «История русской адвокатуры», т. 1, стр. 153.

<sup>19</sup> А. И. Ульянова-Елизарова, «В. И. Ульянов (Ленин), 1943 г., стр. 30.



ბურგის სასამართლოს პალატის ნაფიც ვეჟილთა საბჭოს მიერ გაცემული მოწმობიდან, № 2329, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

მოწმობა

ნიცეა ესე მოწმობა იურიდიულ მეცნიერებათა კურსდამთავრებულ ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვს, სარწმუნოებით მართლმადიდებელს, დასტურად იმისა, რომ 1893 წ. 8 სექტემბრიდან ის ირიცხება ნაფიც ვეჟილთა თანაშემწეების სიაში და ამჟამად არის ნაფიც ვეჟილის მ. ვოლკენშტეინის თანაშემწე.

ეს მოწმობა არ შეიძლება გამოყენებული იქნას საცხოვრებელი მოწმობის სახით.

საბჭოს წევრი — ვ. ლეონტიევი<sup>20</sup>.

სამწუხაროდ, ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგში ნაწარმოები საქმეები არ არის შემორჩენილი და ამიტომ ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად, თუ რა ხასიათის და ვის საქმეებზე მოუწნდა მას დამცველად გამოსვლა. მაგრამ სავსებით უმართებულოა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ვ. ი. ლენინი ამ დროისათვის თითქოს აღარ ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას და ავტომატურად ჰქონდა შეწყვეტილი კავშირი ნაფიც ვეჟილთა საბჭოსთან.

ახე მაგალითად, სამისო საფუძვლების გარეშე ა. კირუნცი კატეგორიულად აცხადებს, რომ „ნაფიც ვეჟილთა წოდებიდან ლენინი ავტომატურად გავიდა მას შემდეგ, რაც ის დაწესებული დროის განმავლობაში არ ასრულებდა ადვოკატის მოვალეობებს“<sup>21</sup>.

ა. კირუნციის ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეეფერება. ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგში ნაწარმოები საქმეების უქონლობა იმით უნდა აიხსნას, რომ თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში პეტერბურგის საოლქო სასამართლოს შენობაში განიდა ხანძარი, რომლის დროსაც დაიწვა სასამართლოს არქივიც.

ის გარემოება კი, რომ ვ. ი. ლენინი პეტერბურგშიც გამოდიოდა დამცველად, უწინარეს ყოვლისა ჩანს ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას სარწმუნო ცნობიდან იმის შესახებ, რომ „რამდენჯერმე, მაგრამ მგონი ყოველთვის დანიშნით, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი გამოდიოდა დამცველად საქმეებზე პეტერბურგშიც“<sup>22</sup>.

ამასვე ადასტურებს პეტერბურგის ნაფიც ვეჟილთა საბჭოს ანგარიში, 1894 წლის 1 მარტადან — 1895 წლის 1 მარტამდე, სადაც არის ცნობები იმის შესახებ, რომ ნაფიც ვეჟილის თანაშემწეს ვ. ი. ულიანოვს საბჭოში წარუდგენია ცნობა საქმეებზე, რომელიც მას ჰქონდა წარმოებაში.

ამის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის წერილებს, დედისადმი, მ. ა. ულიანოვისადმი, რომლებიც მას გაგზავნილი აქვს პეტერბურგიდან. 1893 წლის 5 ოქტომბრის რიცხვით დათარიღებულ წერილში სადაც ის ეხება თავის საყოფაცხოვრებო ხარჯებს, სხვათაშორის ამბობს: „თუ არ ჩავთვლი... და ხარჯებს ერთ სასამართლო საქმეზე (გრეთვე 10 მანეთამდე), რომელიც შეიძლება ვაწარმოო“<sup>23</sup>.

1895 წლის 5 დეკემბრის წერილში კი, ვ. ი. ლენინი იტყობინება, რომ მისი დეიდაშვილი დ. ა. არაღაშვიცი: „წინადადებებს მიძღვეს ავიღო საქმე მემკვიდრეობის უფლებებში მისი ნათესავის დამტკიცების შესახებ, მაგრამ ჭერჭერობით მთლად არ შევთანხმებულვართ“<sup>24</sup>.

ამ პერიოდში ვ. ი. ლენინის პრაქტიკულ საადვოკატო მოღვაწეობაზე მოგვიხსენიებს ვ. ა. კნიაზევი, იმ არაღღაშვილ მუშათა წრის წევრი, რომლის ხელმძღვანელიც ვ. ი. ლენინი ყოფილა, მაგრამ მას წრის წევრები იცნობდნენ მხოლოდ პარტიული სახელით, როგორც ნიკოლოზ პეტრეს ძეს.

ვ. ი. ლენინს დიდი დახმარება გაუწვია კნიაზევისათვის, მის ერთ სამემკვიდრეო საქმესთან დაკავშირებით.

კნიაზევს უნდა მიეღო მემკვიდრეობის წესით, 1893 წელს გარდაცვლილი მისი ბებიის ქონება, მაგრამ არ ცცოდა თუ რა წესით ემოქმედნა, მეგობრებს მისთვის ურჩევიათ დახმარებისათვის მიემართა ნაფიც ვეჟილის თანაშემწე ვ. ი. ულიანოვისათვის, როდესაც კნიაზევა მასთან მისულა ბინაში, მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონია, რადგან აღმოჩნდა, რომ მისი მომავალი ადვოკატი, მათი წრის ხელმძღვანელი ნიკოლოზ პეტრეს ძე ყოფილა.

<sup>20</sup> «Исторический журнал», 1943 г., № 1, стр. 59.  
<sup>21</sup> Журн. «Красная летопись», 1924 г., № 1, стр. 13.  
<sup>22</sup> А. И. Ульянова-Елизарова, «В. И. Ульянов (Ленин)», 1943 г., стр. 30.  
<sup>23</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 2.  
<sup>24</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 12.



ვ. ა. კნიაზევი გადმოგვცემს: „...ნიკოლოზ პეტრეს ძემ სკამი შემომთავაზა და მითხრა: „თანამედევრობით მომიყვით ყველაფერიო“. მე დავჭეკი და დავიწყე მოკლა ისე, როგორც შემძლო, ის მე გზადაგზა მაწვეტივინებდა და მოითხოვდა განმარტებებს, თითქოს ჩემგან ეწოდებოდა ფაქტებს ერთი მეორეზე მიყოლებით. როდესაც მან გაიგო, რომ ბებია ჩემი გარდაიცვალა გენერლის მსახურებაში და ამ გენერალს შეეძლო მიეთვისებია მემკვიდრეობა, თუმცა მას სამხართულიანი, ხაკუთარი ქვის სახლი ჰქონდა, ნიკოლოზ პეტრეს ძემ ხელები დაიხრისა და წაზვამით თქვა: „რა გაეწყობა, წავართმევთ სახლს თუ მოვადგებთ. დაბრკოლება მხოლოდ იმაშია, რომ ძალზე ძნელია საოჯახო სიის მოძებნა, რადგან განსვენებული ყმა ქალი იყო“. ამის შემდეგ, მან აიღო ქაღალდი და დაიწყო თხოვნის წერა მოსახლეობის სიის მისაღებად, როდესაც წერა დაამთავრა ამისხნა თუ სად უნდა წავსულიყავი, ვისთან შეშებუნა თხოვნა და დამავალა, როდესაც ხაქმზე მივიღებდი ამა თუ იმ ცნობას, მივსულიყავი მასთან“<sup>25</sup>.

ახვევ მნიშვნელოვანია „ბრძოლის კავშირის“ წევრის, მუშა ი. ი. იაკოვლევის მოგონება. ერთხელ, 1894 წელს, პოლიციელის შეურაცხყოფისათვის, იგი სამი დღით დაუშავებინებიათ და ამის გამო მეცადინეობა გაუცდენია. როდესაც ამ გაცდენის მიზეზი გაუგია, ვ. ა. ლენინი შეწუხებული და, როგორც ი. ი. იაკოვლევი აღნიშნავს, მას სიტყვა-სიტყვით ასე უთქვამს: „სამწუხაროა, რომ თქვენ ამის შესახებ მე მანამდე არაფერი არ მითხარით. მე შემეძლო სასამართლოში გამოვსულიყავი და, მართალია, თქვენ მაინც დაგაპატიმრებდნენ, მაგრამ გულს მაინც მოვიზიებდით და იმ არამზადებს სისხლს მოუწამლავდითო“<sup>26</sup>. ამასთან დაკავშირებით, ი. ი. იაკოვლევი დანატერყნებულია მისი ხელმძღვანელის ვინაობით და თავისი ძმისაგან, რომელიც პეტერბურგის ოლქის სასამართლოში ყოფილა მწერლის თანამდებობაზე, გაუგია, რომ ის იყო: „ნაფიც ვეჟილის თანაშემწე ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი“.

ამგვარად უდავოა, რომ ვ. ა. ლენინს პეტერბურგში არ შეუწყვეტია საადვოკატო მოღვაწეობა.

ეს საკითხი საეხებით სწორად არის გაშუქებული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ე. ა. სკრიპოლევის სტატიაში, სადაც, თანამედროვეთა უტყუარ ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ვ. ა. ლენინი: „ესწრებოდა ნაფიც ვეჟილთა თანაშემწეების კონფერენციებს, რომლებიც ტარდებოდა მომრგებელ მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიასთან ყოფ. მეშჩანსკის ქ. № 26. აქვე ის ატარებდა უფასო იურიდიულ კონსულტაციებს და აწარმოებდა მუშების სასამართლო საქმეებს“<sup>27</sup>.

იმ შეხედულების სახარებლოდ, რომ ვ. ა. ლენინს თითქოს ავტომატურად შეეწყვებოდა კავშირი პეტერბურგის ნაფიც ვეჟილთა საბჭოსთან, არაფერს ამბობს არც ის გარემოება, რომ ნაფიც ვეჟილთა საბჭოში არ არის აღმოჩენილი მისი პირადი საქმე. პირადი საქმის უქონლობა ხვსებით შესაძლებელია პეტერბურგის საოლქო სასამართლოს შენობაში ზემოთ მოხსენიებული ხანძრის შედეგი იყოს. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ვ. ა. ლენინის სახელი მოხსენებულია, ეგრეთ წოდებულ „იურიდიულ კალინდარის“ ნაფიც ვეჟილთა თანაშემწეების სიაში, არამც თუ 1894-1895 წლებისათვის, არამედ 1897 წლისათვისაც, თუმცა ამ ბოლო შემთხვევაში მისამართი აღნიშნული არ არის.

1897 წლის 29 იანვარს როგორც ცნობილია ვ. ა. ლენინი დასჯილი იქნა ადმინისტრაციული წესით და „მეფას უმადლესი განკარგულებით“ გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე მას სამი წლით შეეფარდა დასახლება აღმოსავლეთ ციმბირში, პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ.

საცხოვრებელ ადგილად მას განესაზღვრა სოფელი შუშენსკოე, რომელიც ქვეყნის სამრეწველო ცენტრებიდან დიდად დაშორებული, მცირემოსახლეობიანი, მიყრუებული დაბა იყო ციმბირის გასახლებაში ყოფნის სამი წელი, ენისეის გუბერნიის, მინუსინის ოლქის, სოფელ შუშენსკოეში, ვ. ა. ლენინმა ბრწყინვალედ გამოიყენა რევოლუციური მოძრაობის წინაშე წამოჭრილი თეორიული და პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად. მაგრამ საადვოკატო მოღვაწეობისათვის, ვ. ა. ლენინს ამ პერიოდშიც არ დაუნებებია თავი და იურიდიულ მომსახურებას უწყევდა, როგორც პოლიტიკურ გადასახლებაში მყოფ პირებს, ისე ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობას.

სამამის უფლების უქონლობის გამო იგი ამ იურიდიულ მომსახურებას სხვებით არა-

<sup>25</sup> Воспоминания о В. И. Ленине, 1956 г., т. 1, стр. 120.

<sup>26</sup> Журн. «Исторический архив», 1959 г., № 6, стр. 102.

<sup>27</sup> Журн. «Правоведение», 1961 г., № 3, стр. 118.

ოფიციალურად აწარმოებდა და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საქმიან იურიდიულ ქალაქებს უკარნახებდა საიმედო პირებს.

გასახლებაში ყოფინას, მის მიერ წარმოებულ საადვოკატო მოღვაწეობის შესახებ ვ. ი. ლენინმა ჩვენთვის უძვირფასეს მკვლევარებში რკპ(ბ) XI ყრილობაზე, თქვა „... მომაგონდა, თუ როგორ მიხდებოდა 25 წლის წინათ, როცა ციმბირში ვიყავი გადასახლებული, ადვოკატად ყოფნა. ვიყავი არღვეალური ადვოკატი, იმიტომ, რომ ადმინისტრაციული წესით ვიყავი გადასახლებული და ეს აკრძალული იყო, მაგრამ რადგან სხვა არავინ იყო, ხალხი ჩემთან მოდიოდა და მაიმობოდა ზოგიერთ საქმეს. მაგრამ აქ ყველაზე ძნელი იყო საქმის შინაარსის გაგება. მოდიხდებოდა დედაკაცი იწყებს, რა თქმა უნდა, ნათესავებით, და წარმოუდგენლად ძნელი იყო გაგება, თუ რაშია საქმე. ვეუბნები: „მოიტანე ასლი“. იგი ჰყვება თეთრი ძროხის შესახებ. ვეუბნები: „მოიტანე ასლი“, მაშინ ის მიდის და ამბობს: „არ სურს უასლოდ მომისმინოს თეთრი ძროხის შესახებ“. ბევრი ვიცინებ ამ ასლის გამო ჩვენს კოლონიაში. მაგრამ ცოტაოდენ პროგრესს მაინც მივაღწიე: როდესაც ჩემთან მოდიოდნენ, თან მოჰქონდათ ასლი, და შესაძლებელი ხდებოდა იმის გარკვევა, თუ რაშია საქმე, რატომ ჩივიან და რა აწუხებთ“<sup>28</sup>.

ვ. ი. ლენინი ამ საადვოკატო მომსახურებას ეწეოდა მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით, დროულად და მოქმედი საკანონმდებლო აქტების გამოყენებით. ამისათვის საქირო იურიდიულ ლიტერატურას, მისივე თხოვნათა და შიოთებით, მას უგზავნიდნენ მისიანები. ასე, თავის დისადმი, მარიამ ილიას ასულ უდიანოვასადმი, 1897 წლის 10 დეკემბერს დათარიღებულ წერილში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავს ორი წიგნის მიღებას და ამბობს: „... უფრო ადრე მივიღე „დებულება“ და „წესდება“, — არ მახსოვს გაცნობე თუ არა მათი მიღების შესახებ“<sup>29</sup>.

დასახლებულ წიგნიდან პირველია 1885 წლის დებულება ხისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ. მე-8 შესწორებული და შევსებული გამოცემა. ს.-პეტერბურგი, 1895 წ., მეორე კი წესდება სასჯელთა შესახებ, რომლებიც გამოაქვთ მომრიგებულ მოსამართლეებს, 1885 წ., მე-10 შევსებული გამოცემა. ს.-პეტერბურგი, 1897 წ.<sup>30</sup>

1897 წლის 24 იანვრის წერილში იგი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს უფრო ადრე მიღებული „აურობის ვესტნიკის“ მიღებას გამო, რომელიც მოსკოვის იურიდიული საზოგადოების, ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ორგანო იყო<sup>31</sup>.

1897 წლის 14 ივნისის წერილში ვ. ი. ლენინი თხოულობს, რომ მას გაუგზავნონ: 1) „ბოროტეოვსკი, სამოქალაქო კანონები (ტ. 10, ნაწ. I), 2) „სამოქალაქო სამართალწარმოების წესდება“ (ჩიბის ფორმატი)“.

ამ წიგნიდან პირველია ბოროტეოვსკი, ა. სამოქალაქო კანონები (კანონთა კრებული, ტ. 10, ნაწ. I). მე-8 შევსებული და შესწორებული გამოცემა. ს.-პეტერბურგი, 1895 წ. მეორე კი სამოქალაქო სამართალწარმოების წესდება ასხნა-განმარტებით, მმართველი ხელის სამოქალაქო საკასაციო დებარტამენტის გადაწყვეტილებათა გამო. მე-2 გადაშუშავებული გამოცემა. ს.-პეტერბურგი, 1889 წ.<sup>31</sup>

ვ. ი. ლენინმა მინუსინის მთელი მასობის გლეხობის დიდი ყურადღება და სიყვარული დაინახურა და გაითქვა სახელი.

ამასთან დაკავშირებით, ნ. კ. კრუპსკაია, რომელიც იმ დროს სოფელ შუშენსკოეში იყო, აღებოდა თავის გადასახლებულ მეუღლესთან ერთად, ვ. ი. ლენინზე მოგონებებში წერს, კვირაობით მან თავისთან შემოიღო იურიდიული კონსულტაცია. იგი დიდად პოპულარული იყო როგორც იურისტი, რადგან ოქროს სარწმინდან გადებულ ერთ მუშას დაეხმარა ოქროს მრეწველის წინააღმდეგ საქმის მოგებაში. ამ მოგებული საქმის ამბავი სწრაფად მოედო გლეხობას. მოდიოდნენ გლეხები — კაცები და ქალები და უამბობდნენ თავიანთ გასაჭირს. ვლადიმერ ილიას ძე ყურადღებით უსმენდა მათ და უკვირდებოდა ყველაფერს, შემდეგ რჩევას აძლევდა. ხშირად საქმარისი იყო დამავრულის მუქარა, უდიანოვთან ვიჩივებო, რომ მჩაგვრებს დაეთმო“<sup>32</sup>.

ნ. კ. კრუპსკაია იხსენებს აგრეთვე იმ გლეხი დედაკაცის ამბავს, რომელმაც თეთრი ძრო-

<sup>28</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 345-346.

<sup>29</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 84.

<sup>30</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 761.

<sup>31</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 97. 1960 წ. მე-4 ქართული გამოცემა.

<sup>32</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 131.





ხის თაობაზე დასასმარებლად მიმართა ვ. ი. ლენინს, და შენიშნავს: „ხანდახან ნაამბობის მიხედვით სავსებით შეუძლებელი იყო საქმის შინაარსის გაგება და ამიტომ ვლადიმერ ილიას ძე ყოველთვის სთხოვდა მათ მოეტანათ საქმის ახლი“<sup>33</sup>.

გალასხლებში მყოფი ვ. ი. ლენინის მიერ ადვოკატობრივი მშრომელი მოსახლეობისათვის აღმოჩენილი იურიდიული დახმარების ცადკუთვლ, დამახასიათებელ მაგალითებს ვეცნობით აგრეთვე მის სხვა თანამედროვეთა მოგონებებში.

აი ზოგიერთი მათგანი.

ადვოკატობრივი ღარიბი გლეხის პრონიკოვის წინააღმდეგ კულაკმა ზაცეპინმა აღძრა სახამართლოს საქმე, რომლის მიხედვითაც იგი მოითხოვდა მის სასარგებლოდ პრონიკოვისათვის დაეკისრებიათ პურის ძნის წანახდით მიყენებული ზარალის გაღება. ამის საფუძვლად კი ზაცეპინს იმ მიჩნდა, რომ, მართალია ეს პურის ძნა, მდიდარი ვაჭრის სიმონ ერემოლავს საქონელმა გაუფუჭა, მაგრამ საქონელი მის ყანაში შეიჭრა პრონიკოვის ნაკეთიდან ღობის შემტვრევის გზით. სახამართლომ გაიზიარა ზაცეპინის მოთხოვნა და პრონიკოვს დაავალა როგორც ფულადი თანხის, ასე პურის ნაწილის გადახდაც. სახამართლომ ამ უკანონო გადაწყვეტილებამ დადავ ატყინა გული მოსულე პრონიკოვს და მას ამ უსამართლობის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებები მიუღია: მისულა ვ. ი. ლენინთან, რომელიც მყისვე გამოსმაურებია მას და კიდევაც აღმოუჩენია იურიდიული დახმარება, რასაც კარგი შედეგი მოჰყოლია. სოფ. შუშენსკოვს ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. პ. როდინი, მისი სამართლის პრონიკოვის ამ თავგადასავალთან დაკავშირებით გვიამბობს: „ვლადიმერ ილიას ძემ მოუხმინა მის და შემდეგ სთხოვა, გამოძებნე და მომიყვანე ვინმე წერაკოთხვის მცოდნეო. უთხრა, ჩემი ხელით თხოვნას ვერ დავწერ, მე მხოლოდ ვუკარნახებ, რომ სახამართლოში არ მიხვდნენ, ვინ შეადგინა დოკუმენტი.“

ვლადიმერ ილიას ძესთან ჩვენ ორნი მივედით. მან ოთახში შეგვიყვანა, დაგვხსნა, მე ქალაქი, ფანქარი მომცა და დავიწყეთ წერა. იგი ოთახში ბოლთახა სცემდა და თან მკარანახობდა. მე კი ვწერდი, უველაფერი დავწერე, რაც მითხრა. მან ქალაქი გადაიკითხა, გადაშალ-გადმოშალა, შეახწორა და თქვა:

— ახლა ეს გადაწერეთ თეთრად, ისე, რომ შინ ხელი არავინ არ შევიშალოთ და შეიტანეთ სახამართლოში.

გვიჩვენა, როგორ დავგვესათაურებინა თხოვნა, განგვიმარტა, სად და ვისთვის მიგვემარტა, და ჩვენც წამოვედით.

ჩემმა სიმამრმა შეიტანა თხოვნა საქმის ხელახლა გასარჩევად და ზაცეპინიც დარჩა ხანამშრალი“<sup>34</sup>.

მეორე საქმის გამო დიდი დავა ამტყდარა გლეხთა სათემო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, რადგან ხელისუფლებმა გლეხთა საზოგადოებას უკრძალავდა იმ ტყის გამოყენებას, რომელიც მანამდე მათ სარგებლობაში იყო. გლეხებს გადაუწყვეტიათ მიწათმოქმედო ზომებო, რათა ტყე კვლავ მათ სარგებლობაში დარჩენილიყო და საამისოდ თხოვნა-მუდარით დადიოდნენ ადვოკატობრივ მოხელეებთან. მოხელეებისათვის აშკარა გახლდათ, რომ ტყე სასაზირო იყო და არ შეიძლებაოდა გლეხობის სარგებლობაში დარჩენილიყო, მაგრამ საკითხს განგებ აკიანურებდნენ, რათა რაც შეიძლება მეტი ფული გამოეძალათ გლეხებისათვის. საქმეს კი ბოლო არ უჩანდა.

შევიწროებულმა გლეხებმა დახმარებისათვის ვ. ი. ლენინს მიმართეს, რომელიც საჭირო მასალების გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მისულა, რომ ტყე ნამდვილად სასაზირო იყო და დავის გაგრძელება გლეხებისათვის უშედეგო იქნებოდა. ამის გამო ვ. ი. ლენინს გლეხებისათვის უჩრჩევია შეეწყვიტათ დავა, გლეხებს ეს რჩევა გაუზიარებიათ და ამიო გლეხთა სათემო საზოგადოებას თავიდან აუცილებია უნაყოფო სარჩები.

ვ. ი. ლენინს დიდი დახმარება გაუწვია ადვოკატობრივი გლეხი ზირიანოვისთვისაც, რომელიც ხავსებთ უსაფუძვლოდ ყოფილა მიცემული სახამართლო პასუხისგებაში საქცილო მოხელის მასალათა მიხედვით. მას დაწვრილებით გამოუკითხავს თვით ზირიანოვი, შემდეგ მოუსმენია სხვა გლეხების განმარტებისთვისაც და შეუდგენია თხოვნა სახამართლოს სახელზე.

ამ თხოვნაში ვ. ი. ლენინი საჭიროდ მიჩნევს დამატებით მოწმეთა დაკითხვას, რასაც შედეგი მოჰყოლია და სახამართლოში დადგენილა ზირიანოვის უდანაშაულობა.

<sup>33</sup> Н. К. Крупская, Воспоминания о Ленине, М., 1957 г. стр. 28.  
<sup>34</sup> Из книги Моссолева «В. И. Ленин в Сибири» 1957 г. стр. 102—103.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის შემოქმედი იყო ვ. ი. ლენინი, მთლიანად მოხპო რუსეთის ძველი სახელმწიფოებრივი სისტემა, მთელი მისი აპარატი, მთ შორის ბურჟუაზიული სასამართლო და ბურჟუაზიული ადვოკატურა. ვ. ი. ლენინი მიღწევად თვლიდა იმას, რომ, „ჩვენ დავანგრეთ რუსეთში, და სწორადაც მოვიქცით, რომ დავანგრეთ, ბურჟუაზიული ადვოკატურა“<sup>35</sup>.

გამარჯვებულმა საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ ახალი, კემშირითაღ დაემოკრათი-ულ საწყისებზე დაფუძნებული საბჭოთა სასამართლო სისტემა ჩამოაყალიბა. მასში უადრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა ადვოკატურას, რომლის ორგანიზაციასაც თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელმა ვ. ი. ლენინმა.

საბჭოთა სასამართლოში დაცვის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით დამცველთა კოლექტივის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის შენიშვნებმა, რომლებიც მას ამ საკითხზე გამოქმეული აქვს სასამართლოს შესახებ 1918 წლის თებერვლის დეკრეტის № 2 პროექტზე.

ამ პროექტის 24-ე მუხლით გათვალისწინებული იყო თავისუფალი დაცვის პრინციპი. ამით პროექტს უნდადა კანონად ექცია რევოლუციის შემდეგ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლითაც სისხლის საპართლის პროცესში დამცველად და სამოქალაქო სამართლის პროცესში გამოსვლა მხარეთა რწმუნებულად შეიძლო ყველა მოქალაქეს, რომელიც სარგებლობდა საარჩევნო უფლებებით.

ვ. ი. ლენინმა გადამწყვეტი შესწორება შეიტანა აღნიშნული დეკრეტის პროექტის 24-ე მუხლში და იმისათვის, რომ საბჭოთა სასამართლოში დაცვის ფუნქციის განხორციელებას ორგანიზებული ხასიათი მინიჭებოდა, მან მის ნაცვლად ორი მუხლი ჩამოაყალიბა<sup>36</sup>. პირველი განსაზღვრულია დაცვის ინსტიტუტის ადგილი საბჭოთა სასამართლო სისტემაში და ნათქვამია: მუხების, ჭარბსკაცების და გლეხების საბჭოებთან (სასამართლოებთან) არსდება იმ პირთა კოლექტივა, რომლებიც უფლებამოსარჩელობას ეწევიან, როგორც საზოგადოებრივი ბრალდების, ისე საზოგადოებრივი დაცვის სახით. მეორეში კი აღნიშნულია, თუ ვინ შეიძლება იყოს, დამცველთა კოლექტივის წევრი და ნათქვამია: ამ კოლექტივებში შედიან მუშათა, ჭარბსკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მიერ არჩეული პირები. სასამართლოში გამოსვლისათვის გამარჯვებულს მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ამ პირებს.

ამასთან ერთად, ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა დაუტყობოდა, ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლას იმისათვის, რომ „საბჭოთა“ უფლებამოსარჩეულების საფარქვეშ არ მომხდარიყო ბურჟუაზიული ადვოკატურის ჩვევის აღორძინება.

საბჭოთა ადვოკატურამ მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემაში რომლის განვითარების კვლობაზე გარკვეული ცვლილებები განიცადა და 1922 წლის 26 მაისის საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ჩამოყალიბდა საბჭოთა ადვოკატურის ინსტიტუტის სახით.

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანები საბჭოთა ადვოკატურის წინაშე აყენებს ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს. სულ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის მთავრ მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო კანონი სსრ კავშირის ადვოკატურის შესახებ, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა საბჭოთა ადვოკატურის პრინციპები, მიზნები და ამოცანები თანამედროვე პირობებში.

საბჭოთა ადვოკატურა ამ მოწოდების სიმაღლეზე უნდა აღმოჩნდეს და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღირსეულად შეასრულოს კომუნიზმის მშენებლის საპატიო როლი საბჭოთა მართლმსაჯულების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

<sup>35</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31.

<sup>36</sup> «Ленинский сборник», т. 21, стр. 218.

# საპარტიალნაკომოპოს აქვალური პროკლამაცია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით

ბ. შუხანაშვილი,

საქართველოს სსრ ოვსტიციის მინისტრი

სოციალიზმის მშენებლობის მრავალწლიანი პრაქტიკა და გამოცდილება მოწმობს, რომ თუ არ იქნა მტკიცე დისციპლინა და მართლწესრიგი, შეუძლებელია დემოკრატიის განვითარება, საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მართვა, სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. ამიტომ, ცხადია, რომ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებს.

სამართალწარმოებას, საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობას კონსტიტუციაში დაეთმო სპეციალური თავი. ამასთან, სამართალწარმოების მთელი რიგი პრინციპული დებულებანი პირველად ავიდა კონსტიტუციურ რანგში, ხოლო ძველი კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობისათვის ცნობილი დებულებები უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად ჩამოყალიბდა. კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია და, გასაგებია, რომ იგი დეტალურად არ აწესრიგებს და არც შეიძლება მოაწესრიგოს სამართალწარმოების კონკრეტული საკითხები. კონსტიტუციაში განზოგადებული სახითა და ფორმით არის მოცემული სამართალწარმოების ის ძირითადი, სახელმძღვანელო, ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც განსაკუთრებული სიძნადით გამოხატავს სოციალისტური წყობის არსს, მის ბუნებას, მის ჭეშმარიტ დემოკრატიზმსა და ჰუმანიზმს. ამ დებულებების კონკრეტული შინაარსი ახსნილი და გადმოცემულია დარგობრივ კანონმდებლობაში.

მიუხედავად ამისა, კონსტიტუციურ პრინციპებსა და პოზიციებს უდიდესა მნიშვნელობა აქვს როგორც მართლმსაჯულების განხორციელების პრაქტიკისათვის, ისე სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. ახალმა კონსტიტუციამ, გადაჭრა რა სამართალწარმოების მთელი რიგი პრინციპული და სადავო საკითხებისა, წამოჭრა რამდენიმე ახალი პრობლემაც, რომელიც ყოველმხრივ დამუშავებასა და განხილვას მოითხოვს. წინამდებარე სტატიაში შევვხებით ზოგიერთ ამ პრობლემას.

1. ახალ კონსტიტუციაში კატეგორიული ფორმით არის ჩამოყალიბებული დებულება, რომ სსრ კავშირში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო (მუხ. 151). ამასთან, კონსტიტუციაში მოცემულია ამომწურავი ნუსხა იმ სასამართლოებისა, რომლებიც სსრ კავშირში მოქმედებენ და უფლებამოსილი არიან განახორციელონ მართლმსაჯულება. ამ კონსტიტუციურ

დებულებას უდიდესი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი გამოირჩევა რაიმე სპეციალური, საგანგებო სასამართლოების შექმნის უოველგვარ შესაძლებლობას, მართლმსაჯულების განხორციელებას იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ შედის საერთო სასამართლო სისტემაში, პირდაპირ და უშუალოდ არ არის ძირითად კანონში მოხსენიებული როგორც მართლმსაჯულების განმარტებელი ორგანო. მხოლოდ კონსტიტუციაში დასახელებული, კონსტიტუციური პრინციპების საფუძველზე შექმნილი სასამართლო უფლებამოსილი აღასრულოს მართლმსაჯულება, განიხილოს და გადაწყვიტოს საქმეები სახელმწიფოს სახელით. ამით ერთხელ კიდევ ვაეგვა ხაზი საბჭოთა კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკისათვის დიდი ზნის ცნობილ, ხოლო ამჟამად კონსტიტუციით განმტკიცებულ დებულებას, რომ სსრ კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე (მუხ. 156). არავითარი სპეციალური, განსაკუთრებული კანონმდებლობა და სასამართლო არ არსებობს მოქალაქეთა ამა თუ იმ კატეგორიისათვის. ყველა მოქალაქე მიუხედავად წარმოშობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, განათლებისა, საქმიანობის ხასიათისა და სხვა გარემოებებისა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე.

ვიღრე ამ დებულებიდან გამომდინარე სამართლებრივ საკითხებს შევეჩებოდეთ, გავიხსენოთ კიდევ ურთი დებულება, რომელიც ასევე პირველად ჩამოყალიბდა ახალ კონსტიტუციაში. კონსტიტუციის 160-ე მუხლი ადგენს: „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“. ამ დებულებაში, რომელიც თეორიაში ცნობილია „არაბრალეულობის პრეზუმციის“ სახელწოდებით, მთელი სიცხადით არის ახსნილი და განმარტებული სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო კომპეტენციის არსი და შინაარსი. აშკარაა, რომ კონსტიტუციით როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება, ასევე პირის ბრალეულად ცნობა დანაშაულის ჩადენაში მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა. ეს კი აყენებს ამოცანას გადაისინჯოს და ახლებურად, კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყდეს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზოგიერთი ინსტიტუტი და დებულება. ავიღოთ, მაგალითად, თავდებქვეშ გადაცემის ინსტიტუტი. მოქმედი კანონმდებლობით, დანაშაულის ჩამდენი პირი გარკვეული პირობების არსებობისას შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავდებქვეშ ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს (საქართველოს სსრ სსკ 53-ე და სსკ მ-9 მუხლები). სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემის უფლება აქვს როგორც სასამართლოს, ასევე პროკურორს, გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს. თუმცა ამ ორგანოებისა და სასამართლოს მიერ დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემის სამართლებრივი შედეგები არ არის იდენტური, მაგრამ ორივე შემთხვევაში მიჩნეულია, რომ პირი ბრალეულია დანაშაულის ჩადენაში. თავდებქვეშ შეიძლება გადაეცეს მხოლოდ დამნაშავე, დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობილი პირი. უდანაშაულო პირის აღსაზრდელად და გამოსასწორებლად

გადაცემა არც კანონიერი იქნება და არც ლოგიკური. ამიტომ ის ფაქტი, რომ თავდებქვეშ გადაცემისას პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში უდავოდ უნდა იყოს დადგენილი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს და არც იწვევს, საეჭვო და გასარკვევი ის არის, შეიძლება თუ არა პროკურორს, გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს დარჩენთ თავდებქვეშ გადაცემის უფლება.

თუ კონსტიტუციის ზემოხსენებული დებულებით ვინელმძღვანელებთ, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა ვაეცეს, რადგან ამ დებულების თანახმად, დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულად ცნობა მხოლოდ სასამართლოს პრეზიდიუმს ეკუთვნის. ამავე პოზიციებიდან და მოსაზრებებით უნდა გადაისინჯოს კანონმდებლობა, რომელიც უფლებას ანიჭებს პროკურატურას, გამომძიების და მოკვლევის ორგანოებს შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე მასალების ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა კომისიისათვის გადაცემასთან, აგრეთვე დამნაშავის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით. არანაკლებ საინტერესოა და მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად მისაღები და მიზანშეწონილია დანაშაულებრივი ქმედობის ადმინისტრაციული წესით, ანდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხილვა-გადაწყვეტა, აგრეთვე ადმინისტრაციული ზემოქმედების ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც არსებითად არ განსხვავდებიან სისხლისსამართლებრივი სასჯელებისაგან: პატიმრობა, გამასწორებელი სამუშაოები და ა. შ ყველა ამ საკითხზე ლიტერატურაში მიმდინარეობს გაცხოველებული კამათი, გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და წინადადებები, რომელთა დაწვრილებითი განხილვა შორს წაგვაყვანს. ერთი რამ აშკარად იგრძნობა: სულ უფრო მეტ მომხრეებს პოულობს და მეტად იკაფავს გზას იდეა იმის შესახებ, რომ დანაშაულის სასამართლო განხილვის წესი ჭეშმარიტების დადგენის, სწორი გადაწყვეტილების მიღების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ყველაზე მისაღები ფორმა და საიმედო გარანტიაა<sup>1</sup>. ამას კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებამ, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება, პირის დამნაშავედ ცნობა და მისი დასჯა ხდება მხოლოდ სასამართლოს მიერ.

2. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ კონსტიტუციური ნორმა არაბრალეულობის პრეზუმციის შესახებ მაინცდამაინც სრულად ვერ ხსნის ამ ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას, ვერ განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს, სისხლის სამართლის პაუზისგებაში მიცემული პირის იურიდიულ მდგომარეობას. მათი აზრით, სისხლის სამართალწარმოების კანონმდებლობაში აღნიშნული დებულება უნდა დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ბრალდებული ითვლება არაბრალეულად, ვიდრე მისი ბრალეულობა

<sup>1</sup> См. Н. С. Алексеев, В. З. Лукашевич. Уголовное судопроизводство в период построения развитого социалистического общества. «Государство и право развитого социализма в СССР» Л., 1977, стр. 342—353; В. Я. Чечанов. Принципы осуществления правосудия только судом. «Конституция СССР и дальнейшее укрепление законности и правопорядка», М., 1979, стр. 143; И. Л. Петрухин, Г. П. Батуров, Т. Г. Моршакова. Теоретические основы эффективности правосудия. М., 1979, стр. 25—30.

არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით<sup>2</sup>.

ფვიქრობ, რომ კონსტიტუციური დებულება არავითარ კორექტირებასა და დაზუსტებას არ საჭიროებს. არაბრალეულობის პრეზუმციის არსი ის არის, რომ დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულად ცნობა დამნაშავეს მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება უნდა ხდებოდეს სასამართლოს მიერ, სასამართლოს განაჩენით. ეს მომენტი კი მთელი სიცხადით არის გამოხატული არაბრალეულობის შესახებ კონსტიტუციურ ფორმულაში, რომელიც ვიცვლდება ყველა მოქალაქეზე და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ბრალდებულზე, ვისი კეთილსინდისიერებაც ეჭვქვეშ არის დაყენებული, გამოკვლევისა და მტკიცების საგნად არის ქცეული.

მთავარია, რომ საგამომძიებო და სასამართლო ორგანოებს სწორად ესმოდეთ არაბრალეულობის პრეზუმციის არსი და თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრებლად ხელმძღვანელობდნენ ამ პრეზუმციით, შეეძლოთ დიდი ტაქტიკა და პატივისცემით მოეკიდონ ბრალდებულის პოზიციას, ობიექტურად და გულმოდგინედ შეამოწმონ ბრალდებულის მიერ თავის გასამართლებლად წამოყენებული ყველა შუამდგომლობა, შინაგან რწმენას საფუძვლად დაუდონ მხოლოდ ყოველმხრივ შემოწმებული მტკიცებულებები. ყოველი ეჭვი, რომლის გაფანტვაც კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებებით შეუძლებელია, განმარტონ ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს არის პრაქტიკული მნიშვნელობა და დანიშნულება არაბრალეულობის პრეზუმციისა, რომელიც ზოგადი ღირსეულობა კი არა, კონკრეტული სამართლებრივი დებულებაა და საფუძვლად უნდა ედოს საგამომძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ საქმიანობას, განსხვავდებოდეს ამ ორგანოთა საქმიანობის სტაქსა და მეთოდებს, ბრალდებულისადმი მადგომასა და დამოკიდებულებას.

3. სასამართლო იურისდიქციის გავართობებს პრობლემა კიდევ უფრო აქტიუალური გახდა ახალი კონსტიტუციის ნორმამ იმის შესახებ, რომ თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში (მუხ. 58). მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ზოგიერთი იმ მოქმედების სასამართლოში გასაჩივრებას, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა უფლებების განხორციელებასთან. სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს, მაგალითად, ამომრჩეველთა სიებში არასწორი მონაცემების შეტანა, ჯარიმის არასწორად დაკისრება, ნოტარიუსის უკანონო მოქმედება, სამუშაოდან უსაჯუტვლოდ დათხოვა და ა. შ.

კონსტიტუციაში სპეციალური მუხლის შეტანა ნიშნავს, რომ კიდევ უფრო უნდა გავართოვდეს იმ მოქმედებათა წრე, რომელთა სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვს მოქალაქეს.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის საფუძველზე მოქალაქეებს უფლება აქვთ სასამართლოში გასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ნებისმიერი

<sup>2</sup> См. В. М. Савицкий. Новый этап в осуществлении социалистического правосудия. «Советская юстиция», 1978, № 5, стр. 179., И. Л. Петрухин, Презумпция невиновности — конституционный принцип советского уголовного процесса. «Советское государство и право», 1978, № 12, стр. 18—19.

მოქმედება, თუ კი მიიჩნევენ, რომ ეს მოქმედება არის უკანონო, ამეტებს უფლებამოსილებას და ლახავს მათ უფლებებს. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს გასაჩივრებულ მოქმედებაში ნამდვილად მოიპოვება თუ არა აღნიშნული ნიშნები და ამის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ არის სწორა. კანონით, თუ წინასწარ არ განისაზღვრა ადმინისტრაციის რომელი მოქმედების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს წესით, ეს გამოიწვევს იმას, რომ მოქალაქეები ან საერთოდ ვერ ისარგებლებენ ამ უფლებით, ან კიდევ ადმინისტრაციის ნებისმიერ მოქმედებას, თუ კი მათ ეს მოქმედება ხელს არ აძლევთ, გასაჩივრებენ სასამართლოში. პრაქტიკაში პირველი ვარიანტი უფრო გამართლდა. ორ წელზე მეტი გავიდა კონსტიტუციის მიღებიდან და ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოში ვერ არავის მიუმართავს სასარჩელო განცხადებით ადმინისტრაციის ისეთი მოქმედების თაობაზე, რომლის გასაჩივრება მოქმედი კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული. ამიტომ უფრო მართებული იქნება, საქონმდებლო წესით განისაზღვროს ადმინისტრაციის ის მოქმედებები, რომლებიც შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი. რაც შეეხება გასაჩივრებულ მოქმედებათა სასამართლოში განხილვის წესს, ჩვენი აზრით, ასეთი საჩივრების განხილვა უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო წესების მიხედვით, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და ფორმების დაცვით.

4. ახალ კონსტიტუციაში აისახა მნიშვნელოვანი დებულებები მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის შესახებ. კონსტიტუციის 152-ე მუხლი ადგენს, რომ სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე. კონსტიტუციამ შეინარჩუნა სახალხო მსაჯულთა არჩევის არსებული წესი, ერთი ცვლილებით: სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევის ვადა გაიზარდა ორიდან ორნახევარ წლამდე. სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს უწინდებურად ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას ღია კენჭისყრით. ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულებს კვლავინდებურად ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ხუთი წლის ვადით.

ლიტერატურაში წამოყენებული იყო სზვადასზე წინადადება სახალხო მსაჯულთა არჩევის მოქმედი წესის შეცვლის თაობაზე. მაგალითად, აყენებდნენ წინადადებას, რომ ზემოდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევა მომხდარიყო იმავე წესით, როგორითაც სახალხო სასამართლოების მსაჯულებს ვირჩევთ ე. ა. უშუალოდ მოქალაქეთა კრებებზე, ხოლო სახალხო სასამართლოების მსაჯულები არჩეულიყო იმავე წესითა და ვადით, როგორც სახალხო მოსამართლეები ე. ა. ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით<sup>4</sup>.

<sup>3</sup> См. В. М. Савицкий. Проблемы социалистического правосудия в свете новой Конституции СССР. «Проблемы правосудия и уголовного права». М., 1978, стр. 6—8.

<sup>4</sup> См. М. С. Строгович. Социалистический демократизм советского правосудия. «Демократические основы советского социалистического правосудия» М., 1965, стр. 13—14; С. М. Ходыревский. Суд и судебное управление, Воронеж, 1976, стр. 47; Н. А. Чечина, П. С. Элькин. Проблемы правосудия развитого социалистического общества. «Государство и право развитого социализма в СССР», Л., 1977, стр. 328—329.

ეს წინადადებები, სივსებით საფუძვლიანად, არ გაიზიარა კონსტიტუციამ. ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევა სახალხო დებუტატთა საბჭოს სესიაზე კიდევ უფრო ამაღლებს მსაჯულთა ავტორიტეტს, ხაზს უსვამს მათ სამოსამართლო თანასწორობასა და სრულუფლებიანობას. სახალხო სასამართლოების მსაჯულების ხუთი წლის ვადით არჩევა მნიშვნელოვნად შეამცირებდა სახალხო მსაჯულებად არჩეულ პირთა რიცხვს, რაც ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების განხორციელებაში ფართო მასების მონაწილეობის ლენინურ პრინციპს.

5. 1936 წლის კონსტიტუციით, საქმეები ყველა სასამართლოში განიხილებოდა სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ეს დებულება ახალ კონსტიტუციაში უფრო ზუსტად არის ჩამოყალიბებული. 154-ე მუხლის თანახმად, სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით სამოქალაქო და სისხლის სანართლის საქმეები განიხილება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ დებულებით არ იქნა გაზიარებული წინადადებები იმ მეცნიერებისა, რომლებიც მოითხოვდნენ სახალხო მსაჯულთა შეყვანას საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობაში<sup>5</sup>. ახალი კონსტიტუციის ასეთი პოზიცია მართებულია. საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებში არ ეწყობა სამსჯავრო გამოძიება, არ დგინდება განაჩენი, საქმეზე არსებული განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა მოწმდება უკვე გამოკვლეული მტკიცებულებების, საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით. ეს კი, ჩვენი აზრით, უფრო ხელმისაწვდომია პროფესიონალი მოსამართლისათვის. დამაჯერებლად არ მიგვაჩნია მტკიცება იმის შესახებ, თითქოს განაჩენის დადგენა უფრო რთული საქმე იყოს, ვიდრე მისი კანონიერების შემოწმება და ამიტომ თუ სახალხო მსაჯულები პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობენ, ე. ი. წყვეტენ რთულ საკითხებს, მაშინ ისინი ზემდგომი სასამართლოს შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდნენო. ჯერ ერთი, შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, რა უფრო რთულია: განაჩენის დადგენა თუ მისი კანონიერების შემოწმება. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებსა და იმ მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე, ვინც ადგენს ან ამოწმებს განაჩენის კანონიერებას. მეორე, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახალხო მსაჯულები გადასაწყვეტი საკითხების სირთულის გამო კი არ მონაწილეობენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მსაჯულთა მონაწილეობით მოეწყობოდა წინასწარი გამოძიებაც, სადაც ვაცილებით არახელსაყრელ პირობებში წყდება ისეთი რთული საკითხები, როგორც არის მტკიცებულებათა გამოვლენა, ვერსიების შემუშავება, მტკიცების საგნისა და ფარგლების სწორად განსაზღვრა, ბრალდების ფორმულის ჩამოყალიბება და ა. შ. სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას, იმიტომ, რომ აქ უშუალოდ ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა, ჩვენებათა

<sup>5</sup> См. Т. Н. Добровольская. Организация и деятельность советского суда в период развернутого строительства коммунизма. «Советское государство и право», 1963, № 1, стр. 97; И. Д. Перлов. Кассационное производство в советском уголовном процессе, М., 1968, стр. 43—45.



მოსმენა-შეფასება. ნივთმტკიცებათა დათვალიერება, ისეთი საკითხებისა და სიტუაციების გარკვევა, რაც მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მოითხოვს დიდ ცხოვრებისეულ ალღოსა და გამოცდილებას.

ავტორებს, რომლებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის აუცილებლობას ასაბუთებენ, ერთ-ერთ არგუმენტად იმას მიიჩნევენ, რომ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის კანონმდებლობაში ეს საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. მათი არგუმენტი არ არის დამაკრებელი, რადგან აღნიშნულ ქვეყნებში მეორე ინსტანციის სასამართლო უშუალოდ იკვლევს მტკიცებებს: დაჰკითხავს განსაცხელს, მოწმეებს, დაზარალებულს და ა. შ. მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა არსებითად არ განსხვავდება პირველი ინსტანციისაგან, ამიტომ იქ მსაჯულთა მონაწილეობა გასაგებიც არის და გამართლებულიც.

6. კონსტიტუციით განსაზღვრული არ არის საქმის განხილვაში მონაწილე სახალხო მსაჯულთა რაოდენობა. დარგობრივი კანონმდებლობით დადგენილია, რომ პირველი ინსტანციით საქმეს განიხილავენ პროფესიონალი მოსამართლე (სახალხო მოსამართლე ან სასამართლოს წევრი), და ორი სახალხო მსაჯული. ლიტერატურაში დიდი ხანია დასმულია საკითხი პირველი ინსტანციით საქმის განხილველი სასამართლოს შემადგენლობაში სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. ამასთან აყენებენ სხვადასხვა ვარიანტს. მოითხოვენ, მაგალითად, სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდას ოთხამდე, ექვსამდე, თორმეტამდე იმის და მიხედვით, თუ რა ხასიათის საქმე იხილება. ზოგი ავტორის აზრით, სახალხო მსაჯულთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ განსაკუთრებით რთული, საშიში დანაშაულის ან დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობის მქონე საქმეების განხილვისას, აგრეთვე იმ საქმეებზე, რომლებზეც სამართალში მიცემულებს ემუქრებათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ამ წინადადებებს იმით ასაბუთებენ, თითქოს სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდა ამაღლებდეს განაჩენის ავტორიტეტს, უზრუნველყოფდეს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, შეამცირებდეს სასამართლო შეცდომებს, განამტკიცებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და ა. შ.<sup>6</sup>

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრებები არ არის დასაბუთებული და დამაკრებელი. ჯერ ერთი, გაუგებარია სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდით როგორ და რატომ უნდა ამაღლდეს მართლმსაჯულების ავტორიტეტი. სახალხო მსაჯულები საერთოდ არ მონაწილეობენ საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოებში, მაგრამ, არა მგონია, ამის გამო ამ სასამართლოების ავტორიტეტი პირველი ინსტანციის სასამართლოს ავტორიტეტზე ნაკლები იყოს. მეორე, თუ საქმის განხილვაში სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების გარანტიაა, მაშინ გაუგებარია ამ გარანტიას რატომ უნდა იყვნენ მოკლებულნი სამართალში მიცემული ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული. მესამე, ვის და რით შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რომელი საქმის განხილვა იქნება რთული და რო-

<sup>6</sup> См. В. К. Сорогин. О составе суда первой инстанции. «Проблемы борьбы с преступностью». М., 1971, стр. 162; В. И. Каминская. О дополнительных процессуальных гарантиях при производстве по делам о тяжких преступлениях. «Вопросы борьбы с преступностью», 1971, вып. 13, стр. 68—70; Ю. М. Грошевой. Сущность судебных решений в советском уголовном процессе. Харьков, 1979, стр. 60.

მლისა ადვილი. განხილვისა და მტკიცებულებათა თვალსაზრისით ზოგჯერ საქმე შეუტარცხოფვის შესახებ უფრო რთულია, ვიდრე მკვლევლობის საქმე. ან განა ცოტაა ისეთი საქმეები, რომელთა განხილვა ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა იყოს რთული, მაგრამ სასამართლო განხილვის პროცესში უაღრესად გართულდება ხოლმე?!

ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, სასამართლო საქმეების განხილვისას სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდის არავითარი საჭიროება და აუცილებლობა არ არსებობს. მართლმსაჯულების ავტორიტეტს, კანონიერი, დასაბუთებული და დამაჯერებელი განაჩენის დადგენას უზრუნველყოფს არა სახალხო მსაჯულთა რაოდენობა, არამედ სასამართლოს შემადგენლობის მომზადების დონე, მოქმედი კანონმდებლობის დროა ცოდნა და საქმის განხილვა-გადაწყვეტისას მისი ზუსტი და განუხრელი დაცვა.

7. ლიტერატურაში დიდი ინტერესი და ემათი გამოიწვია საკითხმა სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას პროფესიონალ მოსამართლესა და სახალხო მსაჯულებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ. ზოგი ავტორის აზრით, საქმის განხილვა-გადაწყვეტის მოქმედი წესი, რომლის თანახმად მოსამართლე და სახალხო მსაჯულები ერთად წვდებენ ყველა საკითხს, ხელს უშლის სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობას, რადგან მოსამართლე თავისი ავტორიტეტით, სამართლებრივი საკითხების ცოდნით ზეგავლენას ახდენს მსაჯულებზე. ამასთან დაკავშირებით აყენებენ წინადადებას იმის შესახებ, რომ სახალხო მსაჯულებმა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ სამართალში მიცემულის ბრალეულობის საკითხი, ხოლო სასჯელი განსაზღვროს პროფესიონალმა მოსამართლემ ერთპიროვნულად, ან სახალხო მსაჯულებთან ერთად<sup>7</sup>. ერთი სიტყვით, არსებითად ეს ავტორები მოითხოვენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღდგენას. საბჭოთა პროცესუალისტების უმრავლესობა აქ წინადადებას არ ეთანხმება იმიტომ კი არა, რომ მისი შიშებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მსგავსი ორგანო შეიქმნება, არამედ სულ სხვა მოსაზრებებით. საქმე ის არის, რომ მისი მიღება ეწინააღმდეგება საბჭოთა მართლმსაჯულების ისეთ ფუნქციონირებულ რეგულაციებს, როგორცაა საქმის განხილვის კოლეგიალობა და მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობა. სამართალწარმოების ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპები ჰირდაპირ აისახა ახალ კონსტიტუციაში, რომლის 154-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხდება კოლეგიალურად. სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ.

ამ წინადადებების მიღება არსებითად შეზღუდავდა როგორც სახალხო მსაჯულების, ისე პროფესიონალი მოსამართლის უფლებამოსილებას. შემოთავაზებული წესით დადგენილი განაჩენი, საერთოდ, არ წარმოადგენს სასამართლოს განაჩენს, რადგან განაჩენის მთავარი, ძირითადი საკითხი (საკითხი ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის შესახებ) გადაწყვეტილი იქნება მოსა-

<sup>7</sup> См. Н. П. Кан. Некоторые пути совершенствования уголовного судопроизводства. «Советское государство и право». 1963, № 12, стр. 105; Н. Четунова. Суд удалился на совещание. «Литературная газета». 1967, 29 марта; В. П. Нажимов, С. И. Прокопьева. О формах участия народных представителей в осуществлении правосудия по уголовным делам. «Вопросы организации суда в осуществлении правосудия». т. 2, Калининград, 1973, стр. 66—65.

მართლის მონაწილეობის გარეშე. ამავე მოსაზრებებით, მიუღებელია სახალხო მსაჯულთა ჩამოცილება სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისაგან.

8. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში უფრო სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპი. კონსტიტუციის 157-ე მუხლის თანახმად „საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში, ამასთან სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით“. ეს ფორმულირება არსებითად განსხვავდება ძველი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის რედაქციისაგან. ეს უფრო ნათელი რომ იყოს, გავიხსენოთ, როგორ იყო ჩამოყალიბებული საჯაროობის პრინციპი 1936 წლის კონსტიტუციაში. „საქმის გარჩევა სსრ კავშირის ყველა სასამართლოში ხდება ღიად, რამდენადაც გამოწვევის კანონით არ არის გათვალისწინებული“ (მუხ. 111). ახალი კონსტიტუციის სიახლეა არა მარტო მითითება იმის შესახებ, რომ საქმის დახურულ სხდომაზე განხილვისას დაცული უნდა იყოს სამართალწარმოების ყველა წესი, რაც თავისთავად მეტად არსებითი დებულებაა. უფრო არსებითი სიახლე აქ სხვაა. ძველი კონსტიტუციის რედაქცია საჯაროობის პრინციპის შეზღუდვას უშვებდა როგორც საქმეების, ასევე სასამართლო ინსტანციების მიმართ. ამიტომ ზოგიერთი ავტორის მტკიცება, თითქოს საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებში საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა ეწინააღმდეგებოდეს წინააღმდეგობას კონსტიტუციას, ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული<sup>8</sup> ახალი კონსტიტუცია, ჩვენი აზრით, საჯაროობის პრინციპის შეზღუდვას უშვებს მხოლოდ საქმეების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვა უნდა მიმდინარეობდეს ღიად, თუ კი ამ საქმის მოსმენა, საერთოდ, არ ეწინააღმდეგება საჯაროობის პრინციპს, ე. ი. საქმე ღია სხდომაზე უნდა იხილებოდეს არა მარტო პირველი და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, არამედ საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებშიც, რა თქმა უნდა, საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებში საჯაროობის პრინციპის დაშვება გამოაწვევს პრეზიდენტიუმებისა და პლენუმების სხდომის წესში ზოგიერთი ცვლილების შეტანას, მაგრამ ეს არ არის რთული. სასამართლო პროცედურის თვალსაზრისით, საზედამხედველო წარმოება არსებითად არ განსხვავდება საკასაციო წარმოებისაგან და აქ არაფერია ისეთი, რაც ხელს უშლიდეს საჯაროობის პრინციპის განხორციელებას. პირიქით, ზედამხედველობის წესით საქმის ღია სხდომაზე განხილვა ხელს შეუწყობს ამ სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ზემოქმედების სფეროს გაფართოებას<sup>9</sup>.

9. და ბოლოს, ერთი საკონსტიტუციო სიახლის შესახებ. კონსტიტუციის 162-ე მუხლი ადგენს, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა. ამასთან დაკავშირებით

<sup>8</sup> ამის შესახებ უფრო დეტალურად იხ. А. А. Шушанашвили. Гласность в советском уголовном процессе. Тбилиси, 1969, стр. 99—101.

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახალხო დემოკრატიის ქვეყნის კანონმდებლობით ეს საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. მაგალითად, ბულგარეთის სსკ 251-ე მუხლის თანახმად, სასამართლო თუ საპიროდ დაინახავს, საქმეს ზედამხედველობის წესით იხილავს ღია სამსჯავრო სხდომაზე, ასეთივე წესია დადგენილი რუმინეთის სს კოდექსით (მუხ. 242).

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკანონმდებლო წესით განისაზღვროს და მოწესრიგდეს წინასწარგამოჩიებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები, გაფართოვდეს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების სასამართლოში განხილვისას საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა უფლებამოსილება. ამჟამად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ მხოლოდ ზოგად მითითებას, რომ გამოძიებელი ვალდებულია დანაშაულის გახსნის, დამნაშავეთა დაჭერის, აგრეთვე დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება. ამასთან დაკავშირებით აყენებენ საკითხს, რომ კანონმდებლობით საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მიენიჭოთ პროცესუალური უფლებები და მოვალეობანი.

დასმულია აგრეთვე საკითხი, რომ სამოქალაქო სამართლის პროცესში საზოგადოებრიობის წარმომადგენელს, აგრეთვე სისხლის სამართალწარმოებაში საზოგადოებრივ ბრალმძებელსა და საზოგადოებრივ დამცველს მიენიჭოთ უფრო ფართო უფლებები, კერძოდ, უფლება გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) და მონაწილეობა მიიღონ საქმის საკასაციო წესით განხილვაში<sup>10</sup>.

ასე დგას, მოკლედ, სამართალწარმოების ზოგიერთი პრობლემა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კონსტიტუციის პროექტის განხილვისას აპხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშვნა, რომ ახალმა კონსტიტუციამ ხელი უნდა შეუწყოს სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. „პარტია შიგლის, რომ ყველა ეს ორგანო კიდევ უფრო მეტ ინიციატივას, პრინციპულობასა და შეურიგებლობას გამოიჩინოს საბჭოთა მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში“<sup>11</sup>. ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ეს სიტყვები მოუწოდებს საბჭოთა მეცნიერებსა და პრაქტიკულ მუშაკებს მეტი მონაწილეობით და უფრო ეფექტიანად იმუშაონ სამართალწარმოების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფისათვის, საბჭოთა მართლმსაჯულების კონსტიტუციური დებულებების სწორად გაგებისა და განხორციელებისათვის.

<sup>10</sup> См. Н. Н. Тарнеев. Конституционные основы участия представителей обществности в судопроизводстве по уголовным делам. «Конституция СССР и дальнейшее укрепление законности и правопорядка», М., 1979, стр. 156—161.

<sup>11</sup> ვაზგთი „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ივნისი.

# სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება ამოხრეველის წინაშე

ა. ბუღაძე-აზვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოხსენებების  
სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზმის დაშინებისათვის ნიშან-თვისებაა მუდმივი და ფართო კავშირი მასებთან. ერთ-ერთი ფორმა ამ კავშირისა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, არის მუშათა და გლეხთა საერთო კრებების წინაშე ყველა პასუხისმგებელი პირის საქმიანი ანგარიშგება, რათა მასებს მიეცეს შესაძლებლობა გააკრიტიკონ საბჭოთა დაწესებულებები და მათი მუშაობა.

ვ. ი. ლენინის ეს მითითება მთლიანად შეეხება სასამართლოსაც, როგორც საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შემადგენელ ნაწილს. ჩვენში ამომრჩეველებს კანონით მინიჭებული აქვთ უფლება განახორციელონ კონტროლი საბჭოთა სასამართლოსადმი და უზრუნველყონ ხალხის უფლება: 1) აირჩიოს სასამართლოს შემადგენლობა; 2) მუდმივად იყოს არჩეულ მოსამართლეთა საქმიანობის კურსში, გააკრიტიკოს სასამართლოს მუშაობის ნაკლოვანებები და წამოაყენოს კონკრეტული წინადადებები მათი აღმოფხვრისათვის; 3) ჩამოართვას არჩეულ მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს უფლებამოსილება, ე. ი. ვადაძლე გამოიწვიოს ისინი.

ამომრჩეველთა წინაშე მოსამართლეთა ანგარიშგების ინსტიტუტი საბჭოთა სასამართლოს დემოკრატიული არსის ნათელი გამოხატულებაა. იგი საშუალებას იძლევა ფართო საზოგადოებრიობის განსახილველად გატანილ იქნეს სასამართლოს საქმიანობა, მშრომელები უფრო აქტიურად ჩაებან სასამართლო ორგანოების მოღვაწეობაში, გააკრიტიკონ ნაკლოვანებები მართლმსაჯულების განხორციელებაში, დარაზმონ მასები სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორ უნდა მომზადდეს მოსამართლის საანგარიშო მოხსენება? საანგარიშო მოხსენების ეფექტიანობა და პრაქტიკული ღირებულება ბევრად არის დამოკიდებული მის სწორად აგებაზე, ფორმასა და შინაარსის კონკრეტულობაზე.

მოხსენების სტრუქტურისა და შინაარსის განსაზღვრისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, თუ მერამდენად ეწყობა მოცემულ შრომითს კოლექტივში მოსამართლის ანგარიშგება. თუ იგი პირველად ტარდება, მაშინ მიზანშეწონილია მოხსენების ტექსტს ჰქონდეს შესავალი ნაწილი, სადაც მოკლედ იქნება განმარტებული თანამედროვე პირობებში სახალხო სასამართლოს წინაშე დასასჯელი მიხსნები და ამოცანები. თუ მოსამართლე იმავე აუდიტორიას მეთრედ აბარებს ანგარიშს, ამგვარი შესავალი საჭირო არ არის.

შესავალ ნაწილში მომხსენებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და მისი აღმოფხვრის საკითხებზე. აქვე იგი ვანმარტავს, თუ რა როლი

აკისრიათ ამ ამოცანათა გადაწყვეტაში მოქალაქეებს, კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. კარგი იქნება მოხსენებაში მოყვანილი იყოს კონკრეტული მაგალითები იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობენ რაიონის ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმეულები და სახალხო მსაჯულთა საბჭო.

საანგარიშო მოხსენებაში უნდა გაშუქდეს სასამართლოს საქმიანობა ცალკეულ უბნების მიხედვით (კონკრეტული საქმეების განხილვა და გადაწყვეტა: პროფილაქტიკური მუშაობა; გადაწყვეტილებების აღსრულება და ა. შ.) აქვე მომხსენებელი განმარტავს თითოეული ამ დარგის მნიშვნელობას. თუ ანგარიშგება მეორედ ეწყობა, საჭიროა მოსამართლემ დამსწერთ მოაქსნოს, თუ რა გააკეთა სასამართლომ იმ შენიშვნებისა და წინადადებების განსახორციელებლად, რომლებიც წინა შეხვედრაზე გამოითქვა.

ცხადია, მომხსენებელს სხვადასხვა კონკრეტული პირობების (აუდიტორიის სპეციფიკა, დანაშაულის დინამიკა და სხვ.) გათვალისწინებით მოუხდება ყურადღება უფრო მეტად გაამახვილოს მუშაობის ამა თუ იმ უბანზე, მაგრამ მას არ შეუძლია გვერდი აუაროს მთელი საანგარიშო პერიოდის მანძილზე ძირითად მიმართულებათა გაშუქებას.

იმის გამო, რომ მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს ძირითადი სამოღვაწეო უბანია, საანგარიშო მოხსენებაში მთავარი ადგილი სწორედ მას ეთმობა.

არ არის საჭირო მოხსენების ზედმეტად გადატვირთვა სტატისტიკური მონაცემებით. მთავარი ციფრები კი არა, მათი კვალიფიკაციური ანალიზია. განსაკუთრებით სასარგებლოა მოცემული შრომითი კოლექტივის ან ახლომდებარე კოლმეურნეობის, წარმოების, სამშენებლო ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითების გაანალიზება.

მსმენელებს უნდა განემარტოთ ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების შინაარსი და მნიშვნელობა, როგორიც არის კერძო განჩინება, შრომითს კოლექტივებში განჩინების ასლების განხილვა და გამსვლელი სესიები. ამის შემდეგ რეკომენდებულია მომხსენებელმა გააშუქოს სასამართლო მოღვაწეობის სხვა მხარეები, კერძოდ: ამხანაგური სასამართლოებისათვის დახმარების გაწევა, სახალხო მსაჯულებთან მუშაობა და სახალხო მსაჯულთა საბჭოსადმი ხელმძღვანელობა, კანონმდებლობის პროპაგანდა და სამართალმშრომლობითი მუშაობა, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის მნიშვნელობა.

მოხსენებაში სათანადოდ უნდა გაანალიზდეს შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებიც გვხვდება სასამართლოს მუშაობაში, აიხსნას ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ განჩინების (გადაწყვეტილების) გაუქმების ან შეცვლის მიზეზები. ეს ხელს შეუწყობს ფაქტების სწორ ინტერპრეტაციას, მოსახლეობის მართლშეგნების დონის ამაღლებას, თავიდან აგვაცილებს ამ მოვლენების ობივატელურად აღქმას.

საანგარიშო მოხსენების მოცულობა და შინაარსი განისაზღვრება ანგარიშგებამდე რამდენიმე დღით ადრე იმის და მიხედვით, პირველად ეწყობა იგი მოცემულ კოლექტივში თუ მეორედ.

საანგარიშო მოხსენების შედგენამდე მიზანშეწონილია მოსამართლე მო-

ეთათბიროს იმ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სადაც დაგვემილია ანგარიშგება, გაითვალისწინოს მათი აზრი.

მოხსენების სწორად აგებაში მოსამართლეებს, განსაკუთრებით კი დამწყებთ, დაეხმარება მოხსენების თეზისების კოლექტიური შემუშავება და მათი წინასწარი გულდასმით განხილვა.

ანგარიშგების წინ კონკრეტული მაგალითების შერჩევისათვის დროის ღაზოგვის მიზნით კარგი იქნება სასამართლოებმა შემოიღონ რაიონში არსებული მსხვილი საწარმოებისა და დაწესებულების სია, ყურნალები, სადაც აღინიშნება დროთა განმავლობაში დაგროვილი საჭირო კონკრეტული მასალა. ასევე სასარგებლოა სასამართლოებმა შემოიღონ შრომითს კოლექტივებში გამოქმული შენიშვნებისა და წინადადებების ყურნალი, რათა მათთან მეორე შეხვედრის დროს მოსამართლემ მოახსენოს დამსწრეთ, თუ როგორ იქნა რეალიზებული შენიშვნები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო მოხსენების ჩატარების დროის და ადგილის შერჩევას.

მისი დანიშვნა სამუშაო დღის არახელსაყრელ დროს (შესვენების საათები, ცკლებს შორის არსებული დროის მონაკვეთი და ა. შ.) უარყოფითს გავლენას ახდენს ამომრჩეველთა დასწრებაზე, მათ აქტიურობაზე, მოსამართლე იძულებულია მნიშვნელოვნად შეამციროს მოხსენება, იჩქაროს, რაც ვნებს საქმეს. უარყოფით შედეგს იძლევა აგრეთვე ანგარიშგების ჩატარება მიუხეობებელ, ტექნიკურ საშუალებებს მოკლებულ აუდიტორიუმში.

საანგარიშო მოხსენების დაგეგმვისა და ჩატარებაში სახალხო სასამართლოებს დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ შრომითი კოლექტივების პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რეკომენდებულია სახალხო სასამართლოებმა პარტიის რაიკომებს წინასწარ შეუთანხმონ, თუ რომელ ორგანიზაციებში ჩატარებენ ანგარიშგებას, რათა მათ წინასწარ გაუგზავნონ შეტყობინება პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ თავიანთ სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ ეს ღონისძიებები.

საანგარიშო მოხსენებების საინტერესო ვაგარძელუბად შეიძლება იქცეს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის ან წევრის თანამოხსენება, რომელიც მოუთხოვრებს ამომრჩეველებს, თუ როგორ ეხმარება მათ სახალხო სასამართლო.

ანგარიშგების თაობაზე დგება ოქმი, რომელშიც დაფიქსირდება ამომრჩეველთა ყველა შენიშვნა და წინადადება. იგი საშუალებას მისცემს მოსამართლეებს გაითვალისწინონ კრიტიკული შენიშვნები, წინადადებები, იზრუნონ მათი რეალიზაციისათვის.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად, სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან ამრჩევი ორგანოების წინაშე და ანგარიშს აბარებენ მათ.

სახალხო მსაჯულის ანგარიშგება ეწყობა სისტემატურად, მისი სახალხო სასამართლოდან შრომითს კოლექტივში დაბრუნებისთანავე. საანგარიშო მ.ახსენების აგებისა და შინაარსის განსაზღვრის.ს სახალხო მსაჯულებსაც შეუძლიათ იხელმძღვანელონ ამ რეკომენდაციებით.

# ჰეგელის სამართლის ფილოსოფია და მისი პოლიტიკური ფილოსოფიის პრაქტიკა

ბროფ. ვ. როზინი

ჰეგელის პოლიტიკური ფილოსოფია უკვე საუკუნე-ნახევარია წარმოადგენს პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის სხვადასხვა სკოლის, მიმართულებისა და მიმდინარეობის წარმომადგენელთა იდეოლოგიური ბრძოლის საგანს. ამ ბრძოლის ერთ-ერთ პრობლემას შეადგენს ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის გავლენა პოლიტიკურ სინამდვილეზე. მათ თანამედროვე პოლიტიკურ პრაქტიკაზე. პრობლემის მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ ჰეგელის სამართლის ფილოსოფია გარკვეული ზომით წარმოადგენდა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებათა ფორმირების ამოსავალ მომენტს. ჰეგელთან პოლიტიკა დიალექტიკურ კავშირშია ფილოსოფიასთან, უფრო მეტიც — იგი ფილოსოფიური მეცნიერების ორჯანულ ნაწილად არის წარმოსახული. როგორც ამ მეცნიერების ნაწილი პოლიტიკა იქნეს შემკავშირებელი რგოლის მნიშვნელობას ფილოსოფიასა და პოლიტიკურ სინამდვილეს, რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკას შორის.

ჰეგელის პოლიტიკური კონცეფციის შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ ემპირიულ სახელმწიფოსა და სახელმწიფოს იდეის გაიმიჯნავს. სახელმწიფო როგორც იდეა არ ემთხვევა რეალურ სახელმწიფოს. ამ მოსაზრების პრაქტიკულა პოლიტიკური შინაარსი იმის აღიარებაშია, რომ არის სახელმწიფოები, რომლებსაც აქვს ესა თუ ის ნაკლოვანება, რომ გარკვეულმა ურთიერთობებმა შეიძლება დამახინჯონ იგი და, ამრიგად ემპირიული სახელმწიფო გამოდის სახელმწიფოს, როგორც ზნეობრივი მთლიანობის დამახინჯებელი იდეა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჰეგელი დაპარაკობს თავისი დროის „განვითარებულ სახელმწიფოებზე“ გასაგები სდება მისი პრაქტიკული დამოკიდებულება, კერძოდ, პრუსიის სახელმწიფოებრიობისადმი.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფია არის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფილოსოფია (კონსტიტუციური მონარქიის ფორმით), პრაქტიკაში ბურჟუაზიული მართლწესრიგის ფილოსოფია. არსებითად ჰეგელი გამოდგება ბურჟუაზიის ზომიერ იდეოლოგად. მისი სამართლის ფილოსოფია საბოლოო ანგარიშში ასაბუთებდა სამართლებრივ სახელმწიფოს. რამდენადაც მისი მოძღვრების მიხედვით სახელმწიფო არის რელიგიური სამართლებრივი იდეა. ეს იყო გარკვეული გამოსავალი რათა მოეთხოვა პოლიტიკურ პრაქტიკაში ერთიანი კანონმდებლობა სახელმწიფოსათვის, პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა გარანტირება, ფეოდალური ავითნებობისა, უკანონობისა და ძალადობის აღკვეთა. პოლიტიკურ თეორიაში პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა მოთხოვნა (რო თქმა უნდა ფორმალური), ამ თვალსაზრისით მეტროპოლების წინააღმდეგ კოლონიების ხალხთა აჯანყებების გამართლება მეტყველებს ჰეგელის პოლიტიკური ფილოსოფიის ანტიფეოდალური ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ „თანამედროვე სახელმწიფოს“ (ე. ი. ბურჟუაზიულს) შეუძლია დაძლიოს ენდოვიდუალურის დათრგუნვა საყოველთაოთი ანტიკურ სახელმწიფოში, ფეოდალთა მრავალხელისუფლიანობა შუასაუკუნეების ეპოქაში. „ასალი სახელმწიფოს“ არსს იგი ხედავდა საყოველთაო კავშირში განსაკუთრებულის სრულ თავისუფლებასთან, ენდოვიდუა კეთილდღეობასთან.

აზრი, რომ ნამდვილი რეალური სახელმწიფო არ ემთხვევა სახელმწიფოს ცნებას იძლეოდა იმის საფუძველს, რათა საყოველთაოდ ეღიარებინათ, რომ სახელმწიფოს ჰეგელისეული ცნებას სრულად შესაბამისი რეალური სახელმწიფო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ნამდვილად არსებული სახელმწიფო პრაქტიკაში გამოვლინდება როგორც საზოგადოებისათვის უცხო და მისდამი დაპირისპირებული ძალა. მხოლოდ ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვის შედეგად მივიღა კ. მარქსი იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს — საზოგადოების პროლეტარს მახა განვითარების გარკვეულ საფეხურზე — არ შეუძლია დაძლიოს საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, რომ კაცობრიობის ჭეშმარიტი გან-



თავისუფლება დაკავშირებულია არა სახელმწიფოს ანა თუ იმ ინსტიტუტების გარდაქმნასთან, არამედ „სამოქალაქო საზოგადოების“ ძირეულ შეცვლასთან. პოლიტიკური ფილოსოფიის ეს ახალი ამოსავალი პუნქტი ექვა ახალ პოლიტიკურ პრაქტიკის ამოსავალ პუნქტად და წარმოშვა ბრძოლის ახალი დროსენი.

თუმცა ჭეგელის სამართლის ფილოსოფიამ პირველ ხანებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კ. მარქსის თეორიულ მიდგომაზე სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებისადმი, მაგრამ თავიდანვე კ. მარქსის პრაქტიკული დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი არსებობდა განსხვავდებოდა ჭეგელისეულისაგან. ჭეგელისაგან განსხვავებით კ. მარქსი რესპუბლიკელია, ჩაგრულების ინტერესების დამცველი. პოლიტიკური სინამდვილის შესწავლის კვალობაზე კ. მარქსი თანდათან შორდება ჭეგელისეულ გაგებას სახელმწიფოს — როგორც დიადი ორგანიზმისა, რომელშიც უნდა წარსდგებოდეს პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვაობრივი თავისუფლება. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პოლიტიკურმა პრაქტიკამ, რომელმაც უკუაგდო გონიერი სახელმწიფოს ჭეგელისეული მითი, სწორედ პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკამ დაარწმუნა კ. მარქსი, რომ პრუხიის სახელმწიფო არ შეესაბამება იდეალურ სამყაროს, რომ მთელი მისი რეაქციული პოლიტიკა მისი არსისაგან გადახვევას კი არ წარმოადგენს, არამედ მთლიანად შეესაბამება მის არსს.

ცხადია, ჭეგელის პოლიტიკური ფილოსოფია არა მარტო ზეგავლენას ახდენდა პრაქტიკაზე, თვით პოლიტიკური სინამდვილე პოულობდა ახახვას მის სამართლის ფილოსოფიაში, წარმოადგენდა სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში, თუმცა, პოლიტიკური ფაქტსაზრისით ზომიერი, მისი ყველაზე ნაყოფიერი იდეების წარმოქმნის, ე. ი. ლენინი შემთხვევით არ აღნიშნავდა, რომ ამ მოაზროვნისათვის დამახასიათებელია ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები და ისტორიული მატერიალიზმის განხილავდა, როგორც ამ იდეების განვითარებას და გამოყენებას. საბჭოთა მეცნიერმა ა. ა. პონტოვსკიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მიუხედავად იდეალიზმისა და ჭეგელის მიერ სახელმწიფოს მისტიფიკაციისა, მასთან ვხვდებით ზოგერთ იდეოლოგიებს, რომლებშიც იგი თავისუფლად თითქოს უახლოვდებოდა სახელმწიფოს ისეთ დებულებებს, რომლებშიც იგი თავისუფლად თითქოს უახლოვდებოდა სახელმწიფოს მატერიალისტურ გაგებას. მაგალითად, „ფილოსოფიის ისტორიაში“ ჩრდილოეთ ამერიკაში სახელმწიფოს განვითარებასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავდა: „ნამდვილი სახელმწიფო და ნამდვილი მთავრობა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე არსებობს წოდებათა განსხვავება, როდესაც ხიმედირე და ხილარბე მტრად დიდად არის განსხვავებული და როდესაც წარმოიშობა ისეთი ურთიერთობა, რომელთა დროს უდიდეს მასხა ადარ შეუქმნა თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება“<sup>1</sup> ისტორიულმა აღღომ და სახელმწიფოებრიობის პრაქტიკის ანალიზმა ჭეგელი მიიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს, „წინობრივი იდეის სინამდვილეს“, „ღმერთის მსველდობა სამყაროში“ და ა. შ. თურმე ემორჩილება მიწიერ წინააღმდეგობებს, ქონებრივი მდგომარეობის უკიდურესობის წინააღმდეგობებს.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ჭეგელის დებულება: „ყოველი ნამდვილი გონიერია, ყოველი გონიერი ნამდვილია“, — ბეცი მთავრობების მოწონებას იმსახურებდა და ასევე უკმაყოფილებას იწვევდა ლიბერალების მხრივ. ვინაიდან ერთხაც და მეორეხაც ეჩვენებოდა, რომ ეს დებულება წარმოადგენდა პრუხიის პოლიტიკური სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური სხატემის ფილოსოფიურ გამართლებას, დესპოტიზმის კურთხევას. მაგრამ უკვე 1838 წელს ჰენრიხ ჰაინემ, ხოლო მის შემდეგ რადიკალურმა ახალგაზრდა ჭეგელიანებმა ამ დებულებას სხვანაირად გაგების შესაძლებლობა დინახეს. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ჭეგელის მხედვით სინამდვილე არ წარმოადგენს ისეთ ატრიბუტს, რომელიც ყველა გარემოებებში და ყოველ დროს დამახასიათებელია მოცემული საზოგადოებრივი წყობისათვის. განვითარების პროცესში ყოველივე ის, რაც ადრე სინამდვილეს წარმოადგენდა, არანამდვილად იქცევა და კარგავს როგორც თავის აუტორიტეტობას, ასევე არსებობის უფლებას და გონიერულობასაც ახალი სიცოცხლისუნარიანი სინამდვილე იკავებს ძველი, მომავლადი სინამდვილის ადგილს. ხოლო ეს შეცვლა ხდება ან მშვიდობიანად, თუ ძველი იმდენად გონიერია, რომ კვდება წინააღმდეგობის გაუწევლად, ან ძალმომრეობით, თუ მომავლადი ეწინააღმდეგება ამ აუცილებლობას. და ფ. ენგელსი ასკვნის, რომ ჭეგელის მეთოდის თვალსაზრისით დებულება — ყოველი ნამდვილი გონიერია გადაიქცევა სხვა თვისად — ყველაფერი, რაც არსებობს უნდა დაიღუპოს.

<sup>1</sup> Гегель. Философия истории, М.-Л., 1937, соч. т. VIII, стр. 82.

ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციურობას ფ. ენგელსი იმაში ხედავდა, რომ მან უარყო წარმოდგენა მარადიულ ქემშარბიტებათა შესახებ. არამარტო შემეცნება, არამედ ისტორიაც კაცობრიობისათვის არ შეიძლება დამთავრდეს რაიმე იდეალურ მდგომარეობაში. ამიტომ „სრულყოფილი საზოგადოება“, „სრულყოფილი სახელმწიფო“ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფენტაზიაში ვ. ი. ლენინი, ისევე როგორც მარქსი, ხაზს უსვამდა, რომ „ამგვარი მიდგომით ჰეგელის ფილოსოფია წარმოგვიდგებოდა როგორც პრაქტიკის ფილოსოფია, რომელიც ახაზავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების კონკრეტულ, მომწიფებულ მოთხოვნებს.

„ჰეგელის მოძღვრება რევოლუციური იყო. ჰეგელის რწმენას ადამიანს ვინებისა და მისი უფლებებისადმი და ჰეგელის ფილოსოფიის ძირითად დებულებას, რომ სამყაროში ცვლილებებისა და განვითარების მუდმივი პროცესი სწარმოებს, ბერლინელი ფილოსოფოსის ის მოწაფეები, რომელთაც არ სურდათ სინამდვილეს შერიგებოდნენ, ამ აზრამდე მიჰყავდა, რომ სინამდვილესთან ბრძოლაც, არსებულ უსამართლობასთან და გამეფებულ ბოროტებასთან ბრძოლა ჩაქსოვლითა მარადი განვითარების მსოფლიო კანონში“.

ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ფართო ასპარეზს იძლეოდა არა მარტო მისი სხვადასხვაგვარი გაგებისათვის თეორიაში, არამედ განსხვავებული პრაქტიკული მოქმედებისათვისაც. ახე მავალითად, პრუსიაში მთავრობის მხრივ რეპრესიების გაძლიერებისა და განათლებული მოსახლეობის შესახებ ილუზიების კრახთან დაკავშირებით, ბევრმა ახალგაზრდა ჰეგელიანელმა მოინდომა შემოტრიალება თეორიული კონსტრუქციებიდან პოლიტიკისაკენ, ხოლო მათგან განსაკუთრებით რადიკალურ-დემოკრატიულად განწყობილების პირები პოლიტიკურ ღებრძობებად ყალიბდებოდნენ. კონსტიტუციური მოსარქების ზომიერი მოთხოვნებიდან ასინი გადავიდნენ უკვე აშკარად რესპუბლიკის მოთხოვნაზე. წმინდა ფილოსოფიიდან ახალგაზრდა ჰეგელიანელები ჰეგელის დიალექტიკის გამოყენებით გადადიოდნენ ისეთი პრაქტიკული ფილოსოფიის განხორციელებაზე, რომელიც სათანადო განმარტების პირობებში რევოლუციურ პრაქტიკას გულისხმობდა. ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ახალგაზრდა ჰეგელიანელების კონსტრუქციის ქვეშ მყოფი გაზეთები შეიცავდნენ ისეთ მახალგებს, რისთვისაც სახელმწიფოს დღაღატისათვის გასამართლებელი საფრანგეთშიც კი. ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა წამოაყენეს „უფრო თამამი პოლიტიკური პრინციპები ამასთან შედარებით, რაც მანამდე შეეძლო მოეხმინა გერმანელთა ყურებს, და შეეცადა სათანადოდ პატივი ეცა საფრანგეთის პირველი რევოლუციის გმირების სხოვნისათვის“. ახალგაზრდა ჰეგელიანელების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო მისწრაფება დაეკავშირებინათ ფილოსოფია ცხოვრებასთან.

სწორაში „ლუდვიგ ფურბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დახასრული“ ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ისტორიის, სამართლის, რელიგიის ფილოსოფიაში, ფილოსოფიის ისტორიაში ჰეგელიმ ცდილობდა მოეხსნა და მიეთითებინა მათში გამავალი განვითარების ძაფი. მცენიერული კომუნიზმის ფუძემდებლები მაღალ შეფასებას აძლევდნენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთავრთობის შესახებ ჰეგელის ნაყოფიერ იდეებს. დაე შეუგნებლად, მაგრამ სწორედ ჰეგელმა მიუთითა ის გზა, რომელიც მიჰყავდა იდეალისტური სისტემების ლაბირინტიდან სამყაროს ნამდვილ პოზიტიურ შეცნობამდე, ამბობდა ფ. ენგელსი.

მართლაც, ჰეგელის მოძღვრება მთლიანად აღებული ფართო ასპარეზს იძლეოდა სხვადასხვა პრაქტიკული პარტიული შეხედულებებისა და მოქმედებისათვის. თუმცა ჰეგელის ნაწარმოებებში საკმაოდ ნშირად გვხვდება „რევოლუციური აღფოთების აფეთქებები“, იგი როგორც ჩანს თავის სისტემის უფრო კონსერვატიულ მხარეს აძლევდა უპირატესობას. რაც შეეხება ახალგაზრდა ჰეგელიანელებს, საუკლებიო და საერო ფეოდალური რეაქციასთან ბრძოლის პროცესში, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, თანდათან უარს ამბობდნენ თანადროულობის მწვავე ხაკითხებისადმი ფილოსოფიურ-ქედმადლურ და პასიურ დამოკიდებულებაზე, რაც ადრე მათთვის უზრუნველყოფდა მთავრობის მხრივ მოთმინებასა და მფარველობას. რეაქციის გაძლიერება მოითხოვდა აშკარად დადგომას ამა აუ იმ პარტიის მხარეზე. ბრძოლა უკვე წარმოებდა არა აბსტრაქტული ფილოსოფიურა მიზნებისათვის, თუმც ჭერ კიდევ ფილოსოფიური იარაღით. ახლა საკითხი იდგა უკვე არსებული სახელმწიფოს პირდაპირ მოსობის შესახებ. 1842 წელს ახალგაზრდა ჰეგელიანელები გამოდიან უკვე რადიკალური გერმანული ბურჟუაზიის ფილოსოფიის სახით, რომელიც იბრძვის ფეოდალურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ-სამართლებრივ წესწყობილების წინააღმდეგ.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 21, стр. 275.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 8.

<sup>4</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, стр. 16—17.

საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ჭეგელის ნაშრომებში საკმაოდ არის ისეთი დებუ-  
ლებები, რომლებიც მოწმობენ სახელმწიფოს თაობაზე მისი შეხედულებათა წინააღმდეგობრივ  
ხასიათზე: მისი იდეალისტური საერთოფილოსოფიური მიდგომა სახელმწიფოებრიობის შეცნო-  
ბის საკითხში, და მისი ისტორიული მიდგომა მთელ რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური ცხოვრებ-  
ის კონკრეტულ გამოვლინებებისადმი. მაგალითად, „სამართლის ფილოსოფიაში“ ჭეგელი ფილო-  
სოფიის ამოცანად თვლის იმას, რომ „ჩასწვდეს და გამოსახოს სახელმწიფო როგორც  
რაღაც გონიერი თავის თავში“. ეს გამოთქმა თითქოსდა გამოიციხავს ფილოსოფიის კავ-  
შირს პოლიტიკურ პრაქტიკასთან. მაგრამ თავისთავად მისი მოსაზრება, რომ ფილოსოფიური  
მიდგომა ყველაზე უფრო შორსაა იმისაგან, რომ წარმოადგინოს სახელმწიფოს კონსტრუქ-  
ცია ისე, როგორც ნამდვილად უნდა იყოს და რომ ფილოსოფიის ამოცანაა ჩასწვდეს იმას,  
რაც არის<sup>5</sup>, რა თქმა უნდა, ნაყოფიერი იყო.

კ. მარქსი როცა ლაპარაკობდა ჭეგელის სამართლის ფილოსოფიის არსებით ნაკლოვანე-  
ბებზე, მის სიმპატიებზე კონსტიტუციური მონარქიის მიმართ, ამავე დროს მაღალ შეფასე-  
ბას აძლევდა მოაზროვნის სახელმწიფო-სამართლებრივ შეხედულებებს კ. მარქსი თვლიდა  
სახელმწიფოსა და სამართლის გერმანულმა ფილოსოფიამ ჭეგელის ნაწარმოებებში — მი-  
იღო ყველაზე თანამიმდევრული, მდიდარი და შესრულებული ფორმულირება. სახელმწიფოსა  
და სამართლის ეს ფილოსოფია, მარქსის აზრით, წარმოადგენდა იმ დროს არსებული გერ-  
მანული პოლიტიკური და სამართლებრივი შეცნების ფორმის ყველაზე მნიშვნელოვან, უნი-  
ვერსალურ, მეცნიერულ გამოხატულებას<sup>6</sup>.

ჭეგელის მოძღვრება სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის შეხახებ.  
რამდენადაც წინააღმდეგობრავე არ უნდა იყოს იგი, მაინც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს  
სახელმწიფოებრიობის სურათის შეცნობაში და სათანადო ინტერპრეტაციით პირდაპირ ახ-  
დენდა კონკრეტული პოლიტიკური-იურდიული სინამდვილის ანალიზს. ცხადია, „სამართლის  
ფილოსოფიის“ თეორიული მნიშვნელობა არ შეიძლება შეუცვლელი ყოფილიყო ყველა  
დროში. სათანადო ცოდნის დაკრძება სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, სოციალურ-პო-  
ლიტიკური ცხოვრების პრაქტიკა, პროლეტარიატს შესაძლებლობას აძლევდა საზოგადოებისა  
და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი ახლებურად გადაეწყვიტა და ამის შედეგად მონა-  
ხულიყო გახადები სახელმწიფოს ჭეშმარიტად მეცნიერული დიალექტიკურ-მატერიალისტური  
გაგებისათვის. ჭეგელის სამართლის ფილოსოფიის მნიშვნელობას ფ. ენგელსი კერძოდ, იმაში  
ხედავდა, რომ სწორედ მისგან გამომდინარე მივიდა კ. მარქსი დასკვნამდე, რომ არა ჭეგელის  
მიერ ყველაფრის მწვერვალად წარმოდგენილი „სახელმწიფო“, არამედ მის მიერ აბუჩად აგ-  
დებული „სამოქალაქო საზოგადოება“ შეადგენს იმ სფეროს, რომელშიც უნდა ვეძიოთ კასა-  
დები ადამიანთა საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორიული  
პროცესის გაგებისათვის.

<sup>5</sup> Гегель, Соч., т. VI, стр. 16.

<sup>6</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 1, стр. 420, 421.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები

1980 წლის 24 თებერვალს გამართული არჩევნების შედეგად რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში არჩეული არიან:

## ა. მ. ბაკაბაძე



ანზორ მიხეილის ძე ბარაბაძე დაიბადა 1938 წელს ქ. თბილისში.

1963 წელს დაამთავრა სრულიად საქავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტი, სკკა წევრია 1963 წლიდან.

1959 წლიდან 1965 წლამდე მუშაობდა ქ. კრასნოიარსკში ჯერ სპორტის სამხარეო საბჭოს ორგანიზაციული განყოფილების გამგედ, ამავე ქალაქის მილიციის ცენტრალური რაიგანყოფილების მომკვლევად, ხოლო შემდეგ — საგამომიებო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ.

1965 წლიდან ა. მ. ბარაბაძე საცხოვრებლად გადავიდა საქართველოში და მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში, ინიშნება ახალქალაქის სარაიონის შორისო პროკურატურის გამომიებლად. 1966 წლიდან 1970 წლამდე იგი ბოლანგოვის რაიონის პროკურორია, 1970 წლიდან 1973 წლამდე რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე,

ხოლო 1973 წლიდან 1976 წლამდე ქ ქუთაისის პროკურორი.

1976 წელს ა. მ. ბარაბაძეს აწინაურებენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ, სიდანაც იგი ვადაწყვეთ პარტიულ სამუშაოზე, ინიშნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ. ა. მ. ბარაბაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის დეპუტატია.

1978 წლიდან ა. მ. ბარაბაძე საქართველოს სსრ პროკურორია.

## ა. გ. კაკაბაძე

აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე დაიბადა 1927 წელს დუშეთში. 1950 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი სკკა წევრია 1951 წლიდან. იგი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია.

შრომითი საქმიანობა ა. გ. კარანაძემ 1951 წლიდან დაიწყო. მუშაობდა ჯერ საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, შემდეგ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად 1953 წლიდან 1958 წლამდე იყო 48-ე და 33-ე საშუალო სკოლების პედაგოგი, 1958 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი, უკოლოსი მასწავლებელი და დოცენტი. 1961 წელს აირჩიეს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, 1963 წელს კი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანად.



1965-1967 წლებში ა. გ. კარანაძე პარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომის პირველი მდივანია. 1967 წელს იგი ვადაწყვეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1969 წლიდან ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგეა, სადაც 1972 წლამდე იმუშავა.

1972 წლიდან ა. გ. კარანაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა. ა. გ. კარანაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-7, მე-8 და მე-9 მოწვევების დეპუტატია, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

## ა. ა. შუშანიშვილი

ალექსანდრე ამირანის ძე შუშანიშვილი დაიბადა 1935 წელს თიანეთის რაიონის სოფელ თიანეთში.

1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სკკპ წევრია 1961 წლიდან.

1961 წლიდან 1964 წლამდე სწავლობდა სრულიად საქართველო იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქვე 1965 წელს დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1964 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

1970 წლიდან მუშაობს იწყებს პრაქტიკის ორგანიზმში. იგი ჯერ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსია, ხოლო 1974 წელს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე.

იგი 3 მონოგრაფიისა და 23 მეცნიერული შრომის ავტორია.

1976 წლიდან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრია.

ა. ა. შუშანიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის დეპუტატია, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.



# ქალთა საერთაშორისო დღისათვის

რესპუბლიკის იურისტთა შორის ათასამდე ქალია. ქალი — პროკურორი, მოსამართლე, ადვოკატი, გამომძიებელი, იურისკონსულტი, მილიციის თანამშრომელი, ნოტარიუსი თუ სხვა თანამდებობის პირი ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენაა. რესპუბლიკაში არ არის არც ერთი ადმინისტრაციული ორგანო, სადაც ქალი ღირსეულად, მთელი გულისყურით, ერთგულად არ ემსახურებოდეს მინდობილ საქმეს.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ავტორთა და მრავალი ათასი მკითხველის სახელით მხურვალედ და გულითადად ულოცავს იურისტ ქალებს გაზაფხულის დღესასწაულს 8 მარტს და უსურვებს მათ წარმატებებს მუშაობაში და დიდ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ჩანახატს ზოგიერთ მათგანზე.

## მოსაპართლა



როცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს ა. ხონიაკინას ჩემი მიხვლის მიზეზი გავანდე, ამ ენამზიან და ჭკვიან ქალს უცბად შეეცვალა გუნება. მასზე სიტყვაძვირი არ იქმის, მაგრამ ახლა თითქმის შეუძლებელი გახდა საუბრის გაგრძელება შევცბი, ხელმოცარულს კი არ მინდოდა რედაქციაში დაბრუნება. ჩემს დაუშინებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია, მაინცდამაინც ბევრის გარკვევა ვერ შევძელი...

ადამიანის ცხოვრება ხომ მთლიანაა წიგნია, რომელიც ყოველ წუთს, ყოველ საათს იწერება. ა. ხონიაკინას ცხოვრების გზის ფურცელ-ფურცელ ერთბაშად წაკითხვა, ეტუობა, ძნელია. მე მაინც მოკრძალებით ჩავიხედე ამ წიგნში და ვეცდები ზოგიერთი შთაბეჭდილება გავუზიარო მკითხველებს.

ადელინა ხონიაკინა იმ იურისტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლითაც შეუძლია იამაყოს საქართველოს იურიდიულმა საზოგადოებრიობამ.

მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა სტუდენტმა, იყო სტალინური სტაჟენდიანი. 1950 წელს ბრწყინვალედ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. გულმა პრაქტიკული საქმიანობისკენ გაუწია.

იმვე წელს პროკურატურის ორგანოებში გზავნიან სამუშაოდ. იწყება ქვეშაირების ჭიების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ახალბედა დაულადავად შრომობდა, იღრმავებდა ცოდნას, იძენდა გამოცდილებას.

1956 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია. იგი სრულიად იცვლება, როცა მართლმსაჯულებას პრობლემებზე, ადამიანთა ურთიერთობის მტკივნეულ საკითხებზე ოჯახზე, შვილების აღზრდაზე საუბრობს, გატაცებით შეუძლია დაპარაკი ამ თემებზე.

— რა არის ძირითადი მიზეზი არასრულწლოვანთა დამნაშავეობისა?

— ეს უდავლი სადღეისო პრობლემაა და ძირითადი მიზეზი ალბათ უმეტად დაუწყობელია. მოზარდის ჩამოყალიბებას უპირველეს ყოვლისა განაპირობებს ოჯახის პირობების თავისებურებები, მისი სტრუქტურის მოშლა. ნაკლები პასუხისმგებლობა არ ეკისრება აკოლასაც. ასე უაღრესად ძნელად აღსაზრდელია.

მთელი საზოგადოებრიობა ხელახელ ჩაკიდებული უნდა იბრძოდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთისათვის. ეს ყველას უდიდესი სატვივარი და საზრუნავია. მოზარდმა ავად შეიპო ხელი რაც მას არ ეკუთვნოდა, რამ გამოიწვია ეს?



ამას წინათ არასრულწლოვანთა ქურდობის საქმეს ვიხილავდი. მსჯავრდადებულმა ავაქიშვილმა პროფესასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ კი არსად არ სწავლობდა, არც მუშაობდა არავის არ აღედგებდა ეს, არავის აწუხებდა მისი ბედი.

არასრულწლოვანმა ავაქიშვილმა, ფხაკაცხთან ერთად არაერთჯერის ჩაიდინა ქურდობა. გაცა საზოგადოებრივი და პირადი ქონება. სასამართლო კოლეგიამ გამოარკვია, რომ არასრულწლოვანები ფხაკაცხ და ავაქიშვილი წლების მანძილზე სხვადასხვა რაიონის სავაჭრო ობიექტებიდან იპარავდნენ საქონელს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სავაჭრო ობიექტების დაცვა არ იღვა სათანადო სიმაღლეზე, ვაჭურდელი ობიექტის ხელმძღვანელებიც ქურდობის ფაქტებს გარკვეული მოსაზრებით არ აცნობებდნენ ხოლმე მილიციის ორგანოებს და არავითარ ზომებსაც არ ხმარობდნენ.

მათი მოქმედების ასპარაზი ძალზე ფართო იყო. ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში დადიოდნენ და გზადაგზა დანაშაულში ახალ-ახალ არასრულწლოვანებს აბამდნენ. და იცით, რას უშვებოდნენ ნაჭურდალს? ძმა-კაცებს ურიგებდნენ, გოგოებს ხაჭუტრებს უკეთებდნენ, „ფუჟაკობდნენ“, ქიფობდნენ... ძმაცაცები ერთ-ერთ სოფელში ფხაკაცხ ბებიის სახლში დაბინავდნენ დროებით, კაციშვილი არ დაინტერესებულა მათი საქმიანობით.

დამნაშავენი სკადრისად დაისაჯნენ. გამოტანილი იქნა რამდენიმე კერძო განჩინება...

...მოსამართლისათვის აღვალა და რთული საქმე პირობითი ცნებაა, ყველა საქმე რთულია, ისინი ადამიანებას ბედს შეეხება, მაგრამ არის მათ შორის განსხვავება. ა. ხონიკინას ერთი თვისება აქვს, წინააღმდეგობებით აღსავსე საქმეები იტაცებს, ამიტომ არის რომ სწირად იხილავს ურთულეს საქმეებს.

— თითოეულ საქმეს ის უნდა მოვეკიდოთ, როგორც ყველაზე მთავარს და ერთადერთს, — ამბობს იგი. — ამასთან ყოველთვის უნდა იფიქრო, რამდენად მოამზადე შენი თავა სხვაინდელი დღისთვის, უთუოდ არ ღირს იოცნებო მხოლოდ მომავალზე, რომელიც თან მოიტანს ყველაფერს, მომავალი დღეს უნდა ვჭედოთ.

დამნაშავის ღირსებათა მიჩქმადვა და ნაკლის გაწვიალება მისი დანაშაულის განსაზღვრის ჭეშმარიტების დადგენის სწორ და ერთადერთ გზად არ მიმაჩნია. ცხადია, დამნაშავეს არ შეიძლება კრიტიკულად არ მივუდგეთ, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს, რომ მასში არ დავინახოთ კარგიც, ადამიანურიც. ასეთი შეხედულება ის ფენომენია, რომელიც ზევრ რამეს განსაზღვრავს. სწორედ ასეთი კრიტიკული მადგომა არის ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთი უტყუარი გზა... მასხენდება ერთი პროცესი, ვერ ვიტყვი, რომ მას დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა, მაგრამ მან ჩემს გულში ღრმა კვალი დატოვა. გამსკვლელ სესიაზე ახალგაზრდა კაცის სისწილის სამართლის საქმეს ვხილავდი. სამართალში მიცემულს ბრალად ედებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა-გასაღება. სასამართლო პროცესზე წმას არ იღებს. სულით ვადმუფვის სიმულიაციას ეწევა. დარბაზი მობალიწებული და ემოციურად დამუხტულია. ყველა ელის სამართლიან განსჯას, დამნაშავე — ალბათ შებრალებას, პროცესი მიმდინარეობს აუჩქარებლად, ყველა იურიდიული და ზნეობრივი ნორმის დაცვით. დაიკითხა მოწმეები, შეჯერდა ფაქტება, კამათობენ მხარეები. მოსამართლე მოთმინებით აძლევს შეკითხვებს განსასჯელს. სიტუაცია იცვლება. მისი ძველი პოზიციები ირღვევა, მის სახეში ნათლად გამოიკვეთა უმძაფრესი შინაგანი ეჭვილი. მისი ძველი პოზიციები ირღვევა, მის სახეში ნათლად გამოიკვეთა უმძაფრესი შინაგანი ეჭვილი, სალი ნაკადის დაპირისპირება მანკიერ თვისებებთან. პროცესი დასასრულს უახლოვდება. დიას, დამნაშავე ვარ — ამბობს ბოლოს სამართალში მიცემული. მან თავი ასწია, და თვალეები აუცრემლდა. ეს იყო ცრემლები ტანჯვისა, სინანულისა. მან იგრძნო, რომ ცხოვრება შეიძლება მისთვისაც გაგრძელდეს.

მოსამართლემ რაღაც შვება იგრძნო, მიხვდა, რომ მსჯავრდადებულს დაკარგული რწმენის ნაპერწკალი გაუღვივა... რწმენა ხომ სულიერი სიმდიდრეა, ურომლისოდაც ადამიანის სიცოცხლეს აჭრი ეკარგება, როგორმე უნდა ვცვალოთ, დაკარგული რწმენა დაფუბრუნოთ დამნაშავეს, მან უნდა მოიხანოს დანაშაული, თვითონვე გამოუტანოს თავის თავს მსჯავრი, მთავარია იგრძნოს რომ იგი ცხოვრებისათვის დაკარგული არ არის, მომავალში კაცი განდგება და კიდევ გამოადგება ქვეყანას, ოჯახს.

ა. ხონიკინა ადმინისტრაციული ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის არაერთხელ არის დაჯილდოვებული. მისი პირადი ფოსტა სავსეა გზასავდენილთა წერილებით, მადლობებით.

კიდევ მრავალ ათეულ წელს ემსახუროს მართლმსაჯულების განხორციელებას მოსამართლე ა. ხონიკინა, ცოდნის, სიკეთის და ადამიანის სიყვარულის შარავანდედით რომ არის მოხილი.



## პროკურორი



უმანკო და უშფოთველი ცხოვრება ჰქონდა ეთერს, თბილისელ გოგონას. პატარას თავს ევლებოდა დედა, უფაქიზესი სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი მამა-შვილს. ბევრს წრუნაყდა მამა შვილის მომავალზე, მის ზნეობრივ აღზრდაზე.

და უცერად მოიდრუბლა მოწმენდილი ცა, დაიწყო დიდი სამამულო... ეთერის მამაც სამშობლოს დასაცავად წავიდა. გოგონა უცერად გამოიცვალა, დასეროზულდა და დადარდიანდა, მის პატარა გულში უდადესმა ტკივილმა დაისადგურა. ოჯახი სისტემატურად იღებდა სამკუთხა ბარათებს ბრძოლის ველიდან...

— ჩემო ერთადერთო, ყველაზე უფრო მენატრები, ჩიტების გალობას რომ ვუსმენ, შენი ხმა მგონია, როგორ ხართ, როგორ სწავლობ, მე მალე ჩამოვალ, სიბოროტე დიდხანს ვერ იბოგინებს დედამიწაზე. ისწავლე შვილო, წიგნებში ეძიე ბედი შენი, იყავი კეთილი, სასახელი

ქართველი ქალი, მართალი და შეუპოვარი, და თუ ვერ ჩამოვალ, იმედი მაქვს არ შემარცხვენ...

გოგონას თანდათან ეძალებოდა სევდა, დამეებს თეთრად ათენებდა, ხანთელივით დნებოდა, დედა შეშინდა... ეთერმა ვეჯარ დაუმალა დედას, მამის ნახვა მინდა, მეტი აღარ შემიძლიაო. და დაადგა დედა-შვილი სირთულეებით აღსავსე ფრონტულ გზას. ბევრი სძინელების გადალახვის შემდეგ მათ ინახულეს ომში წასული. ამ შეხვედრის დავიწყება შეუძლებელია. ეს იყო 1943 წელს, როცა ეთერ გოგაძე საშუალო სკოლას ამთავრებდა. იმავე წელს ზაპოროჟიის მისადგომებთან ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა მამა და სამუდამოდ თან წაიღო ეთერის სიხარულის დიდი ნაწილი. — იყავი მართალი, შეუპოვარი, ისწავლე, მასახელი, ... ჩავსმოდა დარბევა მამით დაობლებულ გოგონას. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის ლაბორანტია. 1952 წლიდან მუშაობს იწყებს პროკურატურის ორგანოებში განმომძიებლად, პროკურორის თანაშემწედ, განყოფილების პროკურორად. 1978 წელს აირჩიეს სახალხო მოსამართლედ. ამჟამად ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორია.

დატვირთულია მისი ყოველი დღე, ზუსტად აქვს განსაზღვრული თითოეული სამუშაო საათი. მონაწილეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საკასაციო ინსტანციაში, აძლევს დასკვნებს სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე, ამზადებს პროტესტებს საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის განხილველად, წარდგინებს რესპუბლიკის პროკურატურაში, მონაწილეობს პირველი ინსტანციით სისხლის და სამოქალაქო საქმეთა განხილვაშიც. ამ ცოტა ხნის წინათ მისი მონაწილეობით საქალაქო სასამართლომ განიხილა ვ. როზნიჩენკოს სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ყაჩაღური თავდასხმით ჩადენილი მკვლელობა.

როზნიჩენკო და კაპანაძე „კეთილი“ მეზობლები იყვნენ. საღამოობით ერთად იკრიბებოდნენ, ვაწმობდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. მოხუცი კაპანაძე მართო ცხოვრობდა, ხიბრებდა მანუგეშებელი ჯრავის დარჩა მეზობლების მეტი. უკვე პენსიაზე იყო და შინ ფუსფუსებდა. იმ საბედისწერო დამესაც ერთად იყვნენ. მოხუცმა ქალმა თავაზიანი მადლობა გადაუხადა მეზობლებს და კეთილი დამე უსურვა, დასაძინებლად წავიდა. თურმე მის ოთახში ავაჯიო როზნიჩენკო ჩასაფრებულიყო დანით შეიარაღებული. ჩაძინების შემდეგ თავს დაესხა უმწო მოხუცს და 18 ჭრილობა მიაცენა. მოხუცი იქვე გარდაიცვალა. როზნიჩენკომ ხანსიდან 250 მანეთი, ოქროს საათი და ბეჭედი გამოიტანა. ვასისხლიანებული ტანსაცმელი ცოლმა გაურცხა, ნათესავმა ხელები დაბანა. როზნიჩენკომ 100 მანეთი ოჯახში დატოვა და მიიხალა.

სახელმწიფო ბრალმდებელმა მძარცველისა და მკვლელის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. სასამართლომ გაიზიარა სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა და მკვლელს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა შეუფარდა. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

— დანაშაული მოხდა. რატომ და როგორ, ვინ და რამ შეუწყო ხელი, აი რა არის უმთავრესი, — ვვსაუბრება პროკურორი. — ავიღოთ თუნდაც არასრულწლოვანთა დანაშაული,





ეს დღი, ურთულესი და მტკავნეული პრობლემაა, არასრულწლოვანთა შორის განსაკუთრებით იმატა ქურდობამ.

მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ და რა მოიპარა, არამედ ეს, თუ რა პირობებში მოხდა ეს, რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ამას. ჰქონდა თუ არა არასრულწლოვანს შეგნებული თავისი მოქმედების შესაძლო შედეგები.

არასრულწლოვანთა საქმეების წინასწარ გამოძიებასა და სამსჯავრო სხდომაზე დროულად განხილვას, სწორად შეფარდებულ სასჯელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სისხლის სამართლის კოდექსს ხავებით სწორად დაემატა ნაწილი მუხლი, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს არასრულწლოვანთა აღზრდის და ცხოვრების პირობები, რომლებსაც ხშირად ისინი დანაშაულამდე მიჰყავს. შემამსუბუქებელ გარემოებებში არასრულწლოვან დანაშაულს შეიძლება გადაევალოს სასჯელის აღსრულება. დანაშაულთან ბრძოლის საქმეში უაღრესად დიდი როლი ეკუთვნის საზოგადოებრიობას, დანაშაულის პროფილაქტიკას. სამწუხაროდ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

კიდევ ერთი დღე გაილია შრომაში, ძიებაში, აღმიანების სიმყუდროვისათვის ზრუნვაში.

## აღვოკაზი



უწვეული გაზაფხული იცის ქუთაისში, უბრალო ქვაც კი აყვავდება უქიმიერიონის ფერდობზე და კიბულას კალთებზე. აღმიანებასაც გადასდებიან ბუნების ეს დღესასწაული, მაგრამ სასწიმიო განწყობილება არ სუფევს ეტვირთვების ოჯახში, სახტად დარჩენ მშობლები, როცა ნაზიმ მტკიცე გადაწყვეტილება გაანდო — თბილასში მივიდვარ, იურისტი უნდა გავხდე, არადა, სულაც არ ვასწავლიო.

— როგორ მოვიგლიჯო ეს ერთი ციდა გოგო კალიდან, ისეთი წუნარია, ორ სიტყვას ერთად არ იტყვის. ამისგან რა იურისტი დადგება, რა უნდა ამას ქურდებთან, მკვლელებთან — არ ცხრებოდა დედა.

მამა თანდათან მოღბა.

— თუ ასე გადაუწყვეტია, წინ ნუ აღვუდგებით მის სურვილს,

განა ცოტაა ქართველი ქალი — იურისტი, თავისი ცხოვრებით და საქმიანობით საზოგადოებასაც რომ ამშვენებს და ოჯახსაც.

...1956 წელს ნაზი თუთბერიძემ დიპლომი დაიცვა და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის სტალიორად ჩაირიცხა.

ახალბედა იურისტი შვილივით შეიყვარეს კოლეგებმა. და აი დადგა მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. პირველად მიცდა მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში, როგორც დაზარალებულის ინტერესების დამცველმა.

ძლივს გააღია ღამე, დილით ისე ღელავდა, ასე ეგონა თითქოს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. „პირველად ყველას ასე ემართება ალბათ“, თავს იწუხებდა.

პროცესი დაიწყო. თვალი მოავლო აუდიტორიას. თანდათან მხნეობა დაუბრუნდა, აზრები დაულავდა, შიში გაუქრა, და პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

მას შემდეგ თითქმის სამა ათეულმა წელმა განვლო. დიდმა გამოცდილებამ, თეორიული ცოდნის გაღრმავებამ ნაზას საუკეთესო სპეციალისტის სახელი მოუხვეჭა.

— აღმიანის და საქმის ყველაზე დიდ მტრად გულგრილობა მიმაჩნია. თუ შენი საქმე მთელი არსებით გიყვარს, ბევრს მიაღწევ. ჩვენთან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, სამწუხაროდ, არაჩანსადი დამოკიდებულება აქვს დაცვის ინსტიტუტისადმი, რაც ძირშივე მცდარია. განა შეიძლება გამართლება მოუძებნო დედას, შვილს რომ კლავს? მაგრამ არ არსებობს დანაშაული, რომლის დაცვაც არ შეიძლებოდა. ხომ არ შეიძლება აღმიანის მარტოოდენ უარყოფითი თვისებები ჰქონდეს. ყოველ დანაშაულში აღმიანობის ნაპერწკალი უნდა ვეძიოთ.

წამოაყენო დაცემული ფენზე, გაუღვიძო მიძინებული ადამიანური თვისებები, ყოველივე ის, რაც კარგი და დადებითი აქვს, ეს უველასი, მათ შორის ადვოკატის მოვალეობაცაა...

ვცნ მითვისის, რამდენი გზააბნეული მისულა მასთან, დახმარება და გზის გაკვლევა უთხოვნია. ნაზის კი მათთვის ზრუნვა არ დაუკლია, კანონიერი დახმარება აღმოუჩენია.

— აღმათ ყოველ ჩვენგანს გამოუცდია გაპირვება, ამბობს ნაზი თუთბერიძე, — ბედნიერება იმის შეგრძნება, რომ მენ მარტო არა ხარ, არის ხელი, რომელიც შეგეშველება, მხარი, რომლებსაც შეიძლება დაეურდნო, გული, რომელსაც შეიძლება ენდო. ადამიანის დაუცხრომელი წადილია გაპირვებულს შეუმსუბუქოს ხვედრი, ეს რამხელა სიკეთეა. ამას წინათ ჩემთან ერთი მანდილოსანი მოვიდა, ლამაზი, ზრდილი, ინტელიგენტური გარეგნობისა. დარბაისლურად საუბრობდა და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა შთაბეჭდილებას. აღელვებული ჩანდა. მას განქორწინებაზე საჩქეფის აღძვრა სურდა და თავისი ინტერესების დაცვას მოითხოვდა.

— მეუღლე თანახმაა? — ვეკითხები.

— ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— შვილები გყავთ?

— დიახ, ერთი ბიჭი.

კარგი ოჯახი ჰქონიათ, სიმშვიდე და სიყვარული სუფევდა ცოლ-ქმარს შორის, მაგრამ უველასური შეიცვალა მას შემდეგ, რას მისმა მეუღლემ სხვა ქალი შეიყვარა.

შევფიქრიანდი, გარკვევით ვერაფერი ვუთხარი, სურვილი კი დამებადა, მენახა მისი მეუღლე და ვნახე კიდევ... მისდამი უდიდესი სიმპათიით განვიმსჯეალე.


— ცხოვრებას იმდენი მადღუნებელი აწყესი უჭირავს ხელში, ყველას ვერ გაექცევი, მაგრამ ნუთუ ეს ოჯახი უნდა დაიგრეს, ორი ადამიანი გაუბედურდეს, შვილს ცხოვრება გაუმრუდდეს. ასეთი ოჯახი ხომ შვილების გზააბნეულობის დასაწყისია... დამიჯერეთ, ქალბატონო აქ დიდი გაუგებრობაა, რომელიც უსაფუძვლო ეჭვებზეა აგებული მეთქი — ვუთხარი.

— ქალი არ ტყუებოდა, მე ფაქტიურად მეუღლის ინტერესების დამცველის როლში აღმოჩენიდი, უფრო სწორად, ოჯახის დანგრევას წინააღმდეგი ვიყავი. საუბარმა, დარწმუნებამ თავისი გაიტანა.

ნაზი თუთბერიძე 1978 წლიდან ორგანიზაციის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო იურიდიული კონსულტაციაა რესპუბლიკაში. აქ მუშაობენ გამოჩენილი ადვოკატები ალექსანდრე სოჭოლავა, მიხეილ ალხაიშვილი, ალექსანდრე ლიზინაძე, ლადო ბარათაშვილი და სხვები. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ხომ უდიდესი ბედნიერებაა. ნაზი თუთბერაძეს ბევრი საზოგადოებრივი დატვირთვაც აქვს: ორგანიზაციის რაიონალურ კომთან არსებული სამართლის სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორია, რაიონის ამხანაგური სასამართლოების საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარეა, ეწევა სამართლის პროპაგანდას მოსახლეობაში, კითხულობს ლექციებს სამართლებრივ საკითხებზე.

მრავალგზის მიგველოცოს ნაზი თუთბერიძისათვის დღესასწაული დღე ბედნიერი, დღე შრომით და სიკეთით სავსე.

ლ. ზანტურია



# ქვეყნის მთავრობის განკარგულებაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

## კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ

თავი 1

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანოა

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ამ კანონით დადგენილ ფარგლებში ზედამხედველობას უწევს სსრ კავშირის სასამართლოებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოების სასამართლო საქმიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, ხელს უწყობს მართლწესრიგის განმტკიცებას, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოწოდებულია მთელი თავისი საქმიანობით უზრუნველყოფდეს კანონების სწორ და ერთგვაროვან გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას, აღზარდოს მოქალაქენი სამშობლოსა და კომუნისტური საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრავი შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

**მუხლი 2.** მართლმსაჯულების განხორციელება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

მართლმსაჯულების განხორციელებისას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, ამ კანონით, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობით, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

**მუხლი 3.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სწავლობს და აზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას და აძლევს სასამართლოებს სახელმძღვანელო განმარტებას სასამართლო საქმეების განხილვისას კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი სავალდებულოა იმ კანონის გამოყენებელი სასამართლოების, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, რომლის გამოც მიეცათ განმარტება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ სასამართლოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებს.

**მუხლი 4.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საკანონმდებლო ინიციატივა

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს აქვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

**მუხლი 5.** სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს.

**მუხლი 6.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრები არიან თანამდებობის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რაოდენობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ცალკეულ მოსამართლებს ვასუღთა ხაცკლად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც შემდეგ ამასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებულებას წარადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მორიგ სესიაზე.

**მუხლი 7.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სასასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების დამტკიცების წესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთაგან — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს;

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრთაგან — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეებს.

**მუხლი 8.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების დამოუკიდებლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებლნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

**მუხლი 9.** სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა და კოლეგიურობა საქმეების განხილვაში

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო განიხილავს საქმეს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის თავმჯდომარის — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით.

სახალხო მსაჯულნი მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის ყველა უფლებით სარგებლობენ.

საკასაციო, კერძო საჩივრებისა და პროტესტების გამო, აგრეთვე ზედამხედველობის წესით პროტესტებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დასკვნების გამო საქმეებს განიხილვენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიებში სამი მოსამართლის შემადგენლობით.

**მუხლი 10.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ანგარიშვალდებულება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთჯერ თავისი საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 11.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების ხელშეუხებლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულნი არ შეიძლება მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, დაპატიმრებულ იქნან ან დაეძლით აღმინისტრაციული სახდელი სასამართლო წესით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასტურის გარეშე, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასტურის გარეშე.



**მუხლი 12.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა და სახალხო მხაჭულთა გაწვევა ან ვალამდე განთავისუფლება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაიწვიოს ან ვალამდე გაათავისუფლოს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც შემდეგ ამასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებულებაში დასამტკიცებლად წარადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე.

**მუხლი 13.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

- 1) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი;
- 2) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- 3) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- 4) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია.

**მუხლი 14.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სცემს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენს.

**თავი 2**

**სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი**

**მუხლი 15.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრები, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოთა თავმჯდომარეები.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ნაცვლად პლენუმის სხდომაში მონაწილეობს მისი პირველი მოადგილე, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებს.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეების განხილვასთან, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საოქონსულტაციო საბჭოს წევრებსა და მოსამართლეებს, სამინისტროების, საჩელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზო-

გალოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

**მუხლი 16.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოწვევის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ სულ ცოტა ოთხ თვეში ერთხელ. პლენუმის მოწვევის დროსა და მის განსახილველად შესატან საკითხებს პლენუმის წევრებს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს აცნობებენ არა უგვიანეს ოცდაათი დღისა სხდომაამდე.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები და სასამართლო საქმეებზე პროტესტების თუ დანაკნების პირები ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს სხდომაამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

**მუხლი 17.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა მიღების წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომა უფლებამოსილია მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედის ყოფნის შემთხვევაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი მიიღება კენჭისყრის მონაწილე პლენუმის წევრთა ხმის უმრავლესობის ღია კენჭისყრით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.



**მუხლი 18. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს ზედამხედველობის წესით საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტების გამო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა განჩინებებზე აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებისა და პლენუმების დადგენილებებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

2) განიხილავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დასკვნების მიხედვით საქმეებს, რომლებზეც გადაწყვეტილებანი, განაჩენები ან განჩინებანი გამოიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიებმა, ან დადგენილებანი მიიღო თვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლოს სტატისტიკის განზოგადების მასალებს, აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის წარდგინებებს და სახელმძღვანელო განმარტებებს აძლევს სასამართლოებს კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე;

4) ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებათა მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა შენადგენლობებს და პლენუმის მდივანს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრთაგან;

5) ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს;

6) განიხილავს და წყვეტს საკითხებს იმის თაობაზე, თუ სად იქნეს შეტანილი წარდგინებანი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოში თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ხოლო სსრ კავშირის კანონების განმარტების შესახებ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

7) ისმენს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ინგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

8) ისმენს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეთა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეთა მოხსენებებს სსრ კავშირის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულების შესახებ;

9) განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებებს იმის თაობაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებანი არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებს;

10) განიხილავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებებს იმის თაობაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებანი არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას.

**მუხლი 19. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ სასამართლო საქმეების განხილვის წესი**

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვისას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ისმენს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის მოხსენებას საქმის გარემოებებისა და პროტესტის დამასაბუთებელი მოსაზრებების შესახებ. შემდეგ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მზარს უჭერს მის მიერ მოტანილ პროტესტს ან იძლევა დასკვნას იმ საქმის გამო, რომელსაც განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის შესაბამისად.

ასეთივე წესით განიხილავს საქმეებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დასკვნების გამო.

პლენუმის სხდომაზე ახანა-განმარტების მისაცემად საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიწვეულ იქნან მოსარჩელე, მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მსჯავრდებულები; გამართლებული, მათი დამცველები, არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი. შეტყობინება პლენუმის სხდომის შესახებ და პროტესტის ან დასკვნის ასლი ამ ჰიარებს ეგზავნებათ არა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე.

პროტესტის ან ახლად აღმოჩენილ გარემო-

ებათა შესახებ დისკენის განხილვაში მონაწილეობენ მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წევრები.

**მუხლი 20.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში შეტანილი პროტესტის გამოთხოვა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს გამოითხოვონ თავიანთი პროტესტი საქმის განხილვის დაწყებამდე.

**მუხლი 21.** სასამართლო საქმის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილების მიღების წესი

განხილვის შემდეგ პროტესტი ან დისკენა, აგრეთვე პლენუმის წევრთა წინადადებანი პროტესტში ან დისკენაში აღნიშნულისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გაიქვთ კენჭის საყრდელად. პლენუმის წევრებს უფლება არა აქვთ თავი შეიკავონ კენჭის ყრისაგან. მოსამართლეს, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში პირველი ინსტანციით, კასაციის ან ზედამხედველობის წესით მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოში ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიაში, არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ საქმის განხილვაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე.

თუ ვერც ერთმა წინადადებამ, მათ შორის პროტესტში ან დისკენაში ჩამოყალიბებულმა წინადადებებმა, ვერ შეაგროვა ხმის უმრავლესობა, პროტესტი ან დისკენა დაუკმაყოფილებელი რჩება.

პლენუმის წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ დადგენილებას, უფლება აქვს თავისი აზრი ჩამოაყალიბოს წერილობითი სახით. იგი დაერთვის პლენუმის სხდომის ოქმს.

**მუხლი 22.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის კერძო დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი საჭიროების შემთხვევებში კერძო დადგენილებით მიაპყრობს სამინისტროთა, სახელმწიფო კომიტეტთა, უწყებათა, აგრეთვე საწარმოთა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის

პირთა ყურადღებას საქმის გამო დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტებს, მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამართალდარღვევის ჩადენას.

აღნიშნულმა პირებმა ერთი თვის ვადაში უნდა აცნობონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზომები, რომლებიც მათ კერძო დადგენილების გამო მიიღეს.

**მუხლი 23.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა აღსრულება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი სასამართლო საქმეების შესახებ კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მათი მიღებისთანავე და აღსრულება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

**მუხლი 24.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეების გადაწყვეტასთან

საკითხებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეების გადაწყვეტასთან, და ამ კანონის შესაბამისად შეიტანეს პლენუმის განსახილველად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ან სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა, ისევე როგორც შესაბამისად მათი მოხსენებების ან მათ მიერ უფლებამოსილ პირთა მოხსენებების მიხედვით. ამასთან, საკითხებზე, რომლებიც პლენუმის განსახილველად შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ან სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა, დასკვნას იძლევა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. ამ საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე მიწვეულ პირებს.

სახელმძღვანელო განმარტების შემცველი დადგენილების პროექტის მოსამზადებლად პლენუმი საჭიროების შემთხვევაში ქმნის სარედაქციო კომისიას პლენუმის წევრთაგან.

თავი 3

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიაში

**მუხლი 25.** სასამართლო კოლეგიების შექმნის წესი

სასამართლო კოლეგიებს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრთაგან. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს თავისი განკარგულებით საქ-

მის განსახილველად მიიწვიოს ერთი კოლეგიის მოსამართლენი მეორე კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 26. სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება.**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია:

1) განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო უაღრესად მნიშვნელოვან სამოქალაქო საქმეებს.

2) განიხილავს ზედამხედველობის წესით საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და მათი მოადგილეების პროტესტების გამო იმ გადაწყვეტილებებზე, განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, იმ შემთხვევაში თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

3) წყვეტს მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოებს შორის დავას საქმის განხილვის ადგილის შესახებ;

4) წყვეტს საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია გამოიყენონ სასამართლოებმა სხვა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად სრულდება უცხოეთის სასამართლოების დავალებანი ცალკეული საპროცესო მოქმედების წარმოების შესახებ;

5) განიხილავს საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მათი მოადგილეების პროტესტების გამო სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებებზე.

**მუხლი 27. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება.**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია:

1) განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო უაღრესად მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს;

2) განიხილავს ზედამხედველობის წესით საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მათი მოადგილეების პროტესტების გამო იმ გადაწყვეტილებებზე,

განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

3) წყვეტს მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოებს შორის დავას საქმის განხილვის ადგილის შესახებ;

4) წყვეტს საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია გამოიყენონ სასამართლოებმა სხვა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად სრულდება უცხოეთის სასამართლოების დავალებანი ცალკეული საპროცესო მოქმედების წარმოების შესახებ;

**მუხლი 28. სამხედრო კოლეგიის უფლებამოსილება**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია:

1) განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო უაღრესად მნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც განსჯადია სამხედრო ტრიბუნალებში, აგრეთვე საქმეებს იმ სამხედრო მოსამსახურეების დანაშაულთა შესახებ, რომლებსაც აქვთ გენერლის (აღმირალის) სამხედრო წოდებანი, ან უკავიათ თანამდებობა შენაერთის მეთაურიდან დაწყებული და უფრო მაღალი და მათი თანაწევრი თანამდებობანი;

2) განიხილავს საკანადაცო, კერძო ხაზირებრებსა და პროტესტებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

3) განიხილავს ზედამხედველობის წესით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მათი მოადგილეების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის, მთავარი სამხედრო პროკურორის პროტესტებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე ამ ტრიბუნალების მოსამართლების დადგენილებებზე;



4) განიხილავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ან მთავარი სამხედრო პროკურორის დასკვნების მიხედვით საქმეებს, რომელთა გამო ვადაწყვეტილებანი, განაჩენები ან განჩინებანი გამოიტანეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფებისა და ფლოტების სამხედრო ტრიბუნალებმა.

**მუხლი 29.** პროცესის მონაწილეთა მიწვევა სასამართლო კოლეგიათა სხდომებზე

საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების სხდომებზე, რომლებიც საქმეებს ზედამხედველობის წესით განიხილავენ, ხოლო სამხედრო კოლეგიის სხდომებზე — ასევე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ახსნა-განმარტების მისაცემად შეიძლება მიწვეულ იქნას მოსარჩელე, მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მსაჯრადებული, გამართლებული, მათი დამცველები, არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი. შეტყობინება კოლეგიის სხდომის შესახებ და პროტესტის ან დასკვნის ასლები აღნიშნულ შემთხვევებში ამ პირებს ეგზავნებათ აბა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე.

**მუხლი 30.** სასამართლო კოლეგიების მიერ საქმეების განხილვის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა სხდომებზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები განიხილება სსრ კავშირის სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით, შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებით დადგენილი წესების დაცვით.

**მუხლი 31.** სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებანი, განაჩენები და განჩინებანი

პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს გამოაქვთ გადაწყვეტილებანი და განაჩენები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით.

კასაციის, ზედამხედველობის წესით, აგრეთვე ახლად აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს გამოაქვთ განჩინებანი.

**მუხლი 32.** მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის განსაკუთრებული აზრი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ან სახალხო მსაჯული, რომელიც სასამართლო კოლეგიის განხილვისას განსაკუთრებულ აზრს ადგას, აყალიბებს მას წერილობით. განსაკუთრებული აზრი სასამართლო სხდომაზე არ ქვეყნდება, მაგრამ დაერთვის საქმეს და მოხსენდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

**მუხლი 33.** სასამართლო კოლეგიათა კერძო განჩინებანი

საქმის გამო ვადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების მიღების ერთდროულად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგია საჭიროების შემთხვევაში კერძო განჩინებით მიაპყრობს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა ყურადღებას საქმესთან დაკავშირებით დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტებს, მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამართალდარღვევის ჩადენას.

აღნიშნულმა პირებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა აცნობონ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს მათ მიერ კერძო განჩინების გამო მიღებული ზომების შესახებ.

**მუხლი 34.** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა და განჩინებათა აღსრულება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა გადაწყვეტილებანი, განაჩენები, განჩინებანი კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მათი მიღებისთანავე და აღსრულება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.



თავი 4

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე,  
თავმჯდომარის მოადგილეები, სასამართლო კოლეგიათა  
თავმჯდომარეები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო  
პლენუმის მდივანი

მუხლი 85. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს:

1) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოში შეაქვს პროტესტები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა გადაწყვეტილებებზე, განაჩენებსა და განჩინებებზე; იმ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლომ გამოიტანა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ; სასამართლო საქმეთა გამო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმებისა და პრეზიდიუმების მიერ მიღებულ დადგენილებებზე; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე; ამ სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე; სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებებზე;

შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებსა და პლენუმებში, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული პრეზიდიუმებისა და პლენუმების კომპეტენციის შესაბამისად, პროტესტები მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას, ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

შეაქვს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალებში პროტესტები არმიების, ფლოტილების, შენაერთების, გარნიზონების სამხედრო ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში შევიდა, აგრეთვე ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

2) უფლება აქვს შეაჩეროს კანონით გათვალისწინებული წესით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენათა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულება, რომლებზეც ამ კანონის შესაბამისად შეუძლია პროტესტი შეიტანოს;

3) ორგანიზაციის უწევს მუშაობას სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებითა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის და შეაქვს მასალები პლენუმის განსახილველად;

4) იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებს; შეუძლია თავმჯდომარეობდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებს ყოველგვარი საქმის განხილვისას;

5) წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ანგარიშებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის თაობაზე და მოახსენებს ამ საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

6) შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოში, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგინებანი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა, წევრთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევით ან ვადამდე განთავისუფლებით შესახებ;

7) შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგინებანი იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის კანონთა განმარტებას მოითხოვენ;

8) შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წარდგინებანი იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ ამ წარდგინების უარყოფის შემთხვევაში შეაქვს წარდგინება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

9) შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წარდგინებანი იმის თაობაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი არ შეესაბამება სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ წარდგინების უარყოფის შემთხვევაში შეაქვს წარდგინება შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

10) ანაწილებს მოვალეობებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

11) ახორციელებს სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას და ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

12) ახორციელებს მისთვის ამ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 86. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს:

1) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებში შეაქვთ პროტესტები გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ: პროტესტები სსრ კავშირის საეკონომიკურ-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო სარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებებზე;

შეაქვთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებსა და პლენუმებში მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული პრეზიდიუმებისა და პლენუმების კომპეტენციის შესაბამისად, პროტესტები მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას, ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

შეაქვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში პროტესტები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო-ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, აგრეთვე ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

შეაქვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში პროტესტები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

შეუძლიათ თავმჯდომარეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებს ყოველგვარი საქმის განხილვისას;

2) უფლება აქვთ შეაჩერონ კანონით გათვალისწინებული წესით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენათა, განჩინებათა აღსრულება, რომლებზეც ამ კანონის შესაბამისად შეუძლიათ შეიტანონ პროტესტი.

3) ახორციელებენ მოვალეობათა განაწილების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვეგანყოფილების მუშაობისადმი ხელმძღვანელობას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

**მუხლი 87. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

2) ქნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიათა სასამართლო სხდომებში საქმეების განსახილველად;

3) თავმჯდომარეობენ იმ კოლეგიათა სასამართლო სხდომებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ;

4) წარუდგენენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლება აქვთ გამოითხოვონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლო საქმეები ზედამხედველობის წესით შესაბამისებლად, აგრეთვე სა-



სამართლო პრაქტიკის შესასწავლად და განსაზღვრებად;

6) წყვეტენ, საჭიროების შემთხვევაში, საკითხს იმის თაობაზე, რომ საქმე ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან გადაეცეს მეორე მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთი სახეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო ტრიბუნალიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეორე სახეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო ტრიბუნალს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეს, გარდა ამისა:

1) შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში პროტესტები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

შეაქვს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალებში პროტესტები არმიების, ფლოტილების შენაერთების, გარნიზონების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებსა და განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

2) უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული წესით შეაჩეროს სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება, რომელზეც, ამ

კანონის შესაბამისად შეუძლია პროტესტის შეტანა;

3) ორგანიზაციის უწევს მუშაობას სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარებისათვის, სასამართლო სტატისტიკის ანალიზისათვის, აგრეთვე სამხედრო ტრიბუნალების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებასა და კონტროლის განხორციელებისათვის;

4) ინფორმაციას აწვდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრსა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა მთავარსარდლებს, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების სარდლობასა და პოლიტიკურ ორგანოებს სამხედრო კოლეგიის სასამართლო საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე;

5) მონაწილეობს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა სამხედრო საბჭოების სხდომებზე კანონიერებისა და მხედრული დისციპლინის განმტკიცების საკითხთა განხილვისას.

**მუხლი 88. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ახორციელებს ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ოქმის წარმოებას და ასრულებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის საჭირო მოქმედებას.

**თავი 5**

**სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატი**

**მუხლი 89. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სტრუქტურა და შტატები**

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განვითარებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზისათვის, საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციის და პროპაგანდის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობებთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების შესრულებისათვის მუშაობის მოსაწყობად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის შეიარაღებაში იქმნება განყოფილებანი და

სტრუქტურული ქვეგანყოფილები. განყოფილებების, სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილების უფროსები და მათი მოადგილეები არიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფროსი თანაშემწეები ან თანაშემწეები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰყავს აგრეთვე თანაშემწეები მუშაობის უზნების მიხედვით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებსა და განყოფილებებში არიან მთავარი და უფროსი კონსულტანტები, მთავარი და უფროსი ინსპექტორები, კონსულტანტები, ინ-

სპექტორები, აგრეთვე სხვა მოსამსახურენი და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რიცხოზობას ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისას — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ერთობლივი წარდგინებით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს

სამხედრო კოლეგიის ოფიცრები და გენერლები არიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ხოლო პირადი შემადგენლობა შედის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საშტატო რიცხოზობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საშტატო ვანრიგს, დებულებებს განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილების შესახებ ამტკიცებს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიკორბაძე

მოსკოვი, კრემლი, 1979 წლის 30 ნოემბერი.



## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

# ქ ა ნ ნ ი

სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სამეურნეო დავის გადაწყვეტა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები სამეურნეო დავას წყვეტენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

მუხლი 2. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ამოცანებია. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ამოცანებია:

უზრუნველყონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტისას;

აქტიური ზეგავლენა მოახდინონ სამეურნეო დავის გადაწყვეტისას საწარმოებზე, დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე იმ მიზნით, რომ მათ დაცვან სოციალისტური კანონიერება, შესარტულონ საეგემო დავალებანი და სახელშეკრულებო ვალდებულებანი, ებრძოლონ კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებებს სამეურნეო საქმიანობაში; განუზრგოდ გამოიყენონ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით დაწესებული ქონებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებანი საეგემო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეტარებისას დაშვებულ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისათვის;

უზრუნველყონ კანონმდებლობის ერთგვაროვანი და სწორი გამოყენება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას;

ხელი შეუწყონ სახელშეკრულებო და საბრტენწიო მუშაობის გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობაში, თავიდან ააცილებინონ კანონიერების დარღვევები სამეურნეო საქმიანობაში საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

შემუშაონ წინადადებანი და განახორციელონ ღონისძიებანი სამეურნეო საქმიანობის სპარტლებრივი რეგულირების სრულყოფისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ყოველშტრივ იყენებენ სპარტლებრივ საშუალებებს იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სოციალისტური საკუთრების დაცვა, განმტკიცდეს სამეურნეო ანგარაში, გაძლიერდეს მომჭირნობის რეჟიმი და აღიკვეთოს დანაგარგები სახალხო მეურნეობაში, ამაღლდეს ხელშეკრულების რაღი, განვითარდეს საწარმოთა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რაციონალური სამეურნეო ურთიერთობა და თანამშრომლობა, ამასთან ხელს შეწყობენ სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმომადგენის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებას.

მუხლი 3. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციის, საქმიანობის წესსა და კომპეტენციას განსაზღვრავს ეს კანონი, სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესები, და დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ანტკიცებს, სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტები, აგრეთვე დებულებანი მოკავშირე რესპუბლიკებში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ, რომლებსაც სსრ კავშირის მი-

ნისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

**მუხლი 4.** კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც კანონილება სამეურნეო დავა. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები დავას წყვეტენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად.

## II. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაცია

**მუხლი 5.** სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების სიახემა. სსრ კავშირში მოქმედებს სახელმწიფო არბიტრაჟები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან — სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი;  
მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან — მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟები;

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან — ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟები;

სახალხო დემუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან — მხარეების და ოლქების სახელმწიფო არბიტრაჟები.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუქმლია სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით შექმნას ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახელმწიფო არბიტრაჟები, რომლებიც მოქმედებენ შესაბამისად სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური ოკრუგის სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო არბიტრაჟები ქმნიან სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ერთიან სისტემას.

**მუხლი 6.** სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი წარმოადგენს სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი ახორციელებს სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოსადმი ხელმძღვანელობას, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო არბიტრაჟების მეშვეობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს აქისრია პასუხისმგებლობა სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოს ორგანიზაციის, საქმიანობის, მდგომარეობისა და სრულყოფისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ როგორც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ისე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟები წარმოადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოებს და ახორციელებენ სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდგომი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო არბიტრაჟებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ როგორც ორგანოები, რომლებთანაც მოქმედებენ ისინი, ისე ზემდგომი სახელმწიფო არბიტრაჟები.

**მუხლი 7.** მთავარი სახელმწიფო არბიტრი. სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგას მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

მთავარი სახელმწიფო არბიტრი პასუხს აგებს შესაბამის არბიტრაჟზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრსა და მოკავშირე რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის მთავარ სახელმწიფო არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით.

მთავარ სახელმწიფო არბიტრებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ორგანოები, რომლებიც ნიშნავენ მთავარ სახელმწიფო არბიტრებს.

**მუხლი 8. სახელმწიფო არბიტრი.** სახელმწიფო არბიტრი ხელმძღვანელობს სამეურნეო დავის განხილვას, უზრუნველყოფს მხარეთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენას დავის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ავლენს საქმის განხილვასთან დაკავშირებით კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს და ნაკლოვანებებს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაში, ამ დარღვევებისა და ნაკლოვანებების მიზეზებს, შეაქვს წინადადებანი მათი აღკვეთისა და თავიდან აცილების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებაც; ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

სახელმწიფო არბიტრს პასუხისმგებლობა აკისრია იმისათვის, რომ დაცული იყოს კანონმდებლობის მოთხოვნები დავის განხილვისას, კანონიერი და დასაბუთებული იყოს სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

დავის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებების ფარგლებში წყენებული სახელმწიფო არბიტრის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირისათვის.

სახელმწიფო არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ორგანო, რომელთანაც მოქმედებს სახელმწიფო არბიტრაჟი, ამ არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგინებით.

### III. სანეშრნოდ დავის დაქვემდებარება

**მუხლი 9. სამეურნეო არბიტრაჟისადმი დაქვემდებარებული სამეურნეო დავა.** სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტს დავის სახელმწიფო, კოოპერაციულ (კოლმეურნეობების, საკოლმეურნეოზღოთშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და მათი ვაერთიანებების გარდა) და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელიც წაიფარება სამეურნეო ხელშეკრულებათა დიდების, შეცვლის, გაუქმების და შესრულების დროს ან სხვა საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი დავის გადაწყვეტას სსრ კავშირის კანონმდებლობა სხვა ორგანოების განმგებლობას განაკუთვინებს.

**მუხლი 10. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს შორის სამეურნეო დავის დაქვემდებარების გამიჯვნა.** სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტენ ყველაზე დიდმნიშვნელოვან დავას, რომელიც მათს განმგებლობას მიკუთვნებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ ყველა სხვა დავას საწარმოებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის.

მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟი, რომელსაც თავის დაქვემდებარებაში არ ჰყავს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები, წყვეტს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ ყველა დავას საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის განმგებლობას მიკუთვნებული დავის გარდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია თავის წარმობაში მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა, რომელიც სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ექვემდებარება. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია თავის წარმობაში მიიღოს და გადაწყვიტოს ყოველგვარი დავა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ექვემდებარება.





მუხლი 11. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ გადასაწყვეტი სამეურნეო დავის ტერიტორიული დაქვემდებარება. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ დავას, რომელიც სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების, შეცვლისა და გაუქმების დროს წამოიჭრება, განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი მიმწოდებელი, მოიჯარე ან მომსახურების გამწვევი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით. სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებისას და სხვა საფუძველზე წამოჭრილი დავა განიხილება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს იქნეს გამოხატვის ამ წესებიდან.

IV. სამეურნეო დავის გადაწყვეტის წესი

მუხლი 12. სამეურნეო დავის გადაწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართვა სახელმწიფო არბიტრაჟში. სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს დავის დაინტერესებული საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების განცხადებების, აგრეთვე ზემდგომი ორგანოების განცხადებების მიხედვით, რომლებიც შეტანილია მათს სისტემაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ინტერესებისათვის.

დავა შეიძლება გადაიკეს სახელმწიფო არბიტრაჟის გადასაწყვეტად მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები შეიძენენ ზომებს მისი უშუალო მოწესრიგებისათვის დადგენილი წესით. მოსარჩლის ან მოპასუხის საქმეში ჩაბმა სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით დავის განხილვისას შეიძლება მოხდეს ასეთი ზომების მიღების მიუხედავად.

სახელმწიფო არბიტრაჟში მიმართვის უფლებაზე უარის თქმა ბათილია.

მუხლი 13. საქმის აღძვრა სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით. სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით აღძვრას საქმე, თუ ხელთ იქვს მონაცემები საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ დაშვებული სახელმწიფო საგვგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევების და სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების სხვა დარღვევების შესახებ.

სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით საქმის აღძვრა წარმოებს მიუხედავად იმისა, იცავენ თუ არა საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები დავის უშუალო მოწესრიგების წესს.

მუხლი 14. სამეურნეო დავის განხილვა. დავის განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი სხდომის თავმჯდომარის — სახელმწიფო არბიტრის ან მთავარი სახელმწიფო არბიტრის, ანდა მისი მოადგილისა — და მხარეთა წარმომადგენლების შემადგენლობით.

რთული დავის განხილვისას მთავარ სახელმწიფო არბიტრს ან მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილეს შეუძლიათ არბიტრაჟის შემადგენლობაში შეიყვანონ დამატებითი ორი სახელმწიფო არბიტრი.

იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებიც დადგენილია სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესებში, დავა შეიძლება განხილულ იქნეს მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობის მიუღებლად.

მუხლი 15. სამეურნეო დავის განხილვის მონაწილე მხარეები. სახელმწიფო არბიტრაჟში გადასაწყვეტი დავის მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც იურიდიულ პირებს წარმოადგენენ.

სახელმწიფო არბიტრაჟში მხარეთა წარმომადგენლები არიან საწარმოთა, დაწესებულებათა ორგანიზაციათა და მათ მიმართ ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელები, ან მათი მოადგილეები, ანდა სხვა სითანადოდ უფლებამოსილი პირნი.

თითოეული მხარე სახელმწიფო არბიტრაჟში დავის განხილვისას თანასწორი საპროცესო უფლებებით სარგებლობს.

მხარეები მოვალენი არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული საპროცესო უფლებები, პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 16. საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამეურნეო დავის განხილვაში. სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ დავის განხილვაში მონაწილეობისათვის დაიშვებიან საქმეში მხარედ წარმოდგენილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რათა გააცნონ სახელმწიფო არბიტრაჟს, მათი წარმგზავნი ორგანიზაციებისა და კოლექტივების აზრი განსახილველი დავის გამო.



**სახელმწიფო ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა უფლებადამცველებს** სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ დავის განხილვისას განსაზღვრავს სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესები.

**მუხლი 17. სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებები სამეურნეო დავის განხილვის დროს.** სახელმწიფო არბიტრაჟს, რომელიც დავის განხილავს, უფლება აქვს:

1) გამოიძახოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მათ მიმართ ზემოდახედვის ორგანოების თანამდებობის პირნი, რათა მიიღოს მათგან ახსნა-განმარტება დავისთან დაკავშირებით;

2) მოთხოვოს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათ შორის იმათაც, რომელიც მხარეებს არ წარმოადგენენ, დავის გადასაწყვეტად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და დანაკლები, აგრეთვე გაცნოს ამ მასალებს უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

3) დანიშნოს ექსპერტიზა საქმის გამო;

4) შეასრულოს სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესებით გათვალისწინებული სხვა მოქმედება, რათა უზრუნველყოს დავის სწორი და დროული გადაწყვეტა.

**მუხლი 18. სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღება.** სამეურნეო დავის გამო გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფო არბიტრაჟი და საქმის მოწოდებულ მხარეთა წარმომადგენლები სახელმწიფო არბიტრაჟის ხელმოწერაზე საქმის ყველა გარემოების განხილვის შედეგების შესაბამისად. ამასთან სახელმწიფო არბიტრაჟი ხელს უწყობს მხარეთა შორის თანხმობის მიღწევას.

იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა წარმომადგენლები ვერ მიაღწევენ თანხმობას, ანდა მხარეთა შეთანხმება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან საქმის მასალებს, ანდა თუ დავის განხილავს ორივე ან ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლის მოწოდებულ მხარეებთან, გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო არბიტრაჟი, ხოლო, როცა დავას სამი სახელმწიფო არბიტრაჟი განხილავს, მაშინ გადაწყვეტილება მიიღება არბიტრების ხმის უმრავლესობით.

**მუხლი 19. სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებები გადაწყვეტილებათა მიღების დროს.** სახელმწიფო არბიტრაჟი სამეურნეო დავის განხილვის შედეგების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილდეს საჩივრო, მხარეს უარი ეთქვას საჩივრზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ანდა შეწყდეს საქმის წარმოება.

სახელმწიფო არბიტრაჟი მთლიანად ან გარკვეულ ნაწილში ბათილად ცნობს ხელშეკრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, სახელმწიფო გეგმებსა და დავალებებს, აგრეთვე უარს ამბობს მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნები დაფუძნებულია სახელმწიფო მართვის ორგანოს აქტზე, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობას. სამეურნეო დავის გამო გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს:

1) გასცდეს სასარჩლო მოთხოვნების ფარგლებს, თუ ეს საჭიროა საერთო-სახელმწიფო ინტერესების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვადად;


2) გადახდევინოს ვალდებულების უხეშად დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) მომეტებული ოდენობით იმ შემთხვევებში და უარგულში, რომლებიც სსრ კავშირის კანონმდებლობით არის დაწესებული, ამასთან გადაარიცხოს გადახდევინებული თანხის ეს ნაწილი საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

3) მთლიანად ან ნაწილობრივ გადაარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში გადახდევინებული პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი), თუ მოსარჩელეს არ წაუყენებია მოთხოვნა სანქციების შესახებ, ანდა დაარღვია კანონმდებლობა, რაც არ ამცირებს მოპასუხის პასუხისმგებლობას, აგრეთვე მაშინ, როცა საქმე აღძრულია სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით;

4) შეამციროს გამოწვევის შემთხვევებში იმ პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) ოდენობა, რომელიც ვალდებულების დამრღვევ მხარეს უნდა გადახდევინოს;

5) გადახდევინოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის ვადების დამრღვევ მხარეს ჯარიმა იმ ოდენობით, რომელიც სსრ კავშირის კანონმდებლობით არის დადგენილი.

**სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის სხვა უფლებები გადაწყვეტილების მიღებისას.**



**მუხლი 20. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და აღსრულება.**  
სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ მისი მიღებისთანავე და აუცილებლად უნდა აღსრულოს ყველა საწარმო, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სამიწის-ტროში, სახელმწიფო კომიტეტში, უწყებაში.

გადაწყვეტილების შესრულება წარმოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც აღმასრულებელ დოკუმენტს წარმოადგენს. ფულადი თანხის გადახდებიანების ბრძანება სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია გაუგზავნოს უშუალოდ საკრედიტო დაწესებულებას.

**მუხლი 21. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით.** სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯოს ზედამხედველობის წესით მხარის ან მის მიმართ შემდგომი ორგანოს განცხადების საფუძველზე, აგრეთვე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყების შუამდგომლობით, პროკურორის პროტესტით ან სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით. გადაწყვეტილებას გადასინჯავს გადაწყვეტილების მიმღები არბიტრაჟის, აგრეთვე შემდგომი არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრი ან მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილე.

მთავარ სახელმწიფო არბიტრს ან მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილეს ზედამხედველობის წესით სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვისას უფლება აქვს: უცვლელად დატოვოს გადაწყვეტილება;

შეცვალოს გადაწყვეტილება;

გააუქმოს გადაწყვეტილება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ან გადასცეს საქმე ახალი განხილვისათვის, ანდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

შესაბამის განცხადებათა და შუამდგომლობათა წარდგენის წესს, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვის წესს და იმ შემთხვევებს, თუ როდის არ დაიშვება მიღებული გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვა, განსაზღვრავენ სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესები.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით შეიძლება გადასინჯოს გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა.

მთავარ სახელმწიფო არბიტრს ან მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილეს, რომელიც გადაწყვეტილების გადასინჯვის საქმის განხილავს, უფლება აქვს შეაჩეროს მისი შესრულება ზედამხედველობის წესით წარმოების დამთავრებამდე.

**მუხლი 22. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.** სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია გადასინჯოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, და რომლებიც არ იცოდა და არ შეიძლება იცოდნოდა განმცხადებელს.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა იმ დღიდან, როცა დადგინდა გარემოებანი, რომლებიც გადასინჯვის საფუძველი გახდა.

**V. კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილება და საჩუქრეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის შესახებ წინადადებათა შემუშავება**

**მუხლი 23. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ სამეურნეო საქმიანობაში კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა თავიდან აცილება.** სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ეწყვიან მუშაობას, რათა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სამეურნეო საქმიანობაში თავიდან ააცილებინონ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები და ნაკლოვანებანი, გამოავლინონ და აღმოფხვრან ამ დარღვევა-ნაკლოვანებათა მიზეზები.

- ამ მიზნით სახელმწიფო არბიტრაჟი:**
- 1) განიხილავს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამეურნეო დავას უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;
  - 2) ეწევა სამეურნეო კანონმდებლობის პროპაგანდას;



3) ეცნობა სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პრაქტიკას, თუ როგორ იყენებდნენ კანონმდებლობის ხელშეკრულებათა დადებისა და ვალდებულებათა შესრულებისას, აგრეთვე სამეურნეო დავის არბიტრაჟამდელი მოწესრიგების დროს;

4) სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან, უწყებებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო საქმიანობაში გამოვლენით კანონიერების დარღვევითა და ნაკლოვანებათა თავიდან აცილების, აგრეთვე აღმოფხვრის, ღონისძიებათა შემუშავებისთან.

5) უგზავნის დადგენილი წესით საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მათ მიმართ ზემდგომ ორგანოებსა და თანადებობის ზირებს ცნობებს სამეურნეო საქმიანობაში გამოვლენილ კანონიერების, სახელმწიფო დაცვის დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ წინადადებებითურთ, რომლებიც ეხება მათ აღმოფხვრას, აგრეთვე დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის მიცემას და მათ მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას.

ასეთი ცნობის მიმღები საწარმოების, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და მათ მიმართ ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან სახელმწიფო არბიტრაჟს ცნობის მიღებიდან ერთი თვის ვადაში აცნობონ მიღებული ზომების შესახებ.

საქიროების შემთხვევებში სამეურნეო საქმიანობაში გამოვლენილ კანონიერების, სახელმწიფო დაცვის დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ ცნობები დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხის განსახილველად ეგზავნება პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სხვათა კომპეტენტურ ორგანოებს.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილებისათვის თავიანთ საქმიანობას უთანხმებენ სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან.

**მუხლი 24.** კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ წინადადებათა შემუშავება. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები სამეურნეო დავის გადაწყვეტისას კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ამუშავებენ და დადგენილი წესით შეაჯებ წინადადებანი სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟისა და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, არბიტრაჟების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის შესახებ.

**მუხლი 25.** სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენცია ნორმატიული აქტების დამტკიცებისა და განმარტების საქმეში.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი სსრ კავშირის კანონმდებლობით ვათვალისწინებულ შემთხვევებში ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაჯავლით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით ვათვალისწინებულ შემთხვევებში ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაჯავლით:

1) ამტკიცებს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ სამეურნეო საქმიანობას, აგრეთვე განიხილავს შესათანხმებლად წარმოდგენილ ასეთ აქტებს პროექტებს;

2) აძლევს სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს განმარტების იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას არეგულირებენ.

**მუხლი 26.** სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქტაჟო მითითებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განოსცემენ საინსტრუქტაჟო მითითებებს სამეურნეო დავის გადაწყვეტისას და მისი არბიტრაჟამდელი მოწესრიგების დროს შესაბამისად სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქტაჟო მითითებანი ამ საკითხებზე სავალდებულოა არბიტრაჟის ორგანოებისათვის, აგრეთვე სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

მუხლი 27. სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟების, აგრეთვე სხვა იმ ორგანოების ინსტრუქტაჟი, რომლებიც სამეურნეო დავას წყვეტენ. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ დადგენილ წესის მიხედვით ინსტრუქტაჟს უწევენ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟებს, აგრეთვე სხვა იმ ორგანოებს, რომლებიც სამეურნეო დავას წყვეტენ; ასეთი დავის განხილვისათვის მუშაობის ორგანიზაციისა და პრაქტიკის საკითხებზე, სწავლობენ ამ მუშაობის გამოცდილებას და იძლევიან რეკომენდაციებს მისი სრულყოფის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემუნაძე  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაძე

მოსკოვი, კრემლა.  
1979 წლის 30 ნოემბერი.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

# ქ კ ნ ო ნ ი

### სსრ კავშირის ადვოკატურის შესახებ

**მუხლი 1. ადვოკატურის ამოცანები.** სსრ კავშირში კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა ადვოკატურის ძირითადი ამოცანა იურდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს.

ადვოკატურა სსრ კავშირში ხელს უწყობს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სახალხო დოგლიათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სხვა პირთა უფლებების, პატივისა და ღირსების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

**მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადვოკატურის შესახებ.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადვოკატურის შესახებ შედგება ამ კანონისაგან, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირში ადვოკატურის ორგანიზაციას და საქმიანობის წესს, მის შესაბამისად გამოცემული დებულებებისაგან ადვოკატურის შესახებ, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეებსა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე დავალებათა შესრულებისას ადვოკატთა უფლებამოსილებებს აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

**მუხლი 3. ადვოკატთა კოლეგიები.** ადვოკატთა კოლეგიები წარმოადგენენ იმ პირთა ნებაყოფლობითს გაერთიანებებს, რომლებიც ადვოკატის საქმიანობას ეწევიან.

ადვოკატთა კოლეგია იქმნება ღამფუნქციონირებელთა ჯგუფის განცხადებით, რომელშიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირნი შედიან, ან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ინიციატივით. ადვოკატთა კოლეგიის შექმნის შესახებ წინადადება ეგზავნება მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, რომელიც თუ თანახმაა, ამ წინადადებას დასამტკიცებლად და სარეგისტრაციოდ წარუდგენს საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება ადვოკატთა რესპუბლიკური კოლეგიები, მხარეებსა და ოლქებში — ადვოკატთა სამხარეო და საოლქო კოლეგიები და, მოკავშირე რესპუბლიკებს ადვოკატურის შესახებ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — ადვოკატთა საქალაქო კოლეგიები.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, როცა ეს საჭიროა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად, შეიძლება შექმნას ადვოკატთა სატერიტორიული-აღმოსავლური და სხვა კოლეგიები.

ადვოკატთა კოლეგიები იურიდიული პირები არიან.

**მუხლი 4. ადვოკატთა კოლეგიების ორგანოები.** ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანოა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია), მისი აღმასრულებელი ორგანოა პრეზიდიუმი, სკონტროლო-სარევიზიო ორგანო — სარევიზიო კომისია.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმსა და სარევიზიო კომისიას ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით.



ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრების (კონფერენციის), პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის უფლებამოსილებას, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს დებულება მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ.

**მუხლი 5. ადვოკატთა კოლეგიის წევრობა.** ადვოკატთა კოლეგიის წევრებად მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და იურისტის სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი. აღნიშნულ პირობათა კოლეგიის წევრად ბიუტის წინაპირობა შეიძლება იყოს სამ თვემდე ხანგრძლივობის გამოსაცდელი ვადის გავლა. უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების კურსდამთავრებული პირნი, რომლებსაც არა აქვთ იურისტის სპეციალობის მუშაობის სტაჟი ან აქვთ ორ წელზე ნაკლები ხნის ასეთი სტაჟი, შეიძლება ადვოკატთა კოლეგიაში მიღებულ იქნენ მას შემდეგ, რაც კოლეგიაში გაივლიან სტაჟირებას ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

ადვოკატთა კოლეგიაში მიღების წესს განსაზღვრავს დებულება მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტები.

ადვოკატთა კოლეგიის წევრები და სტაჟიორები არ შეიძლება მსახურობდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. გამონაკლისი შეიქმლება დაუშვას ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა იმ პირობისათვის, კინც მცენიერულ ან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 6. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა უფლებები.** ადვოკატთა კოლეგიის წევრს უფლება აქვს:

აირჩიოს და არჩეულ იქნეს ადვოკატთა კოლეგიის ორგანოები; დააყენოს ადვოკატთა კოლეგიის ორგანოების წინაშე კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, შეიტანოს წინადადებანი მისი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მოწაწილობა მიიღოს მათს განხილვაში; პირადი მონაწილეობა მიიღოს კოლეგიის ორგანოების მიერ მისი საქმიანობის ან საქციების განხილვის ყველა შემთხვევაში;

გავეიდეს ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობიდან. ადვოკატ, რომელიც წარმომადგენლად ან დამცველად გამოდის, უფლებამოსილია: წარმოადგენდეს იურიდიული დახმარების მოხოგენელ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელთა კომპეტენციაში შედის შესაბამისი საკითხების გადაწყვეტა;

გამოითხოვოს იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით ცნობები, დახასიათება და სხვა დოკუმენტები, რომლებიც იურიდიული დახმარების გასაწევად სჭირდება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებდან, რომლებიც მოვალენი არიან დადგენილი წესით მისცენ ეს დოკუმენტები ან მათი პირები.

ადვოკატი არ შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმედ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დამცველის ან წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 7. ადვოკატთა კოლეგიის წევრების მოვალეობანი.** ადვოკატი მოვალეა თავის საქმიანობაში ზუსტად და განუხრელად იცავდეს მოქმედი კანონმდებლობის მოქოგენებს, იყენებდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას და ხერხს იმ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებმაც მას იურიდიული დახმარებისათვის მიმართეს.

ადვოკატს უფლება არა აქვს მიიღოს იურიდიული დახმარების გაწევის დავალება იმ შემთხვევაში, თუ იგი მოცემული საქმის გამო უწევს ან წინათ უწევდა იურიდიულ დახმარებას იმ პირთ, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგება საქმის წარმოების მოხოგენელი პირის ინტერესებს, ანდა მონაწილეობდა მოსამართლედ, პროკურორად, ვაჰომძიებლად, მოძკვევ პირად, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, მოწმედ ან დამსწრედ, აგრეთვე, თუ საქმის გამოძიებაში ან განხილვაში მონაწილეობს თანამდებობის პირი, რომელთანაც ადვოკატს ნათესაური ურთიერთობა აკავშირებს.

ადვოკატს უფლება არა აქვს გაამხილოს ცნობები, რომლებიც მას მრწმუნებელმა შეატყობინა იურიდიული დახმარების ვაწევასთან დაკავშირებით.

**მუხლი 8. იურიდიული კონსულტაციები.** იურიდიული დახმარების გასაწევად ადვოკატთა



მუშაობის ორგანიზაციის მიზნით ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმები ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ქმნიან იურიდიულ კონსულტაციებს.

იურიდიული კონსულტაციების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს, იურიდიული კონსულტაციის გამგის უფლებებსა და ნოვალთბებს განსაზღვრავს დებულება მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ.

**მუხლი 9.** ადვოკატთა მიერ გასაწევი იურიდიული დახმარების სახეობანი. იურიდიული დახმარების გაწევისას ადვოკატები:

აძლევენ კონსულტაციებს ან განმარტებას იურიდიულ საკითხებზე, სიტყვიერ და წერილობით ცნობებს კანონმდებლობის შესახებ;

ადგენენ განცხადებებს, საჩივრებსა და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტებს; ახორციელებენ წარმომადგენლობას სასამართლოში. არბიტრაჟსა და სახელმწიფო ორგანოებში სამოქალაქო საქმეებსა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე;

მონაწილეობენ წინასწარ გამოძიებაში და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე როგორც დამცველები, დაზარალებულთა წარმომადგენლები, სამოქალაქო მოსარჩელები, სამოქალაქო მოპასუხეები.

ადვოკატები მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს სხვაგვარ იურიდიულ დახმარებასაც უწევენ.

**მუხლი 10.** ადვოკატთა შრომის ანაზღაურება. ადვოკატთა შრომა ნაზღაურდება იმ სახარებრიდან, რომლებიც იურიდიულ კონსულტაციაში შეაქვეთ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს მათთვის გაწეული იურიდიული დახმარებისათვის.

**მუხლი 11.** მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. ადვოკატთა კოლეგიები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ:

მოსარჩელებს პირველი ინსტანციის სასამართლოებში ალიმენტის გადახდენებისა და შრომითი საქმეების წარმოებისას შრომის ანაზღაურების შესახებ კოლმეურნეობებისადმი კოლმეურნეთა სარჩელების გამო; დასახიჩრებით ან სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის სტავგვარი დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ; სამუშაოსთან დაკავშირებით მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ; აგრეთვე მოქალაქეებს პენსიებისა და დახმარების დანიშვნის შესახებ განცხადებათა შედგენისას;

მოქალაქეებს ამომრჩეველთა სიებში უსწორობის შესახებ საჩივრების გამო;

სახალხო დემოკრატთა საბჭოების დებუტატებს მათ მიერ დებუტატის უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაკავშირებული კანონმდებლობის საკითხებზე კონსულტაციების გაწევისას;

ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრებს მათს საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით კანონმდებლობის საკითხებზე კონსულტაციების გაწევისას.

უფასოდ იურიდიული დახმარების გაწევა ხდება აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გარდა ამისა, იურიდიული კონსულტაციის გამგეს, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, აგრეთვე წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორსა და სასამართლოს, რომელთა წარმომავლიც არის საქმე, უფლება აქვთ, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის საფუძველზე, მოლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ იგი იურიდიული დახმარების საფასურის გადახდისაგან.

იურიდიული კონსულტაციის გამგის ან კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ იურიდიული დახმარების საფასურის გადახედვისთვისაგან მოქალაქის ვანთავასუფლებიან ადვოკატის შრომის ანაზღაურება წარმოებს კოლეგიის სახარებრიდან.

წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორის ან სასამართლოს მიერ მოქალაქის ვანთავასუფლებიან იურიდიული დახმარების ანაზღაურებისაგან, ადვოკატის შრომის ანაზღაურების ხარჯებს დადგენილი წესის მიხედვით სახელმწიფო კისრულობს.

**მუხლი 12.** ადვოკატთა წახალისების ღონისძიებანი. თავიანთ ნოვალთბათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ადვოკატთა წახალისება ხდება კოლეგიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

წახალისების ღონისძიებებს და მათი გამოყენების წესს განსაზღვრავს დებულება მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტბა.



**მუხლი 13.** ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ამ კანონის, მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ დებულებისა და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა ამ აქტებსა მოთხოვნების დარღვევისათვის, რომლებიც ადვოკატურის საქმიანობას აწესრიგებენ, ადვოკატები შეიძლება მიეცნენ დისციპლინურ პასუხისმგებლაში.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი დისციპლინურ სახდელს იყენებს უშუალოდ გადაცდომის აღმოჩენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი აღმოჩენის დღიდან, ადვოკატის ავადმყოფობის ან შევებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად. არ შეიძლება სახდელის დადება გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ.

სახდელის ღონისძიებებს, დისციპლინური სახდელის დადების, მოხსნის და გასაჩივრების წესს განსაზღვრავს დებულება მოკავშირე რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ.

**მუხლი 14.** ადვოკატთა კოლეგიის წევრობის შეწყვეტა. ადვოკატთა კოლეგიის კოლეგიიდან ადვოკატის გამოყვანას ახორციელებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი: ადვოკატის განცხადების საფუძველზე; ადვოკატთა კოლეგიაში მიღებისას დათქმული გამოცდის არაღამაკმაყოფილებელი შედეგის დროს;

იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ადვოკატს კოლეგიიდან რიცხავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ისეთ შემთხვევებში, როცა:

ადვოკატი სისტემატურად არღვევს შრომის წინაგანაწესს ან არაკეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს, თუ ადვოკატის მიმართ წინაა გამოყენებული იყო დისციპლინურ ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი;

ჩაიდნის სხვა გადაცდომებს, რომლებიც შეუთავსებელია კოლეგიაში ყოფნასთან.

ადვოკატთა კოლეგიიდან გამოყვანა და გარიცხვა შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლო წესით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც ადვოკატი მიიღებს გამოყვანის ან გარიცხვის შესახებ კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილების პირს.

**მუხლი 15.** ადვოკატთა კოლეგიების სახსრები. ადვოკატთა კოლეგიების სახსრებს ქმნის თანხები, რომლებსაც იურიდიული კონსულტაციები გადარიცხავენ იურიდიული დახმარების ვაწყვის საფასურადად.

კოლეგიის ფონდში ანარჩებების ოდენობას აწესებს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია), მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს იურიდიულ კონსულტაციაში შესული თანხების ოცდაათ პროცენტს.

ადვოკატთა კოლეგიების შტატები, თანამდებობრივი სარგოები, ხელფასის ფონდები და აღმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები არ ექვემდებარება საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას. ადვოკატთა კოლეგიები არ იბეგრება სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადითა და გამოსაღებით.

**მუხლი 16.** ადვოკატურის ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ადვოკატთა კოლეგიებისადმი საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები მათი კომპეტენციის განმსაზღვრელი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც უშუალოდ, ისე ილუცინციის სამინისტროს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, სოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებების მეშვეობით.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, სოლქო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებათა ზედამხედველობა ადვოკატთა კოლეგიების მიმართ განსაზღვრავს ეს კანონი, დებულებანი მოკავშირე რესპუბლიკების ადვოკატურის შესახებ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობა.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

კონტროლს უწევს იმას, თუ როგორ იცავენ ადვოკატთა კოლეგიები ამ კანონის, მოკავშირე რესპუბლიკების ადვოკატურის შესახებ დებულებების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვნებს, რომლებიც ადვოკატურის საქმიანობას არეგულირებს;

განსაზღვრავს იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესს და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით — ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ზირობებს;



გამოსცემს ინსტრუქციებსა და მეთოდოკურ რეკომენდაციებს ადვოკატურის საქმიანობის ზაკითებზე;

განსაზღვრავს ადვოკატთა სატერიტორიათშორისო და სხვა კოლეგიების ორგანიზაციის და საქმიანობის წესის თავისებურებებს;

ახორციელებს ადვოკატურის საერთო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თუ ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება ან პრეზიდიუმის დადგენილება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მაშინ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო აჩერებს მათს მოქმედებას. ამ შემთხვევაში საკითხი შეიძლება ახალი განხილვისათვის შეტანილ იქნეს შესაბამისად ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) ან პრეზიდიუმში.

ადვოკატურის ამოცანების განხორციელებისას ადვოკატთა კოლეგიებს ურთიერთობა აქვთ სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, უწყვეტ სამართლებრივ დახმარებას მწირმელთა კოლექტივებს, სახალხო დეპუტატებს, ნებაყოფლობითს სახალხო რაზმებს, ამხანაგურ სასამართლოებს და საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებს, რომლებიც ბრძოლას ეწევიან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, მონაწილეობენ სამართლებრივ პროპაგანდასა და მოსახლეობისათვის კანონმდებლობის განმარტებაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრაქნაძე  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე

ნოსკოვი, კრემლი  
1979 წლის 30 ნოემბერი.

## საქართველოს სახალხო ფოლკლორის მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილეს ჩიქოვანს ირაკლი პორფილეს ძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებს გველესიანს ოთარ ალექსანდრეს ძეს, ყორდანიას ივანე შალვას ძეს, ჯიბლაძეს ოთარ ალექსანდრეს ძეს და ჭიათურის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს თევზაძეს გიორგი აპოლონის ძეს

## ცნობები ავტორთა შესახებ

**იაკობ ვალერიანის ძე ფუტაბარაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ხანგრძლივო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი. სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**ანდრია ბაღრიას ძე გელმოხანი** — ადვოკატი, პენსიონერი, მრავალი შრომისა და 3 წიგნის ავტორი. სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**ალექსანდრე პირანის ძე შუშანაშვილი** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 28 მეცნიერული შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**ბაბაქი ალექსანდრეს ძე გუდალაშვილი** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ელენი ლავის ძე რიზინი** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის საკავშირო დაუზღვრებელი იურიდიული ინსტიტუტის პროფესორი, მრავალი შრომისა და წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 2, 1980 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

648/85



წიგნი 50 კპპ.

0620360 70169